პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში სამისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქრონიკო ფურცელზე— ტექსტის უკან—80 კ. ხონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქრონიკო გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ. განმეორებული განცხადების ფასი იღება 10% საქალაქო გადასახადი. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეიძლება შეღავათი. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. საკვლევადო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 22 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 143 (2186)

## დ ღ ი უ რ ი

- შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის.
- პოლონეთის სეიმმა მიიღო კანონპროექტი ამნისტიის შესახებ.
- გაფიცვა ალმასის მადნებზე გრასფონტეინში (სამხ. აფრიკა).
- არჩევნები საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.
- ინგლისის თემთა პალატის თავჯდომარეთ არჩეულია პონსერვატორი ფიცროი.
- სპარსეთში სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს ამერიკელი ინჟენრები.

# გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკა

ახალი მთავრობის შედგენა გერმანიაში ძალზე ჭიანურდება; გრძელდება დაუსრულებელი ვაჭრობა ბურჟუაზიულ პარტიებსა და მენშევიკებს შორის მათი თანამშრომლობის პირობების მომავალ მთავრობის სამოქმედო პროგრამის და სამინისტრო პორტფელების განაწილების შესახებ. მაინც გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რომ ე. წ. დიდი კოალიცია შეიქმნება და ხელისუფლებას სათავეში სოციალ-დემოკრატები ჩაუდგებიან.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს საკითხი, თუ როგორი იქნება დიდი კოალიციის და მისი მესვეურის — სოციალ-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან?

ცნობილია, რომ გერმანელ მენშევიკებს ადვილად ვერავინ წაართმევს პირველობას პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნისადმი სიძულვილში. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნებიც მათ ჩაატარეს საბჭოთა კავშირთან მტრობის ნიშან ქვეშ. ამ გზით მათ სურდათ დაემსახურებიათ დასავლეთის იმპერიალისტების ნდობა და გაეადვილებიათ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მენშევიკები მოექცევიან მთავრობას სათავეში, გაბედავენ ისინი აშკარა ანტისაბჭოთა ხაზის გატარებას საგარეო პოლიტიკაში?

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ არ ექნებათ საკუთარი ხაზი, არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკაში. ორივე დარგში ისინი არსებითად ბურჟუაზიის, კერძოდ სახალხო პარტიის ნებისყოფის ამსრულებელთა როლს ვერ გასცილდებიან. შტრეზემანის „ტეგლიხე რუნდშაუ" სწერს: „გერმანიის სოციალ - დემოკრატიას აქამდე არ გამოუჩენია არავითარი სურვილი შეეცვალა გერმანიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. ამ მხრივ სოციალ - დემოკრატიის შეხედულებებს იზიარებენ გერმანიის ყველა ბურჟუაზიული პარტიები"-ო. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით პირიქით, სოციალ-დემოკრატია იზიარებს ბურჟუაზიულ პარტიების შეხედულებებს. მართლაც, მენშევიკები ყოველთვის შტრეზემანის საგარეო პოლიტიკის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

შტრეზემანის პოლიტიკა კი საბჭოთა კავშირის მიმართ ბოლო დროს ხასიათდებოდა საკმაო მერყეობით და მტრული აქტებითაც კი, ის ერთი მხრით ცდილობდა საფრანგეთთან დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გართულების გზით, მეორე მხრივ — გერმანია - საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის რევიზიას იმ მიზნით, რომ ჩვენი მეურნეობის საზიანოდ დაეკმაყოფილებია გერმანელ კაპიტალისტების გადაჭარბებული მადა. მაგრამ ასეთი პოლიტიკა დიდად მავნებელია გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობისა და მისი ეკონომიური განვითარებისათვის; ის გერმანიას ხდის საფრანგეთის იმპერიალიზმის იარაღად და ხელიდან აცლის იმ პლიუსებს, რომლებსაც მას აძლევს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა თავის საერთაშორისო პოზიციების განსამტკიცებლად, ხოლო ამავე დროს ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულად რჩება ვერსალის ტვირთის ამ გზით შემსუბუქების იმედი: ამასთან, გერმანია დაკარგავს საბჭოთა ბაზარს, რაც ლახვარს ჩასცემს მის მრეწველობას, რომელიც გასაღებისა და ნედლი მასალების კრიზისს განიცდის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გერმანიის ახალი მთავრობა, თუ ის ანგარიშს გაუწევს თავის ქვეყნის სწორად გაგებულ ინტერესებს, იძულებული შეიქნება დაიცვას რაპალოსა და ბერლინის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პოლიტიკა.

ვიმეორებთ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია ვერ გაბედავს ჩვენთან დამოკიდებულების გაუარესებას. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება გერმანიის კაპიტალიზმის ინტერესებს, არამედ მუშათა მასების შიშითაც. ანტისაბჭოთა კამპანიამ, რომელსაც არჩევნების დროს მენშევიკები აწარმოებდენ, არა მცირე როლი ითამაშა მათგან მუშა-ამომრჩევლების ჩამოშორებაში. ის მრისხანე გაფრთხილებაა მიულერებისათვის.

მასსების ზეგავლენით „მემარცხენე" ბრეიტშეიდმა ამას წინედ განაცხადა: „ჩვენ განზრახვა გვაქვს შევინარჩუნოთ საბჭოთა კავშირთან აბსოლიუტურად კორექტული დამოკიდებულება და არ დავსთანხმდებით მივიღოთ მონაწილეობა რომელიმე ბლოკში, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული"-ო. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით ბრეიტშეიდების სიტყვების ფასი, მაგრამ თუ მათ არ სურთ საბოლოოდ ვაირიყონ იმ მასებიდან, რომელნიც მათ ჯერ კიდევ მისდევენ, ისინი იძულებული გახდებიან ერთგვარი თავდაჭერილობა მაინც გამოიჩინონ ჩვენთან ურთიერთობის საკითხში.

გაზ. „ფორვერტს", რომელიც ჩვეულებრივ დახელოვნებულია ანტისაბჭოთა კამპანიით, აგრეთვე ეხება ჩვენთან დამოკიდებულებას. წერილში, რომლის შინაარსი გუშინ გვქონდა მოყვანილი, ის აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია საგარეო პოლიტიკაში დასავლეთის ორიენტაციის მომხრეა და შემდეგ ამბობს: „ჩვენთვის მეტად სასურველია რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ მას ჩვენ მსხვერპლად ვერ მივუტანთ გერმანიის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას დასავლეთის სახელმწიფოებთან"-ო. „ფორვერტს"-ის პოლიტიკოსებს ამას ჩვენ ვერც მოვსთხოვთ, ვერ მოვსთხოვთ სოციალ - შემთანხმებლებს, რომ მათ დაგმონ დასავლეთის ორიენტაცია, ე. ი. იმპერიალისტებთან თანამშრომლობა. მაგრამ პრაქტიკულად როგორ შეათანხმებენ ისინი თავის „დასავლეთის ორიენტაციას", რომელშიაც იმალება გერმანიის ანტისაბჭოთა ბლოკში ჩაბმის საკითხი, „რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობის სურვილთან", — ამას გვიჩვენებს სოციალ - დემოკრატების მომავალი საქმიანობა მთავრობაში.

# ჩინეთში

მდგომარეობა ჩინეთში არა თუ უაღრესად რთულია, რაც დიდი ხანია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, არამედ ამავე დროს მეტად მერყევია. თუ იაპონიის ინტერვენცია არღვევს წონასწორობას იმ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, რომლებიც დაინტერესებული არიან წყნარ ოკეანეს, უმთავრესად, ჩინეთის პრობლემით, სამაგიეროდ ნანკინელების მიერ პეკინისა და ტიანცზინის დაკავება იაპონიის ინტერვენციის პირობებში, არღვევ დროებით წონასწორობას, რომელიც შეიქმნა გომინდანელთა და გომინდანის მომხრე ჯგუფებში.

თავის-თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ჯერ ნაადრევია საბოლოო დასკვნების გამოყვანა. თვით პეკინისა და ტიანცზინის დაკავების ფაქტი და აგრეთვე ჩინეთის თუნდაც ნომინალური გაერთიანება, რაც იწვევს ნანკინის ცნობას ამა თუ იმ სახით, რამდენათმე მაღლა სწევენ ნანკინის აქციებს. ასევე ანტი-იაპონური მოძრაობაც, რამდენადაც ის ჯერჯერობით არაა მიმართული გომინდანის წინააღმდეგ, ობიექტიურად აძლიერებს ნანკინის პოზიციებს. თუ ამას მიუმატებთ ვაშინგტონის ერთგვარ „კეთილგანწყობილებას", უნდა ვაღიაროთ, რომ ფეოდალურ - ბურჟუაზიულ რეაქციის წინაშე ზოგიერთი შესაძლებლობა იქმნება. მაგრამ განხორციელდება თუ არა ეს შესაძლებლობანი, ეს სხვა საკითხია, რომლის ამა თუ იმ სახით გადაჭრა დამოკიდებულია ჩინეთის ფეოდალურ - ბურჟუაზიულ ბლოკის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა გამწვავების სიძლიერეზე, „ჩინეთით დაინტერესებულ" იმპერიალისტურ სახელმწიფოების ძალთა განწყობილებაზე, ამ სახელმწიფოების შემდგომ პოლიტიკაზე, და რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის ძალთა განწყობილებაზე— და ეს მთავარია— თვით ჩინეთის შიგნით. წინააღმდეგობა, რომელიც შიგნიდგან სწეწავს გარეგნულად „მთლიან" ჩინეთის ფეოდალურ - ბურჟუაზიულ ბლოკს, არასოდეს ისე არ ყოფილა გამწვავებული, როგორც დღეს, როცა, ნანკინის დეკლარაციის სიტყვით რომ ვსთქვათ, „ჩინეთის გაერთიანება დამთავრებულია" და „ნაციონალური მთავრობა უარყოფს მართვა-გამგეობის ყოველგვარ მილიტარისტულ ფორმას". ნანკინის მთავრობას, რა თქმა უნდა, შეუძლია გამოაქვეყნოს ისეთი დეკლარაცია, როგორიც მას სურს, მაგრამ ამით საქმის ნამდვილი მდგომარეობა არ იცვლება. საქმის ნამდვილ მდგომარეობას კი გაცილებით უკეთ ახასიათებს პირდაპირი შეტაკება ენ-სი-შანსა, რომელმაც პირველად დაიკავა პეკინი და ფინ-იუ-სიანს შორის, რომელიც შეეცადა მის განდევნას პეკინიდან, და ენ-სი-შანის წარმომადგენელის განცხადება, რომ „თუ ფინ-იუ-სიანი დამკვიდრდა ჩრდილოეთ ჩინეთში, ის მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს იაპონიასთან, ვინაიდან ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი უფრო ახლოა იაპონიასთან, ვიდრე საშუალო და სამხრეთ ჩინეთი". (გამოტოვებულია).

მაგრამ ფინ-იუ-სიანის კონკურენტებსაც არ სძინავთ, ისინიც ცდილობენ „დამკვიდრდენ" სადმე და ამ მიზნით ვიღაცასთან რაღაცა „დაამყარონ". ტყუილად კი არ გამოსთქვამენ შიშს კანტონში, როგორც ამას საკავშირო დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ „უახლოეს თვეებში ისეთივე ხასიათის ამბები დატრიალდება პეკინში, როგორსაც ადგილი ჰქონდა ხანკოუსა და შანხაის აღების შემდეგ, როცა გამარჯვებულ მილიტარისტებს შორის აშკარა მტრული მოქმედება დაიწყო

ამგვარად, წინააღმდეგობათა გამწვავება ჩინეთის რეაქციონური ბლოკის შიგნით, აშკარა ფაქტია.

როგორია იმ იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკა, რომლებიც „დაინტერესებულნი არიან ჩინეთში"? როგორ გავლენას ახდენს ეს პოლიტიკა? ანელებს იგი ზემოდ აღნიშნულ კონფლიქტს, თუ პირიქით, ამწვავებს? როცა იაპონელთა სამხედრო ხელისუფლება „აკმაყოფილებს" ფინ-იუ-სიანის თხოვნას იმის შესახებ, რომ მასთან მრჩევლად გაიგზავნოს იაპონიის გენერალური შტაბის ჩინური განყოფილების უფროსი ან როცა გონკონგის ინგლისელი გუბერნატორი აშკარად აცხადებს, რომ იგი სცნობს მხოლოდ ლი-ტი-სინს, ყოველივე ეს, რასაკვირველია, „დეტალებია", რომლებიც უდაოდ ამტკიცებს იმას, რომ იაპონია და დიდი ბრიტანეთი, წინააღმდეგ ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებისა, ატარებენ „გავლენის სფეროების" პოლიტიკას, ჩინეთის გაერთიანებისათვის აქტიურად წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკას, მაშასადამე, ჩინეთის სხვადასხვა ჯგუფებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავების პოლიტიკას. მაგრამ ეს პოლიტიკა თითქმის ყოველთვის იწვევს ურთიერთობის გართულებას და გამწვავებას შეერთებულ შტატებთან. ცნობილია თუმცა არაოფიციალური, მაგრამ მეტად ენერგიული განცხადება, რომ „შეერთებული შტატები არ სცნობენ იაპონიის არავითარ განსაკუთრებულ უფლებებს და ინტერესებს მანჯურიაში". ცნობილია ვაშინგტონის აშკარა სურვილი გაიმიჯნოს ჩინეთში არა მარტო იაპონიის მოქმედებათაგან, არამედ „სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან", თანამშრომლობისაგანაც მთელ რიგ შემთხვევებში.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ვაშინგტონის შემდგომი მოქმედება ამჟამად წარმოადგენს სხვადასხვაგვარ, ზოგჯერ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მსჯელობათა საგანს. გადამწყვეტი საკითხი, რასაკვირველია, არის რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის ძალთა განწყობილება. ჩინეთის რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის ძალთა განწყობილება რამდენადმე დამოკიდებულია ორ პირობაზე: წინააღმდეგობათა გამწვავებაში ჩინეთის ფეოდალურ-ბურჟუაზიული ბლოკის შიგნით და იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკაზე. იმპერიალისტური მტაცებლების, უპირველეს ყოვლისა, იაპონიის ახალი შეტევა ნიშნავს ანტი-მილიტარისტული მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას, რომლის შეკავება გამანდარინებული გომინდანის „ლოიალობის" ფარგლებში შეუძლებელი იქნება. ამავე დროს ჩინეთის პროლეტარიატის აქტიობის ზრდის უტყუარი ნიშნები, აგრარულ პრობლემასთან ერთად, რომელიც კიდევ უფრო გამწვავდა უკანასკნელ ხანებში პარტიზანულ ომთან და სისხლისმღვრელ რეპრესიებთან, და აგრეთვე გომინდანის „რეფორმატორული" მოღვაწეობის სრულ დამარცხებასთან დაკავშირებით, ფეოდალურ - ბურჟუაზიული რეაქციისათვის ნიშნავს ისეთ „მინუსებს", რომლებიც საბოლოო ანგარიშში სავსებით აბათილებს მის მიერ მიღებულ პლიუსებს.

ყოველივე ეს ერთად აღებული, ობიექტიურად ადიდებს რევოლიუციონური ელემენტების ხვედრითი წონას ჩინეთში, რომელთა მოქმედება შექმნილი მდგომარეობაში შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი.

**პრავდა, 21 ივნისი.**

# იაპონიამ გადაწყვიტა არ შეუშვას მანჯურიაში სამხრეთის ჯარები

## სროლა სამხრეთ-სლავიის პარლამენტში.--მოკლულია 2, დაჭრილია 3 დეპუტატი

## გერმანიაში უშედეგოთ გრძელდება მოლაპარაკება „დიდი კოალიციის" მთავრობის შედგენის შესახებ

# ბრძოლა ჩინეთში

### იაპონიის კონტროლი მანჯურიაში

**ნიუ-იორკი,** 20 ივნისი. „ნიუ-იორკ-ტაიმს"-ში მოთავსებულია გაზეთის დაჩენილ კორესპონდენტის ინტერვიუ სამხრეთ-მანჯურიის რკ.-გზის ვიცე-დირექტორთან მატსუოკასთან. **ინტერვიუში მატსუოკა მანჯურიას იხსენიებს იაპონიის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ტერიტორიათ. მატსუოკას სიტყვით, იაპონია არ დაუშვებს სამხრეთელების შესვლას მანჯურიაში.** შემდეგ მატსუოკამ განაცხადა, რომ „მანჯურია იაპონიისათვის არის თავდაცვის პირველი ხაზი და იაპონიის განსაკუთრებული ინტერესები მოითხოვს იაპონიის კონტროლს მანჯურიაზე". (ადს).

### მანჯურიაში იძულებული არიან მიიღონ გომინდანის დროშა

**პეკინი,** 20 ივნისი. „მანჯურია დეილი ნიუსი", იხილავს რა მუკდენში შექმნილ მდგომარეობას, სწერს:

**„ჩან-სუე-ლინი და იან იუ-ტინი იძულებული იქნებიან მიიღონ მანჯურიისათვის გომინდანის დროშა".**

მეორე გაზეთი „შენ-ცზინ-შიბაო", რომელსაც იაპონელები სცემენ, სწერს::

„მოძრაობა სამ აღმოსავლეთ პროვინციაში საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტის სასარგებლოდ, საგრძნობლად იზრდება. **მანჯურიაში ალბად მალე აფრიალდება გომინდანის დროშები"** (ადს).

### „არ შეასუსტონ სიფხიზლე"

**პეკინი,** 20 ივნისი. სამხედრო სარდლობამ წერილობითი განკარგულება მისცა პეკინის დამცველ ნაწილებს „არ შეასუსტონ სიფხიზლე" კომუნისტ აგიტატორების საქმიანობის მიმართ პეკინში, ვინაიდან არის ცნობები, რომ ქალაქში „იმალებიან კომუნისტები".

### იაპონელები მანჯურიაში

**შანხაი,** 20 ივნისი. „დუჩენ"-ის დეპეშათა სააგენტო მუკდენიდან იუწყება, რომ იაპონიის ჯარებმა, იაპონიის მოქალაქეთა დაცვის მიზნით, დაიკავეს ლინზზიანის მაზრა, რომელიც ჩინეთ-კორეის საზღვარზეა. ჩინური პოლიცია მაზრაში შესცვალა იაპონელთა პოლიციამ. მთავრობის დაწესებულებები დაიკავეს იაპონიის ჯარებმა, რომლებმაც ბევრი ჩინელი დააპატიმრეს (ადს).

### გაფიცვის შეწყვეტა

**შანხაი,** 20 ივნისი. შანხაის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკების გაფიცულმა მუშებმა შესწყვიტეს გაფიცვა. მწარმოებლებს არ სურთ მუშათა განახლება, ამიტომ მათ გადასწყვიტეს ყველა გაფიცულ მუშების დათხოვნა. გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკება (ადს).

### ხმები იან-იუ-ტინის მოკვლის შესახებ

**პეკინი,** 20 ივნისი. ტოხოს სააგენტო აქვეყნებს ხმებს მუკდენის არმიის შტაბის უფროსის იან-იუ-ტინის მოკვლის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩან-ძო-ლინის მემკვიდრის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების დროს იაპონელები წინააღმდეგი იყვნენ იან-იუ-ტინის კანდიდატურის (ადს).

### ჩან-სუე-ლინი შეუდგა გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის ასრულებას

**ხარბინი,** 20 ივნისი. ჩან-სუე-ლინი 18 ივნისს ჩავიდა მუკდენში და მეორე დღესვე შეუდგა მუკდენის პროვინციის გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის ასრულებას (ადს).

### ინგლისი და ჩრდ.-ამერ. შეერთებული შტატები ნერვიულობენ

**პეკინი,** 20 ივნისი. იაპონიის კონსული ხარბინში **იაგი** იუწყება, რომ ინგლისის კონსული და ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების კონსული ხარბინში „ვერ ფარავენ აღელვებას" და ყოველდღე გებულობენ იაპონიის გენერალურ საკონსულოში მანჯურიის ამბებს (ადს).

### პირდაპირი მიმოსვლა პეკინ-ხანკოუს შორის

**პეკინი,** 20 ივნისი. სარკინიგზო მიმოსვლა პეკინსა და ტიანძინს შორის აღდგენილია.

პეკინში ორი წლის განმავლობაში პირველად მოვიდა პირდაპირი მატარებელი ხანკოუდან (ადს).

### იაპონელები შანდუნში

**შანხაი,** 20 ივნისი. პრესა იუწყება, რომ შანდუნის პროვინციაში იაპონელთა საექსპედიციო ჯარებმა ანცზიუს (შანდუნის პროვინციის მთავარ ქალაქ ცზინანის მახლობლადაა) მაზრაში ყუმბარები დაუშინეს სოფლებს. იაპონელებმა საარტილერიო ცეცხლი სრულიად უმიზეზოდ გაახსნეს. დანგრეულია ცხრა სოფელი. მოკლულია 11 ჩინელი და მძიმედ დაჭრილია 200. სასოფ. ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლები დახვრეტილია ჯარებმა, რომლებმაც სოფლები დაიკავეს, მოსახლეობას ჩამოართვეს მთელი იარაღი (ადს).

### მუკდენის ჯარების გადარჩენილი ნაწილები

**შანხაი,** 20 ივნისი. იუწყებიან, რომ სამხრეთის ჯარები, რომლებიც პეკინსა და ტიანცზინში იყვნენ დაბანაკებული, დაიძრენ ჩრდილოეთისაკენ იმ მიზნით, რომ საკუთრივ ჩინეთის ტერიტორიიდან განდევნონ მუკდენისა და შანდუნის ჯარების გადარჩენილი ნაწილები

### ბაო-იუ-ტინის ჯარები

**შანხაი,** 20 ივნისი. როგორც ჩინური გაზეთები იუწყებიან, ფინ-იუ-სიანმა ნანკინის მთავრობას ხელმძღვანელებს აცნობა, რომ მან მისი ჯარების სარდალს პეკინის რაიონში გენერალ ხანგუჩუს წინადადება მისცა დაუბრუნოს იარაღი და ამუნიცია ბაო-იუ-ტინის ჯარებს, რომლებიც განაიარაღეს პეკინის მახლობლად (ადს).

# სამხრეთ-სლავიის პარლამენტში მოკლეს ორი დეპუტატი და დასჭრეს რამოდენიმე

**ვენა,** 20 ივნისი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ მარცხით დამთავრდა მოლაპარაკება მთავრობასა და ოპოზიციის შორის, 19 ივნისს ოპოზიციამ განიხილა ობსტრუქციის ტაქტიკა სკუპშტინაში.

19 ივნისის სხდომაზე, როცა სტეფან რადიჩმა მკაცრად გაილაშქრა უმრავლესობის წინააღმდეგ, რადიკალმა პოპოვიჩმა გადასძახა მას: „გარწმუნებთ, რომ თქვენ ცოცხალი ვერ გავალთ სხდომის დარბაზიდან"!. მეორე რადიკალმა შეიტანა წინადადება, რათა ექიმებს შეემოწმებიათ რადიჩის ფსიქიური მდგომარეობა და თუ ის ნორმალურად იქნებოდა ცნობილი, „მკაცრად დაესაჯათ".

სკუპშტინის 20 ივნისის სხდომაზე რადიჩის პარტიის დეპუტატებთან შეხლა-შემოხლის შემდეგ **რაჩიჩმა** რამოდენიმეჯერ **ესროლა** რევოლვერი რადიჩის პარტიის დეპუტატს. **სროლის დროს მოკლულ იქნა სტეფან რადიჩის ძმისწული, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე პავლე რადიჩი, მძიმედ დაიჭრა რადიჩის პარტიის თავმჯდომარის ამხანაგი ბასარიჩეკი და რადიჩის პარტიის დეპუტატი პერნარი. ხმების მიხედვით, მძიმედ არის დაჭრილი აგრეთვე სტეფან რადიჩი.**

რაჩიჩი დაპატიმრებულია. რაჩიჩი არის სერბიელი ფაშისტების ბელადი— ფაშისტთა კავშირების ორგანიზატორი (ადს).

**ვენა,** 20 ივნისი. სამხრეთ-სლავიის სააგენტოს ცნობით, **დეპუტატი ბასარიჩეკი გარდაიცვალა ჭრილობისაგან. სტეფან რადიჩი და რადიჩის პარტიის კიდევ ორი დეპუტატი მძიმედ არის დაჭრილი** (ადს).

# პილსუდსკის ორგანო ამხ. ჩიჩერინის ნოტის შესახებ

**ვარშავა,** 20 ივნისი. სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა" მოწინავეში ჩიჩერინის ნოტის შესახებ აცხადებს, რომ ახალი ნოტა გამოიწვევს გაუგებრობის საბოლოო ლიკვიდაციის დაგვიანებას. გაზეთი ჩერდება აგრეთვე საბჭოთა კავშირის პრესის „კამპანიაზე" პოლონეთის წინააღმდეგ.

„საკმარისია მოვიგონოთ, — სწერს გაზეთი, — „იზვესტია"-ს უკანასკნელი წერილები პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ და საბჭოთა პრესის თავდასხმები გრომადის პროცესთან დაკავშირებით, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გეგმიან კამპანიასთან. პოლონეთის გენერლის თვითეული გამგზავრება საზღვარგარეთ ხდება ახალ არგუმენტათ პოლონეთის ინტრიგების დასამტკიცებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა ხელსაყრელ ატმოსფერას ქმნის პრესის ამგვარი კამპანიისათვის. ამ კამპანიის აქვს კიდევ მეორე მხარე. ის ქმნის მოჩვენებითი გამწვავებულ მდგომარეობას პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და ეს გავლენას ახდენს იმ ხალხის განწყობილებაზე, რომლებისათვისაც პოლონეთს არ შეეძლო უარი ეთქვა თავშესაფარის მიცემაზე". (ადს)

# კოალიციონურ მთავრობის შედგენის გარშემო

**ბერლინი,** 20 ივნისი. მოლაპარაკებას ახალი კაბინეთის შედგენის შესახებ არავითარი შედეგი არ მოჰყვა. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ **მოლაპარაკება შემდეგ კვირამდე მაინც გაგრძელდება.** მიუხედავად ამისა, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ „დიდი კოალიციის" მთავრობა აუცილებლად იქნება შედგენილი (ადს).

### შრომის მინისტრის პორტფელი

**ბერლინი,** 20 ივნისი. ქრისტიანულ პროფკავშირთა საოლქო გაერთიანებამ კელნში ქრისტიანულ პროფკავშირთა ბელადს შტეგერვალდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ცენტრის პარტიამ გერმანიის ახალ მთავრობაში არ უნდა აიღოს შრომის მინისტრის პორტფელი. კელნის ქრისტიანული პროფკავშირები მოითხოვენ, რომ შრომის სამინისტრო ახალ მთავრობაში სავსებით დარჩეს სოციალ-დემოკრატების პასუხისმგებლობის ქვეშ.

პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ დეპეშას, რომელიც გვიჩვენებს, რომ არც ცენტრს და არც სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც მუშათა კლასის ინტერესების დაცვის პრეტენზიებს აცხადებენ, არ სურთ იკისრონ პასუხისმგებლობა შრომის სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის, სამინისტროს, რომელიც ძალიან ცუდი რეპუტაციით სარგებლობს მუშათა მასებს შორის (ადს).

### წინადადება მაქს გელცის განთავისუფლების შესახებ

**ბერლინი,** 20 ივნისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ შეიტანა წინადადება მაქს გელცის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

სოციალ - დემოკრატ დეპუტატმა მოზესმა — ამნისტიის საკითხის განმხილველი კომისიის თავმჯდომარემ მომავალი კვირისათვის დანიშნა კომისიის სხდომა გელცის საკითხის განსახილველად.

კომუნისტურ წრეებში ძალიან სკეპტიკურად უყურებენ სოციალ-დემოკრატების ამ ცდას „გამოიჩინონ ინიციატივა" გელცის საქმეში.

ლ ე ბ ე
მენშევიკი, რეიხსტაგის თავმჯდომარე.

გელცის ვექილებს აპფელს და როზენფელდს საუბარი ქონდათ უზენაეს სასამართლოს დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ლეიპციგში — ლორენთან, რომელმაც განაცხადა, რომ სასამართლო საქმის გადასინჯვის შესაძლებლობის საკითხს განიხილავს მხოლოდ ივნისის დასაწყისში. (ადს).

### კომფრაქციის წინადადება

**ბერლინი,** 20 ივნისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ შეიტანა წინადადება, რომ სავსებით შესწყდეს მუშაობა ჯავშნოსან „A"-ს ასაგებად და ჯავშნოსანისათვის გადადებული 9 მილიონი მარკა მოხმარდეს მოსწავლეთა კვების საქმეს. (ადს).

# დეპუტატთა პალატაში

**პარიზი,** 20 ივნისი. გარდა პოლ-ბონკურისა, რომელიც არჩეულ იქნა საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ და მალვისა რადიკალი), რომელიც არჩეულ იქნა საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ, არჩეული არიან: მიწათმოქმედების კომისიის თავმჯდომარედ ლიალიანი (რადიკალ-სოციალისტი), სამხედრო კომისიის თავმჯდომარედ მაჟინი (ყოფილი სამხედრო მინისტრი, ნაციონალური ბლოკის დეპუტატი), ადმინისტრატიული კომისიის ფიანსეტი (სოციალისტები), კოლონიალური—ტეტენჟე (რესპუბლიკანურ-დემოკრატიული კავშირი); ელზას-ლორენის საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ—ელზასელი დეპუტატი ვალტერი. მემარჯვენე დეპუტატებმა უარი განაცხადეს საფინანსო კომისიაში მონაწილეობაზე, ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ მალვი არჩეულ იქნა საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ, შანდელენი (რადიკალი)—გენერალურ მომხსენებლად და მემარცხენე პარტიების მთელი რიგი დეპუტატები არჩეულ იქნენ მომხსენებლებად ბიუჯეტის ძირითად საკითხებზე.

მაგრამ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ამ კონფლიქტის მოგვარების მიზნით გადასინჯულ იქნება ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა განაწილების საკითხი. რადიკალური პრესა კომისიების არჩევნების შედეგებში ხედავს საბოლოო დამარცხებას.

მემარჯვენე პრესა მიდის იმ დასკვნამდე, რომ არჩევნებში გამარჯვებულები პუანკარეს თანხმობით პალატაში ჩაყენებული არიან „ღარიბი ნათესავების" მდგომარეობაში და აცხადებს, რომ ამგვარი მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს და იგი „საშინელ შედეგებს" გამოიწვევს.

სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპიულერი", ხაზს უსვამს რა მემარჯვენეთა აშკარა კამპანიას პუანკარეს წინააღმდეგ, ამბობს: „ეროვნული მთლიანობის ბლოკის საკითხი განსაცდელშია" (ადს).

# საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

**პარიზი,** 29 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციაზე მთელი დღე გრძელდება კამათი **სემარის** მოხსენების გარშემო პარტიის ამოცანების შესახებ. კამათში გამოსული ორატორები ახასიათებენ რა არჩევნების მსვლელობას მათ რაიონებში, აღნიშნავენ, რომ **პარტიის ტაქტიკა სავსებით გამართლდა. ის მშვენივრად შეითვისა და განახორციელა მასებმა.** ყველა ორატორებმა დაჰგმეს რენო აგანის პოზიცია, აღნიშნეს რა, რომ ეხლა ვერაფერი ვერ გაამართლებს იმ ტაქტიკაზე უარის თქმას, რომელიც წარმოადგენს გარდატეხას მუშათა კლასის ბრძოლაში საბოლოო მიზნებისათვის (ადს).

# კომუნისტების დევნა იტალიაში

### შუამდგომლობა იტალიის კომპარტიის საქმის გადასინჯვის შესახებ

**პარიზი,** 20 ივნისი. „ჰუმანიტე" იუწყება, რომ იტალიის კომპარტიის საქმეზე მსჯავრდადებულთა დამცველებმა აღძრეს შუამდგომლობა საქმის გადათვალიერების შესახებ. ხმების თანახმად, მუსოლინს განზრახული აქვს „თითონ მოჰკიდოს ხელი საქმის გარჩევას". (ადს).

### კომუნისტების დაპატიმრება

**პარიზი,** 20 ივნისი. რომიდან მიღებულ ცნობით, ლაციუმში (იტალიის პროვინცია, რომლის მთავარი ქალაქი არის რომი) დააპატიმრეს 120 გლეხი. დაპატიმრებულთ ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი შედიან გლეხთა ლიგაში, რომელიც ემხრობა იტალიის შრომის არალეგალურ კონფედერაციას. რომში „კომუნისტურ პროპაგანდისათვის" დააპატიმრეს „უნიტა"-ს ყოფილი ერდაქტორი ამორეტი და ანა ბუსონე. დაპატიმრების დროს ამორეტის ძლიერ სცემეს. პოლიცია არ ამბობს, სად არის მოთავსებული პატიმარი (ადს).

# პილსუდსკის მანევრი

**ვარშავა,** 20 ივნისი. პოლონეთის სენატმა სრულიად მოულოდნელად ყოველგვარი შესწორების გარეშე მიიღო ბიუჯეტი სეიმის მიერ მიღებულ რედაქციით. ამან გამოიწვია მთელი პრესის გამოხმაურება, ვინაიდან მოელოდენ, რომ მთავრობა ისარგებლებს ძლიერი უმრავლესობით სენატში, რათა აღადგინოს სეიმის მიერ უარყოფილი საბიუჯეტო ასიგნობები.

მთავრობის ტაქტიკის შეცვლას ხსნიან იმით, რომ **მთავრობას ამჟამად სურს გაამწვავოს დამოკიდებულება სეიმთან, ცდილობს არ დაუშვას დისკუსია არჩევნების დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ და რაც შეიძლება ჩქარა დაითხოვოს სეიმი საზაფხულო არდადეგებზე.**

სეიმის 19 ივნისის სხდომა, როგორც სჩანს, უკანასკნელი სხდომა იყო მიმდინარე სესიაში. სეიმის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა კანონპროექტი ამნისტიის შესახებ. **ამნისტია მხოლოდ მინიმალურად ვრცელდება პოლიტიკურ პატიმრებზე. ის ვრცელდება მხოლოდ იმ ბოროტმოქმედებებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა 1926 წლის 3 მაისამდე,** ე. ი. მაისის გადატრიალებამდე. სეიმის პლენუმზე კომუნისტების, უკრაინელების და ბელორუსების მიერ წამოყენებული ყველა შესწორებები უარყოფილ იქნა უმრავლესობის მიერ. უარყოფილ იქნა ბელორუს დეპუტატების წინადადება ამნისტიის გავრცელების შესახებ ბელორუსთა გრომადის საქმის გამო მსჯავრდადებულებზე, კომუნისტმა დეპუტატმა **ბიტნერმა** თავის სიტყვაში სასტიკად გააკრიტიკა კანონი ამნისტიის შესახებ. „სელრობის" წარმომადგენელმა განაცხადა, **რომ კანონი ამნისტიის შესახებ მეფის მანიფესტის სულითაა გაჟღენთილი.**

# ბერტელო ლონდონში

**ბერლინი,** 20 ივნისი. „დეიჩე ალგემაინ ცეიტუნგ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის პოლიტიკური წრეები ცდილობენ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალურ მდივნის ბერტელოს მოულოდნელად ჩასვლას ლონდონში არ მისცენ პოლიტიკური მნიშვნელობა.

„სავსებით აშკარაა,—სწერს კორესპონდენტი, — რომ **ბარტელოს ჩასვლა ლონდონში დაკავშირებულია ზალესკის მახინაციებთან მისი პარიზში ყოფნის დროს. ინგლისის დიპლომატია ერთგვარ ეჭვით ადევნებდა თვალყურს ზალესკის საქმიანობას და ინგლისის ბერლინელ ელჩის ლინდსეის მოულოდნელად ვარშავაში მივლინებით მან დემონსტრატიულად გამოაშკარავა, რომ დაინტერესებულია ამ საქმით, ბრიანს უნდა ბერტელოს საშუალებით თავიდან აიცილოს შესაძლო გაუგებრობანი"** (ადს).

# შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის

**მოსკოვი,** 21 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაამტკიცოს საბჭ. კავშირსა და ესტონეთს შორის დადებული შეთანხმება სავაჭრო და საფაბრიკო ნიშნების ურთიერთ დაცვის შესახებ. (ადს)

# გაფიცვა საბერძნეთში

### ვენიზელოსი ზაურბის შუამავლობას

**ვენა,** 20 ივნისი. ათინიდან მიღებულ ცნობით, რეფორმისტები შეეცადენ დაეთანხმებიათ ვენიზელოსი ჩარეულიყო კონფლიქტში. ვენიზელოსმა უარყო წინადადება შუამავლათ გამოსვლის შესახებ და განაცხადა, რომ მთავრობას უნდა განეხილა მუშების მოთხოვნილებები, რაც შეასუსტებდა კომუნისტების გავლენას მუშებზე.

ბელგრადის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს, რომლებიც, ალბათ, გამომდინარეობს მთავრობის წყაროებიდან. ამ ცნობებში ნათქვამია, რომ თითქოს, გაფიცულებსა და პანღალოსის მომხრეებს შორის არსებობს კავშირი და რომ ამის გამო გაძლიერებულია პანღალოსის მცველი რაზმი (ადს).

# „როტე ფანე" საბერძნეთის ამბების შესახებ

**ბერლინი,** 20 ივნისი. საბერძნეთში მომხდარი ამბების შესახებ „როტე ფანე" სწერს:

„ინგლისში მიღებული სესხით დაწყებულმა „მუშაობამ სტაბილიზაციისათვის" საბერძნეთი გადააქცია ინგლისის კოლონიად, სადაც ინგლისი სცდილობს მშრომელთა კლასების დარბევით შექმნას წინასწარი პირობები ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბერძნეთის პარლამენტმა ინგლისის ბრძანებით უარჰყო სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან და სცდილობს გასწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან. ის როლი, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმს ეკუთვნის საბერძნეთის კონტრ- რევოლიუციის მოქმედებაში, მეტად დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს საბერძნეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ თავდაცვით ბრძოლას და თავისი მნიშვნელობით სცილდება საბერძნეთის ფარგლებს". (ადს)

# „როტე ფანე"-ს რედაქტორის დაჯარიმება

**ბერლინი,** 20 ივნისი. მიუნხენის სასამართლომ „როტე ფანე"-ს პასუხის მგებელ რედაქტორ ქალს იმგარდრამს მიუსაჯა დაჯარიმება 3.000 მარკით გენერალ ეპპის შეურაცყოფისათვის, რაიც გამოიხატა იმაში, რომ გაზეთში დაბეჭდილ ერ-ერთ წერილში გენერალ ეპპს უწოდეს მუშათა მკვლელი. (ადს)

# ნობილეს დასახმარებლად

### ნობილეს მდგომარეობა

**ოსლო,** 20 ივნისი. კინგსბეიში აფიქრებთ ნობილეს ექსპედიციის იმ ნაწილის ბედი, რომელიც ფეხით წავიდა შპიცბერგენისაკენ, ვინაიდან შპიცბერგენის ნაპირებთან აღმოჩენილია ახალი ყინული. იტალიელი მფრინავი მადალენა იუწყება, რომ მას არ უნახავს დირიჟაბლ „იტალია"-ს რაიმე ნამსხვრევები.

მფრინავები **ლარსენი** და **ხოლმი,** რომელთაც ოთხჯერ მოახდინეს საჰაერო დაზვერვა, ამტკიცებენ, რომ ყინული არაჩვეულებრივად სქელია და გემი „ბრაგანცა" მოკლებულია საშუალებას გასცდეს ჩრდილოეთ კონცხის აღმოსავლეთ ნაპირს აღმოსავლეთის მიმართულებით. მფრინავების სიტყვით, ყინულის მჭრელი გემიც კი ვერ შესძლებს ამ ყინულებში გავლას, სანამ მათ გრიგალი არ დაამტვრევს.

### რადიო სიგნალის საშუალებით

**რომი,** 20 ივნისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ 20 ივნისს მადალენას ჰიდროაეროპლანზე „დადგმულ იქნა რადიო-სადგური და კინგსბეიში მოახდინეს ცდები ჰიდროაეროპლანის მიმოსვლისათვის რადიო-სიგნალების საშუალებით.

6 საათზე მადალენა გაფრინდა ნობილეს ჯგუფის მოსაძებნად. სასიგნალო ხელმძღვანელობა რადიოს საშუალებით სავსებით მიზანშეწონილი აღმოჩნდა. მადალენას სიტყვით, რადიო სიგნალების დაუხმარებლად ის ვერ მონახავდა ნობილეს ადგილმყოფელობას.

მადალენამ დაინახა ხუთი სავსებით ჯანსაღი კაცი, რომლებიც ჟესტებით აჩვენებდნენ, რომ მათთვის ჩამოეგდოთ სურსათი.

„ჩიტა დი მილანოს" უფროსი ნობილესაგან ელის ცნობებს იმის შესახებ, მიიღეს თუ არა მადალენას მიერ ჩამოგდებული სურსათი.

მფრინავი ლარსენი, რომლის ჰიდრო-აეროპლანს აქვს რადიოდადგმულობა, კვლავ გაემგზავრა ნობილეს მოსაძებნად, მაგრამ უშედეგოდ

### ყინულის მჭრელი „კრასინი"

**მოსკოვი,** 21 ივნისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ნობილეს დამხმარე კომიტეტში გადასცეს შემდეგი ცნობები საბჭოთა ექსპედიციების მდგომარეობის შესახებ:

„კრასინ"-მა კატეგატის სრუტეთი გაიარა დანიის კუნძულები, 21 ივნისს ის მივა ბერგენში, სადაც მიიღებს ქვანახშირის მარაგს და წავა შპიცბერგენისაკენ. ექსპედიციის უფროს სამოილოვიჩის ცნობით, გემებიდან, რომლებიც გზაში ხვდებოდენ კრასინს, საბჭოთა ექსპედიციას ესალმებოდნენ ძახილით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!".

„მალიგინ"-ი შეჩერდა ყინულებში, საიდანაც უნდა გაფრინდეს აეროპლანი. აეროპლანის გაგზავნა რამოდენიმედ შეფერხდა ამინდის გამო—დგას 10 გრადუსი სითბო, მოდის სველი თოვლი, რომელიც ამძიმებს აეროპლანებს და საშუალებას არ აძლევს გაფრინდეს სათანადო დატვირთვით (ადს).

### რადიო „მალიგინ„-იდან

ყინულის მჭრელი „მალიგინ"-ი, 21 ივნისი: „გვაქვს ცნობა უცხოელ ჟურნალისტებისაგან შპიცბერგენიდან იტალიელ მფრინავ მადალენას გადაფრენის შესახებ, რაც შვიდ საათს გაგრძელდა. მადალენამ იპოვა ნობილე და მისი ექსპედიციის ხუთი წევრი და გადაუგდო მათ ყველა საჭირო ნივთები და სურსათი. მადალენა დაბრუნდა „ჩიტა დი მილანო"-ზე. ორი დანარჩენი ჯგუფი ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინეს „მალიგინ"-ი მიუხედავად ნისლისა შეეცადა ჩრდილოეთისაკენ წაწევას, მაგრამ ის შეაჩერა გაუვალმა პოლიარულმა ყინულებმა. (ადს).

# სხვადასხვა

### გაფიცვა ალმასის მადნებზე გრასფონტეინში

**ლონდონი,** 20 ივნისი. იოგანესბურგიდან (სამხრეთ-აფრიკის კავშირი) მიღებულ ცნობის თანახმად, გრასფონტეინის ალმასის მადნებზე გაფიცვა ფართოვდება. უკვე გაფიცულია 20.000 მუშა. ადმინისტრატიულ თანამდებობებზე მყოფ ევროპიელებსა და გაფიცულებს შორის მოხდა შეტაკება. დაჭრილია 8 ევროპიელი, ადმინისტრაციაში შემავალი ევროპიელები ოჯახებს გზავნიან გაფიცულ რაიონიდან. რაიონში იგზავნება პოლიციის გაძლიერებული რაზმები (ადს).

### გერმანიის მუშა-მომღერალთა საზოგადოებების ყრილობა

**ბერლინი,** 20 ივნისი. ჰანოვერში გაიმართა მუშა-მომღერალთა საზოგადოებების ყრილობა, რომელსაც გერმანიის ყველა კუთხიდან ესწრებიან წარმომადგენლები. დელეგატები 35 სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ.

დღესასწაულს ესწრებიან აგრეთვე სხვა ქვეყნების მუშათა სასიმღერო საზოგადოებების დელეგაციებიც.

დღესასწაული მოაწყვეს სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაც ნება არ დართეს კომუნისტებს გამოსულიყვნენ ყრილობაზე (ადს).

### დემოკრატები პაციფისტების წინააღმდეგ

**ბერლინი,** 20 ივნისი. ცნობილი ბურჟუაზიული პაციფისტი გენერალი (სამსახურიდან გასული) შენაიხი გავიდა დემოკრატიული პარტიიდან. პარტიიდან გასვლის საბაბი იყო ის გარემოება, რომ დემოკრატიული პარტიის ვიურტემბერგის ორგანიზაციამ პროტესტი განაცხადა შენაიხის მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა სამხედრო სამსახურზე უარის თქმის სასარგებლოდ.

### ამერიკელ ინჟენერების დათხოვნა სპარსეთში

**თეირანი,** 20 ივნისი. სპარსეთში სარკინიგზო მშენებლობისათვის კონსორციუმის მოწყობასთან დაკავშირებით ამერიკელ ინჟენრები დათხოვნილი იქნებიან სახელმწიფო სამსახურიდან. მსურველებს შეუძლია იმსახურონ კონსორციუმში (ადს).

### ახალი სპიკერი

**ლონდონი,** 20 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატამ კონსერვატორთა დეპუტატი ფიცროი აირჩია სპიკერათ (თემთა პალატის თავმჯდომარე) უიტლის ადგილზე (ადს).

# მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### საბჭოთა აპარატის კიდევ ერთი იარა

**მოსკოვი,** 21 ივნისი. მოსკოვის პრესა უკანასკნელ ხანებში ხშირად ეხებოდა ტუაპსეს საბჭოს მუშაობას. აქ, გაზეთების სიტყვით, ადგილი ჰქონდა სმოლენსკის ორგანიზაციის მსგავს მახინჯ მოვლენებს.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია სასწრაფოდ შეუდგა საბჭოთა აპარატის გამოკვლევას ტუაპსეში. გამოკვლევამ სავსებით დაადასტურა პრესის აზრი ტუაპსეს მთელ რიგ პასუხისმგებელ მუშაკებზე.

გამოაშკარავებულია უმსგავსოებათა მრავალი ფაქტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელი ბოროტების მეთაური იყვნენ თვით საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელები. პასუხისმგებელ პირთა სისტემატიური ლოთობა, სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულობანი, უმომჭირნეობა, პროტექციონიზმი, კავშირი ანტი-საბჭოთა ელემენტებთან და სხვა ამის მსგავსი მოვლენები სურნელოვან თაიგულად გაიშალა ტუაპსეში.

ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ადგილობრივი პარტიული კომიტეტი ვერ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე. პარტკომი გულგრილად უყურებდა ყოველივეს, რაც საბჭოთა ხაზით ხდებოდა. ზოგჯერ პარტიულ კომიტეტის ესა თუ ის წევრები თვით იღებდნენ მონაწილეობას გახრწნილ კამპანიის საქმიანობაში.

საკონტროლო კომისიის ორგანოებმა ცხადჰყო, რომ ტუაპსეს საბჭოთა ორგანიზაცია სავსებით გაიხრწნა. პარტიიდან გამორიცხეს და თანამდებობიდან მოხსნეს ალმასკომის თავმჯდომარე ბონდარენკო, პარტიისათვის სრულიად უცხო ელემენტი, იშვიათი კომბინატორი და პოლიტიკური შანტაჟისტი. ასეთივე სასჯელი ხვდა წილად ალმასკომის მდივანსაც.

კომისიამ მიიღო ზომები პარტკომის ხელმძღვანელ პირთა შემადგენლობის გადასახალისებლად. მდივანი მოხსნილია თანამდებობიდან და გაგზავნილია დაზგაზე სამუშაოდ. ორი წლის განმავლობაში მას უფლება არა აქვს დაიკავოს საპასუხისმგებლო თანამდებობა.

### სარეწაო კოოპერაციის განვითარებისათვის

**მოსკოვი,** 21 ივნისი. მოსკოვის სახალხო მეურნეობის საბჭომ განკარგულება გასცა თავის ქვემდებარე წარმოება- დაწესებულებისადმი, რომ მათ ყოველნაირად ხელი შეუწყონ სარეწაო კოოპერაციის განვითარებას. განკარგულებაში ნათქვამია, რომ საჭიროა გამოვიჩინოთ მაქსიმალური აქტივობა მთავრობის დირექტივის შესასრულებლად სარეწაო კოოპერაციის განმტკიცების დარგში.

### 9 ახალი ქიმიური ქარხანა

**მოსკოვი,** 21 ივნისი. სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებით უკვე სწარმოებს მუშაობა მოსკოვის გუბერნიის ქიმიზაციისათვის.

პირველ რიგში აგებული იქნება 9 ახალი ქიმიური ქარხანა, მათ რიცხვში გოგირდმჟავას, სუპერფოსფატასის და კოკსის ქარხნები და ფოსფორიტის წისქვილი.

ეროვნული

# უკანასკნელი ცნობები

### გაფიცვა საბერძნეთში

**ვენა, 21 ივნისი.** ავსტრიის პრესის ყველა ცნობები იუწყება გაფიცვის გაფართოებაზე. გუშინ გაფიცვას მიემხრნენ თამბაქოს ქარხნების მუშები ლამიაში. პირეაში, ათინის მიწისქვეშ მომუშავე მუშები და ათინის ფურნეების მუშები. სახელმწიფო მოსამსახურეებმა წამოაყენეს ულტიმატუმი თავის მოთხოვნილებათა 48 საათის განმავლობაში დაკმაყოფილების შესახებ. მაკედონიასა და ფრაკიაში შტრეიკბრეხერებს აგროვებენ მუშებს შორის. შტრეიკბრეხერებს იცავს ჯარი, რის გამოც მრავალ ადგილას შეტაკება მოხდა გაფიცულებსა და ჯარებს შორის. სალონიკსა და მაკედონიის ქალაქებში, როგორც იუწყებიან, საალყო წესები შემოღებული (ადს).

### ბრძოლა სკუპშჩინაში

**ვენა. 21 ივნისი.** სამხრეთ-სლავიის მთავრობის საგანგებო სხდომამ დაადგინა პარლამენტში სროლის მონაწილეთა საქმე გადასცეს ჩვეულებრივ სასამართლოს. მინისტრთა საბჭომ დაგმო მსროლელთა მოქმედება და სამძიმარი გამოუცხადა გლეხურ-დემოკრატიულ კოალიციას. მაგრამ გლეხურ დემოკრატიულმა კოალიციამ უკან გაუგზავნა მთავრობას სამძიმრის წერილი. გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის მიერ გამოქვეყნებული ცნობა მთავრობას სდებს ბრალს თავდასხმის მოწყობაში. გარდა ამისა, ოპოზიცია პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ რომ მთავრობასთან ახლო მდგომი პრესა ძალიან თავდაჭერილი ტონით აშუქებს თავდასხმას. ზაგრებაში მოსახლეობას შორის მღელვარება გამოიწვია ცნობამ სკუპშჩინაში სროლის შესახებ. წარმოებანი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დახურულია. ქალაქის მრავალ ადგილას გაიმართა დემონსტრაციები. საღამოთი შეტაკება მოხდა პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის. ქუჩები და საზოგადო შენობები ჯარს უჭირავს. გლეხებს ზაგრებას მახლობელი უბნებიდან განზრახვა აქვთ ჩამოვიდნენ ქალაქში და გამართონ დემონსტრაცია. ამის გამო მთავრობამ გასცა ბრძანება ქალაქში შემოსასვლელ მთავარი გზების დახურვის შესახებ (ადს).

### კომუნისტების მანდატების გაუქმება

**პარიზი, 21 ივნისი.** ჰავასის სააგენტო იუწყება: „პალატის სამანდატო კომისიამ გააუქმა კლამამიუსის (კომუნისტი) არჩევა მეორე საარჩევნო ოლქში სენ-დენში (პარიზის მახლობელი უბანი) და არჩეულად გამოაცხადა დამოუკიდებელი რადიკალი რენო. კომისიამ გააუქმა აგრეთვე მენეტრიეს (კომუნისტი) არჩევა პიუტოში (პარიზის მახლობელი უბანი); მენეტრიე ამჟამად ციხეში ზის შპიონაჟში ბრალდებისათვის“.

**შენიშვნა:** მეორე საარჩევნო ოლქში სენ-დენში კომუნისტმა კლამამიუსმა მიიღო 12.350 ხმა, ხოლო რენომ, რომელიც არჩევნებში გამოვიდა როგორც რესპუბლიკანელი სოციალისტი, მიიღო 13.349 ხმა. რენოს მომხრეებმა არჩევნების შემომწმებელ კომისიაში შეიტანეს განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხმები სწორად არ იყო დათვლილი.

### ბულგარეთის პოლიციის აღმოჩენა

**ვენა, 21 ივნისი.** ბულგარეთის მთავრობის პრესა იუწყება, რომ რუშჩუკში პოლიციამ ვითომც აღმოაჩინა კომკავშირის არალეგალური ორგანიზაცია. დაპატიმრებულია 20 კაცი. (ადს).

### პროტესტი სამანდატო კომისიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ

**პარიზი, 21 ივნისი.** რადიკალური პარტიის ფედერაციამ პიუტოში (პარიზის გარეუბანი) გამოაქვეყნა პროტესტი სამანდატო კომისიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ კომუნისტ მენეტრიეს მანდატის გაუქმებისა და ამ მანდატის გადაცემის გამო რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ კავშირის (მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტია) კანდიდატ გოტიერისთვის ფედერაცია მოითხოვს ხელახალ არჩევნებს (ადს).

### ამუნდსენიც არ ჩანს

**ოსლო, 21 ივნისი.** ნორვეგიის სამხედრო მინისტრმა სახელმწიფო გემს „მიხაელ სარს“ წინადადება მისცა გავიდეს საფრანგეთის ჰაეროპლან „ლატამი“-ს საძებნელად, რომლითაც გაფრინდა ამუნდსენი. ამჟამად გემი იმყოფება დათვის კუნძულთან შპიცბერგენსა და ნორვეგიას შორის. გემმა „მიხაელ სარს“-მა ყველა ნორვეგიელ მეზღვაურთ მიმართა თხოვნით მიაწოდონ მას ცნობები ჰაეროპლანის შესახებ და მიაქციონ ყურადღება ყველა ნიშნებს, რომლებითაც კი შეიძლება იმის გაგება, თუ სად იმყოფება ჰაეროპლანი. ნორვეგიის სამხედრო სამინისტრომ ასეთივე შინაარსის თხოვნით მიმართა ყველა გემებს, რომლებიც ნაოსნობენ შპიცბერგენსა და ნორვეგიას შორის. საბჭოთა ყინულის მჭრელ გემს „მალიგინს“ სამხედრო სამინისტრომ აცნობა ჰაეროპლანის დაკარგვა

### დაწვრილებითი ცნობები საბჭოთა საკონსულოს გაჩხრეკის შესახებ ტიანძინში

**შანხაი, 21 ივნისი.** იაპონიის დეპეშათა სააგენტო ტოხო იუწყება დაწვრილებით ცნობებს იმ უშედეგო ჩხრეკის შესახებ, რომელიც ჩინეთის ხელისუფლებამ მოახდინა საბჭოთა საკონსულოში ტიანძინში. ჩხრეკა მოახდინა 350 შეიარაღებულმა ჩინელმა პოლიციელმა. ჩხრეკა გაგრძელდა 5 საათს. მთელი ამ ხნის განმავლობაში საკონსულოს ახლო ქუჩებში შეწყვეტილი იყო ყოველგვარი მოძრაობა (ადს).

### პროფკავშირების დაარსება პეკინში

**პეკინი, 21 ივნისი.** გომინდანის პეკინის განყოფილების ხელმძღვანელობით პეკინში დაარსდა მტვირთველთა, მბეჭდავთა, გაზეთის, დეპეშათა სააგენტოების თანამშრომელთა და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა პროფკავშირები (ადს).

### ხანძარი ვოლსკში

**სარატოვი, 21 ივნისი.** 19 ივნისს ვოლსკში ძლიერ ქარის გამო გაჩნდა ხანძარი, რომელიც მოედო რამდენიმე უბანს. ადგილობრივ ცეცხლის მქრობელი რაზმების ძალა არ არის საკმარისი ხანძრის ჩასაქრობად. ხანძარი გრძელდება და ედება ახალ უბნებს.

### სომხეთის ცაკის სესია

**ერევანი, 21 ივნისი.** 3 ივლისს ერევანში გაიხსნება სომხეთის მეხუთე მოწვევის ცაკის მესამე სესია. სესიის დღის წესრიგშია: მიწათმოქმედების სახ. კომისარის ამხ. ერიზნკიანის მოხსენება მიწათმოქმედების სამუშაოთა შესახებ; ფინანსთა სახ. კომისარის ამხ. პოლოსიანის მოხსენება სომხეთის 1927—28 წლის ბიუჯეტის შესახებ და სხვა საკითხები. (ადს).

### ამიერ-კავკასიის ოლიმპიადაზე

**ერევანი, 20 ივნისი.** სომხეთიდან თბილისში ამიერ-კავკასიის ოლიმპიადაზე გაემგზავრა 250 ფიზკულტუროსანი, მათ შორის უმრავლესობა მუშებია (ადს).

## მოლაპარაკება თურქეთთან კონვენციის დასადებათ

ავტორიტეტულ წყაროდან ჩვენს თანამშრომელს მიაწოდეს ზოგიერთი ცნობები იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებს თურქეთთან კონვენციების დასადებად. კონვენციები დადებულ უნდა იქნას საძოვრებისა, საზღვარზე სანაპირო რაიონების მცხოვრებლების გადასვლის გამარტივებულ წესისა და საზღვრების გარშემო შექმნილ კონფლიქტების გადაწყვეტის შესახებ.

როგორც ვიცით, მაისის დასაწყისში ანგორაში გაემგზავრენ საბჭოთა დელეგაციის წევრები ამხ. **კალანდაძე** და **ივანჩენკო** აღნიშნულ კონვენციების შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად თურქეთის მთავრობასთან.

ანგორაში უკვე დაიწყო მოლაპარაკება ამ საკითხების გარშემო. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიან საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში— ამხ. **სურიცი** (თავმჯდომარე), სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველი ამხ. **პოტიომკინი** (თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები—ამხ. კალანდაძე და ივანჩენკო. თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ არის თურქეთის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში —ბ-ნი **ზეკია ბეი**.

ამ ხნის განმავლობაში ორივე დელეგაციას შორის **მიღწეულია შეთანხმება ძირითად საკითხებში.** კერძოდ ხელმოწერილია ოქმი ძველი საძოვრების კონვენციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. ამ კონვენციის ვადა გადის 1928 წ. სექტემბერში. ამ ოქმს ხელი მოაწერეს შემოდგომამდე მეჯლისის დათხოვნასთან დაკავშირებით, რათა ძველი კონვენციის ვადა არ შეწყდეს ახალი კონვენციის დამტკიცებამდე.

ორივე დელეგაციამ მიაღწია წინასწარ შეთანხმებას საძოვრების ქირის რაოდენობის დაწესების შესახებ. დელეგაციებმა ძირითადათ უკვე განიხილეს დებულებები საზღვარზე სანაპირო რაიონების მცხოვრებთა გადასვლის გამარტივებულ წესისა და საზღვრების ირგვლივ წამოჭრილ კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ.

უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს დროში მოლაპარაკება კონვენციების დასადებად სასურველად დამთავრდება.

## შახტის კონტრ-რევოლუციონერების გასამართლება

### 20 ივნისის დილის სხდომა

### ბრალდებულ გორლეცკის ახსნა-განმარტებანი

**მოსკოვი, 21 ივნისი.** 20 ივნისის დილის სხდომა იხსნება ბრალდებულ **გორლეცკის** ახსნა-განმარტებებით. განმარტებები ძლიერ ვრცელია და მათ მოსმენას უნდება ერთ საათზე მეტი დრო.

გორლეცკი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მთელი მის მუშაობას მექანიზაციის განყოფილებაში საფუძვლად ედო რაც შეიძლება მეტი მიღწევების მოპოვება მექანიზაციის დარგში.

განმარტებები სავსეა განცხადებებით, თუ როგორი ინიციატივას იჩენდა ბრალდებული იმ გაუმჯობესებათა შემოსაღებად, რომელთა დანიშნულებას შეადგენდა მაღაროების მუშაობის ნაყოფიერების გადიდება და თუ როდის და ვის აძლევდა ბრალდებული დარიგებას ამავე მიზნით—უდიდესი შედეგების მისაღწევად.

ვინაიდან გორლეცკი დაჟინებით უარყოფს, რომ აწარმოებდა დამაზიანებელ მუშაობას და შედიოდა დამაზიანებელთა ორგანიზაციაში ამხ. **როზინსკი** შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ გამოქვეყნებულ იქნას **გავრიუშენკოს** მთელი რიგი ჩვენებები. ამ ჩვენებებში სრულიად გარკვევით არის ნათქვამი, რომ გორლეცკი შედიოდა ორგანიზაციაში, კავშირი ჰქონდა უცხოეთში მყოფ ორგანიზაციებთან, იძლეოდა შესაფერ დირექტივებს და მონაწილეობას იღებდა აშკარად უვარგის მანქანების შეძენაში „დონუგოლისათვის“.

### კისელიოვის ჩვენება

სასამართლო გადადის მოწმე კისელიოვის დაკითხვაზე. კისელიოვი სათავეში უდგა „დონუგოლის“ მექანიზაციის განყოფილებას. კისელიოვი პასუხს იძლევა დამცველ მალიანტოვიჩის შეკითხვებზე და აჩვენებს, რომ მექანიზაციის განყოფილებაში დაკვეთების გაცემის რიცხვობრივ და თვისობრივ მხარეს ამუშავებდნენ ჩინოკოლი და გორლეცკი. „ჯეფრი“-ს სისტემების უვარგისი მანქანების შეძენა ამერიკაში მოხდა ბრალდებულ სუშჩევსკის დაჟინებული მოთხოვნით. დასკვნა ამ მანქანების შეძენის საჭიროების შესახებ გააკეთა აგრეთვე ბრალდებულმა **ჩინოკოლმა**. „ჯეფრი“-ს მანქანები უვარგისი აღმოჩნდა ჩვენს პირობებში, ვინაიდან მოითხოვდნენ მეტად დიდ ყურადღებას და განსაკუთრებით კარგ მოვლას.

### გერმანელ ინჟენერ ვობბეს დაკითხვა

სასამართლო გადადის გერმანელ ინჟენერ ვობბეს დაკითხვაზე. ვობბე სასამართლოს მიერ გამოწვეული იყო მოწმედ იმ განცხადების გამო, რომელიც წარმოადგინა სასამართლოს და აღუთქვამდა სასამართლოს ცნობების მიცემას მთელ რიგ მთავარ ინჟენერების საბოტაჟის შესახებ დონბასის მაღაროებში, სადაც ის მუშაობდა. ვობბეს დაკითხვა სწარმოებს თარჯიმანის საშუალებით.

ვობბე 1925 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა სამუშაოდ „დონუგოლის“ კოქსის საწარმოებში, როგორც სპეციალისტი. ვობბე მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს მიერ, რომელმაც გამოაქვეყნა განცხადება გერმანულ ტეხნიკურ ჟურნალებში. ჯერ კიდევ ბერლინში, „დონუგოლის“ კომისიაში, როგორც ამბობს ვობბე, მას ძლიერ არამეგობრულად შეხვდნენ კაზარინოვი და რუბანოვიჩი, რომლებიც მაშინ იქ იმყოფებოდნენ. ბევრი დრო დასჭირდა ხელშეკრულების შედგენას და ვიზის მიღებას. როდესაც ის დაბოლოს ჩამოვიდა ხარკოვში, ხელშეკრულება იქ არ აღმოჩნდა.

ხარკოვში ვობბე შეხვდა რუბანოვიჩს, რომელმაც გაგზავნა ის ჯერ რუტჩენკოვში. რუტჩენკოვშიაც უფროსი ინჟენერები ვობბეს არამეგობრულად შეხვდნენ. მისდამი ცუდ მოპყრობაში ვობბე ხედავდა რაღაც წინასწარ მოფიქრებულ სისტემას. დონეცის მაღაროების მდგომარეობამ და მუშაობის პირობებმა განცვიფრებაში მოიყვანა მოწმე. მას, გერმანელ ინჟენერს, ძველ, გამოცდილ პრაქტიკოსს, ბევრი რამე სრულებით ვერ გაეგო. ამ მაღაროში ვობბემ დაჰყო 2 თვე ისე რომ არაფერი არ გაუკეთებია. შემდეგ ის სხვა მაღაროში გადაიყვანეს. გადაიყვანეს ბრიანსკის მაღაროში და არავითარი დირექტივები არ მიუციათ, თუ რა უნდა ეკეთებია. ბრიანსკის მაღაროში მოწმე განცვიფრებაში მოიყვანა იმ გარემოებამ, თუ როგორ ეპყრობოდნენ კოქსის ღუმელებს. ღუმელებს არასწორად ავსებდნენ და აგრეთვე არასწორად სცლიდნენ. ღუმელებში ცუდად მოქმედებდნენ გაზსაზომები და ყოველთვის იყო აფეთქების საშიშროება, რაც წარმოადგენდა საფრთხეს კოქსის ბენზოლის საწარმოსათვის, რომელიც ღუმელების მახლობლად იყო. კოქსის ღუმელების არასწორად გამოყენება და გასაზომების ცუდი მუშაობა იწვევდა თვეში 400 ტონა ქვანახშირის დაკარგვას. სასწრაფოდ შეკვეთილ იქნა ახალი სათბობი მოწყობილობები კოქსის ღუმელებისათვის. მაგრამ როდესაც ეს მოწყობილობები ჩამოიტანეს, ისინი ორი-სამი კვირა ეყარა საწყობში. როდესაც მოინდომეს მათი გაკეთება ღუმელებისათვის, აღმოჩნდა, რომ მათი შეკვეთის დროს, დავიწყებოდათ სათანადო არმატურის შეკვეთა.

ვობბეს სიტყვებით, ბრიანსკის მაღაროში ყველა მის მითითებებს და შენიშვნებს მტრულად ხვდებოდნენ, მთავარი ინჟენერი კი ამხედრებდა მის წინააღმდეგ დანარჩენ პერსონალს, განსაკუთრებით კომუნისტებს. მოწმე ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობდა, რომ არ უნდოდათ სათანადოდ გამოეყენებიათ უცხოელი სპეციალისტი, არ უნდოდათ დაეშვათ ის წარმოებაში.

ვობბე აცხადებს, რომ მას აქვს დოკუმენტალური ცნობები, რომ მის მითითებებს შეგნებულად არ ატარებდენ ცხოვრებაში ეკატერინეს მაღაროში, მაშინ, როდესაც მისი ერთად ერთი მიზანი იყო წარმოების გაუმჯობესება. როდესაც მან უფრო დაჟინებით დაუწყო განცხადებების გზავნა მთავარ ინჟენერ **დოლინსკის**, ის დეპეშით გაიწვიეს ხარკოვში და იქ რუბანოვიჩმა უთხრა მას, რომ ის უნდა დაითხოვონ, ვინაიდან მისმა მუშაობამ წარმოებაში „არავითარი პრაქტიკული შედეგები არ გამოიღო“.

ვობბეს დაკითხვასთან დაკავშირებით სასამართლო შეეკითხა ბოიარშინოვს, მაგრამ მან გადაჭრით უარი სთქვა გაეცა პასუხი შეკითხვაზე,—თუ ვისზე იყო დამოკიდებული უცხოელ სპეციალისტების სწორი გამოყენება. ეს მას, ტეხნიკური ნაწილის გამგეს, თითქოს არ ეხებოდა.

### ბრალდებულ კაზარინოვის დაკითხვა

შემდეგ სასამართლო გადადის ბრალდებულ კაზარინოვის დაკითხვაზე. კაზარინოვი იყო კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციის ხარკოვის ცენტრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილე.

კაზარინოვმა 1908 წელს დაამთავრა სამთო ინსტიტუტი გერმანიაში და რუსეთში დაბრუნების შემდეგ დაიწყო მუშაობა დონბასში შჩერბინოვის მაღაროების სამმართველოში. დონბასში მუშაობდა უკანასკნელ დღეებამდე, ეჭირა სხვადასხვა თანამდებობები. ოქტომბრის რევოლუციამ მოუსწრო მას გრიშინის მაღაროების სამმართველოს ახალ საწარმოთა მმართველის თანამდებობაზე.

იმ ხანად არტემოვსკში ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალურ სამმართველოში იჯდა ბოიარშინოვი, რომელიც განაგებდა ტეხნიკურ განყოფილებას. ბოიარშინოვს გარს ეხვივნენ ტეხნიკოსები, რომლებიც იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ როსტოვიდან ან ყირიმიდან, ვინაიდან ვერ მოასწრეს გაქცევა თეთრებთან ერთად.

ამ ინჟენერებს შორის გამომუშავდა გარკვეული განწყობილება, რომლის დამახასიათებელი ნიშანი იყო სკეპტიციზმი, აგდებულად მოპყრობა ყოველივე იმისადმი, რაც ხდებოდა მათ გარშემო.

ამ დროს გაისმა ბახტიაროვის სიტყვები, რომ „ქვანახშირის მრეწველობის ერთადერთი ხსნა მდგომარეობს „კერძო ინიციატივაში“. დაიწყო ლაპარაკი კონცესიების შესახებ. კაზარინოვმა შეითვისა ეს აზრი, როგორც სავსებით სწორი.

აი ამიტომ კაზარინოვს არ გამკვირვებია, როდესაც ბახტიაროვმა დაასახელა მთელი რიგი პირები—მატოვი, შიშკინი, ტატარიოვი, თავისი თავი და კიდევ ზოგიერთები, რომლებმაც შექმნეს „საინიციატივო“ ან „საორგანიზაციო“ ჯგუფი, რომელსაც უნდა „დაერწმუნებია“ საბჭოთა ხელისუფლება იმაში, რომ მაღაროების ექსპლოატაცია საკუთარი ძალებით მას არ ძალუძს. ეს ჯგუფი უნდა დახმარებოდა კონცესიონერებს მაღაროების მიღებაში; ამისათვის უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს მაღაროების საკუთარი ძალებით დამუშავება საზარალო იყო და რომ ქვანახშირის ამოღება ისე არ სწარმოებდა, როგორც საჭირო იყო.

კაზარინოვი ეხება თავის მუშაობას გრიშინის მაღაროების სამმართველოში და აცხადებს, რომ მისი მუშაობის უდიდესი ნაწილი ამ სამმართველოში დამაზიანებელ ხასიათს არ ატარებდა. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ორი მაღაროს მოწყობილობის გამოცვლაზე, რაც მართლაც დამაზიანებელი მოქმედება იყო.

### 20 ივნისის საღამოს სხდომა

### კაზარინოვის ახსნა-განმარტებანი

20 ივნისის საღამოს სხდომაზე გრძელდება ბრალდებულ კაზარინოვის ახსნა-განმარტებათა მოსმენა. გრიშინოში წარმოებული დამაზიანებელი მუშაობის შესახებ ის მოუთხრობს სასამართლოს საზღვარგარეთ გამგზავრებასთან და იქ მოწყობილობის შეკვეთასთან დაკავშირებით.

კაზარინოვის საზღვარგარეთ გამგზავრების წინ 1925 წლის ზაფხულში, ის ინახულა ბახტიაროვმა, მოუტანა ორი წერილი და სთხოვა წაეღო ისინი საზღვარგარეთ იმ ანკეტასთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოიტანა რუბანოვიჩმა ხარკოვიდან.

ბერლინიდან ბილიკის კომისიის დაბრუნების შემდეგ კაზარინოვი რჩება ბერლინში დაკვეთილ მოწყობილობათა მისაღებად. კაზარინოვს დანამდვილებით არ ახსოვს — მიიღო თუ არა მან მაშინ ხარკოვიდან სადირექტივო წერილი, რომელშიაც მას, როგორც ორგანიზაციის წევრს, ავალებდნენ შეექმნა რაც შეიძლება მეტი მოწყობილობა, და ამასთანავე რაც შეიძლება გაეჭიანურებია ამ მოწყობილობის გამოგზავნის ვადა. იმ ხანებში კაზარინოვმა დაიკავა კავშირი ბაშკინთან, რომელიც მსახურებდა ბერლინში „АЭТ“-ის ფირმაში. ბაშკინი გაეცნო კაზარინოვს, როგორც ხარკოვის ორგანიზაციის და უცხოეთში მყოფი ორგანიზაციის წევრი, და უთხრა მას, რომ ერთის მხრივ დაკავშირებული ვარ დვორჟანჩიკთან და მის დავალებებსაც ვასრულებ, ჩემი ძმის საშუალებით, რომელიც შახტის მაღაროების სამმართველოში მსახურებს. ხოლო მეორეს მხრივ ბაშკინი დაკავშირებული იყო ფირმა „АЭТ“-ისთან. მალე კაზარინოვმა მიიღო ორი წერილი წარწერით — „ხარკოვისათვის“ ეს წერილები გამოგზავნილი იყო პოლონეთიდან, როგორც ეტყობოდა, დვორჟანჩიკისაგან. კაზარინოვს ეს წერილები არ გაუხსნია, ისე გადასცა ბაშკინს ხარკოვში გასაგზავნად. კაზარინოვი ფიქრობს, რომ წერილებმა მიაღწია ხარკოვამდე და შესაძლებელია ეს წერილები შეიცავდა იმ ინსტრუქციებს, რომლების შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ ისინი კაზარინოვისაგან არის მიღებული.

„ამ მომენტიდან — ამბობს კაზარინოვი— მე ვხდები ამ კავშირის შემადგენელ ნაწილად, ვიწყებ ამ კავშირის განხორციელებას და მუშაობას ამ მიმართულებით, ორგანიზაციის ხაზით“.

თავის ჩვენებას ბერლინში წარმოებული დამაზიანებელი მუშაობის შესახებ კაზარინოვი ამთავრებს მთელი რიგი ფაქტების აღწერით, თუ როგორ ჩაატრა მან უვარგისი, ან უკეთეს შემთხვევაში, საბჭოთა კავშირისათვის სრულიად უსარგებლო დაკვეთები.

დასასრულ, კაზარინოვი აღწერს ხარკოვში დაბრუნების შემდეგ მის მიერ დონუგოლში წარმოებულ დამაზიანებელ მუშაობას და თავის დამოკიდებულებას ორგანიზაციისადმი, რომელსაც ის უკანასკნელ ხანებში ჩამოშორდა.

სახელმწიფო ბრალმდებელის შეკითხვის საპასუხოდ კაზარინოვი აცხადებს, რომ დონუგოლის ახალ მშენებლობის სამმართველო მოწყობილი იყო პარიზის ცენტრის დირექტივების მიხედვით და, მაშასადამე, წარმოადგენდა ნამდვილ დამაზიანებელ ორგანიზაციას.

1927 წ. ორგანიზაცია საერთოდ გერმანიის და ამერიკის ორიენტაციიდან გადავიდა საფრანგეთის ორიენტაციაზე. ორგანიზაციის მუშაობა გაძლიერდა, პარიზის ცენტრი იძლეოდა საორგანიზაციო, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ინსტრუქციებს. კაზარინოვი ამბობს, რომ ორგანიზაცია ფართოდ ღებულობდა ფინანსებს საზღვარგარეთიდან. იქ მან ერთხელ მიიღო დიდი თანხა ორგანიზაციაში გასანაწილებლად ბაშკინის საშუალებით, რომელიც მსახურებდა „АЭТ“ ფირმაში (ადს).

## მუშების პასუხი კონტრ-რევოლუციონერებს

### მემაღაროეთა სრულიად უკრაინის კონფერენციის მიმართვა

**ხარკოვი, 21 ივნისი.** მემაღაროეთა სრულიად უკრაინის საწარმოო კონფერენციამ დაადგინა მიმართოს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს დეპეშით, რომელშიაც, სთვლის რა კონტრრევოლუციონურ სპეციალისტების მოქმედებას უმაგალითო დანაშაულად საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ, მოითხოვს, რომ საბჭოთა კავშირის უზენაესმა სასამართლომ ყველა დამაზიანებლებს შეუფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა, რათა მომავალში კაპიტალის აგენტებს დაუკარგოს სოციალისტური აღმშენებლობის შეფერხების ხალისი (ადს).

### მუშებმა აღმოაჩინეს დამაზიანებლების მიერ გადამალული ქვანახშირის ფენები

**დონის როსტოვი, 21 ივნისი.** მაღარო № 2-ში, რომელშიაც მუშაობდნენ კოლოდუბები, პაბენკო და ნაშივოჩნიკოვი, მუშებმა აღმოაჩინეს გადამალული საუკეთესო ქვანახშირის 11 ფენა. მაღაროები მოწყობილი ყოფილა, მაგრამ შემდეგ ჩაუნგრევიათ. დამახასიათებელია, რომ თავის ჩვენებაში ბაბენკოს და ნაშივოჩნიკოვს არაფერი უთქვამთ ამ მათ მიერ გადამალული ფენების შესახებ.

# პარტიული ცხოვრება

## მასიური მუშაობა ზაფხულის პერიოდში

დადგა ზაფხულის პერიოდი. მუშები მასიურად მიდიან შვებულებაში, დასასვენებელ სახლებში, სოფლებში და სხ.; ამასთანავე ერთად იქმნება ყველასათვის ნაცნობი „საზაფხულო განწყობილება“.

წინად, ყოველთვის, როგორც „წესი“ ადგილი ჰქონდა მასიურ პოლიტიკურ მუშაობის შესუსტებას ზაფხულობით. შემოდგომაზე ქვედა საფეხურის პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების საანგარიშო კრებებზე საერთოდ ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ მუშაობა ზაფხულში შეწყდა, ჩაიშალა, არარავინ მუშაობდაო და გამოჰქონდათ უამრავი დადგენილებები მუშაობის „გაძლიერებისა“ და „მოგვარების“ შესახებ.

ამ გარემოებაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდენ ჩვენი ადგილობრივი პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მუშათა მასების „პრაქტიკულ საქმეში“—სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმის შესახებ პარტიის მიერ გამოტანილი უკანასკნელ დადგენილებებისა და თვითკრიტიკის ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება დაბეჯითებით მოითხოვს, რომ **მასიური პოლიტიკური მუშაობა ზაფხულობით არავითარ შემთხვევაში არ იქნეს შესუსტებული.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას უკანასკნელმა პლენუმმა და თბილისის კომიტეტის პლენუმმა აღნიშნეს, რომ მასიური მუშაობის დარგში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ზაფხულში ჩვენ უნდა ვემზადოთ საბჭოების გადარჩევის კამპანიისათვის, მაშინ ცხადი გახდება, რომ **ასეთ პირობებში მასიური პოლიტიკური მუშაობის შესუსტება მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.**

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზაფხულის თვეებში ჩვეულებრივად ადგილი აქვს ობიექტიური ხასიათის დაბრკოლებებს (მაგალითად, შვებულებები), ნუ თუ ამ დაბრკოლებებმა აუცილებლად უნდა გამოიწვიონ მუშაობის შესუსტება ზაფხულობით? არა, ეს არაა აუცილებელი, უმთავრესად ეს დამოკიდებულია ჩვენზე, იმაზე, თუ რამდენად მომზადებული შევხვდებით საზაფხულო პერიოდს.

ყველა ქვედა საფეხურის ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ ზედმიწევნით უნდა დაამუშაონ თავისი მუშაობის საზაფხულო გეგმები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შვებულებების საკითხის მოწესრიგებას. შარშან ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა ერთ და იმავე დროს მთელი „სამკუთხედი“ (ადმინისტრაცია, ადგილკომი, უჯრედი) შვებულებაში იყო წასული. დაბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ამხანაგები არ არიან დატვირთული პარტიული მუშაობით, არაა სავსებით გამოყენებული უპარტიო აქტივიც.

საჭიროა ამ ამხანაგების გამოყენება, ამით ზამთრის განმავლობაში დაღლილ აქტივსაც მივცემთ დასვენების შესაძლებლობას.

ზაფხულის პირობებში ჩვენმა უჯრედებმა უნდა გამოიყენონ მასიური, ჯგუფური და მხატვრული აგიტაციის ყველაზე უფრო ცხოველმყოფელი და მრავალფეროვანი სახეები.

ინდივიდუალურ - ჯგუფურ აგიტაციას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასიური აგიტაციის საერთო სისტემაში და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება მუშაობის სიმძიმის ცენტრის სამქროებში გადატანის შემდეგ. მუშაობის ეს სახე იძლევა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შედეგებს და ამავე დროს არის ყველაზე უფრო მოხერხებულიც, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, ვინაიდან ის გამოსადეგია ყველა პირობებში დასვენების დროს, სასადილოში, წითელ კუთხეში, დასასვენებელ სახლში, სანატორიუმში.

მუშათა საერთო კრებები ზაფხულის პერიოდში ისევ რჩება მასიური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად სახეთ, ოღონდ საჭიროა ამ კრებების გამართვა გაშლილ ჰაერზე. რეგლამენტის მოწესრიგება და დღის წესრიგის განთავისუფლება უამრავ და ზედმეტ საანგარიშო მოხსენებებიდან.

კედლის გაზეთის გამოშვება წარმოებებში ზაფხულობით არ უნდა შეწყდეს.

ზაფხულის თვეებში მასიური პოლიტიკური მუშაობის წარმოების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტმუშაობის საზაფხულო ფორმებს: საზაფხულო კლუბებს, სასპორტო მოედნებს, რადიოს, კინოს, საწრეო მუშაობას, ექსკურსიებს, სეირნობას და სხ.; ყველა ეს სახეები გამოყენებულ უნდა იქნეს. ამ დარგში პროფკავშირებს სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრება.

მასიური აგიტაციის მთავარ საკითხებს ზაფხულის პერიოდში წარმოადგენს წარმოების რაციონალიზაცია და მუშათა მასების ჩაბმა ამ საქმეში, შრომის ნაყოფიერების გადიდება, კულტურული მშენებლობა, პურის დამზადების შედეგები და შახტის საქმის გაკვეთილები, საერთაშორისო მდგომარეობა, თვითკრიტიკის გაფართოება, საბჭოების გადარჩევისათვის მზადება, და ბოლოს აგიტაცია პარტიაში მუშათა ახალი კადრების ჩასაბმელად,

**ბორის.**

## ლენრაიკომის პლენუმი

გუშინ საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში შეიკრიბა ლენინის რაიკომის გაფართოებული პლენუმი. პლენუმმა მოისმინა ამხ. **გუდავაძის** მოხსენება ბიუროების გადარჩევის შედეგებზე.

ამხ. გუდავაძემ აღნიშნა, რომ თვითკრიტიკის გაშლამ გადარჩევების დროს მოგვცა მრავალი დადებითი შედეგები. ახლად არჩეული ბიუროების ამოცანაა კიდევ უფრო გააღრმაონ თვითკრიტიკა და დღის სინათლეზე გამოიტანონ ყოველგვარი ავადმყოფური მოვლენები, რომელიც შემჩნეული იქნება ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში.

საჭიროა სწორად გავანაწილოთ ამხანაგების შორის პარტიული დავალებანი და რაც უმთავრესია, უდიდესი ყურადღება მივაქციოთ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შემოწმებას.

კამათში გამოსული ამხანაგებიც აღნიშნავდნენ ბიუროების გადარჩევების ნაყოფიერად ჩატარებას და მიუთითებდნენ, რომ თვითკრიტიკა არ უნდა გვესმოდეს, როგორც ერთდროული კამპანია. ჩვენს წარმოებებში ადმინისტრატორ კომუნისტების წინაშე პარტიის წევრები კიდევ ხშირად იჩენენ მორიდებას და აშკარა ვერ გამოდიან კრებებზე. ასეთი მოვლენა აღმოფხვრილ უნდა იქნეს.

პლენუმმა დაავალა რაიკომის პრეზიდიუმს, დაამუშაოს ორატორების მიერ ბიუროების გადარჩევების ირგვლივ შემოტანილი წინადადებები და დაგზავნოს უჯრედებში.

პოლიტკოლების გამოშვების შედეგებზე მოხსენება გააკეთა ამხანაგმა **გიორგაძემ**, რის შემდეგაც პლენუმი გადავიდა ორგანიზაციულ საკითხებზე.

მეორე რაიკომის გაუქმების გამო 12 უჯრედი შემოუერთდა პირველ რაიკომს, ამიტომაც 2 რაიკომის 4 წევრი და 3 კანდიდატი შეყვანილ იქმნა 1 რაიკომის პრეზიდიუმში.

ამხ. **ყორღოლაძის** სასწავლებლად წასვლის გამო, პლენუმმა ლენრაიკომის საგიტ. საპროპ. განყ. გამგედ დაამტკიცა ამხ. **ნ. გიორგაძე.**

**ირან.**

## ბორჩალოს სამაზრკომის პლენუმი

16 ივნისიდან 18 ივნისამდე მიმდინარეობდა ს. კ. პ. (ბ) ბორჩალოს სამაზრო კომიტეტის მესამე პლენუმი, რომელმაც განიხილა: 1. სამაზრო პროფბიუროს ანგარიში, 2. მიწა-ტყის კავშირის სამაზრო განყოფილების ანგარიში და 3. სათემო ბიუჯეტების საკითხი.

პირველი და მეორე საკითხის განხილვიდან გამოირკვა, რომ სამაზრო პროფბიუროს და მიწა-ტყის კავშირს აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებები, როგორიცაა: მუშაობის უგეგმოდ წარმოება, მასიური მუშაობის სისუსტე, კავშირის არადამაკმაყოფილებელი ზრდა მოჯამაგირეების ხარჯზე, მოჯამაგირეების სუსტი ჩაბმა საბჭოების მუშაობაში, სუსტი ხელმძღვანელობა ქვედა საფეხურის ორგანიზაციებზე, კოლექტიური ხელშეკრულებების დარღვევა, ეკონომიური და კულტურული მუშაობის სისუსტე, გასამხედროების საქმის მოუწესრიგებლობა, წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვის ზრდა მოჯამაგირეთა შორის და სხვა.

პლენუმმა მიიღო რა მხედველობაში ყველა ეს მტკივნეული საკითხები და შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის.

**მ. კაზარიანი.**

## ყურადღება პედაგოგიურ ძალებს

მასიური მუშაობის წარმოებას პედაგოგიურ ძალთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის აღზრდასა და თვით მასწავლებლობის პარტიული გავლენის სფეროში მოქცევისათვის. მიუხედავად ამისა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს, რის გამოც ხსენებული მუშაობა სუსტადაა დაყენებული.

ამ დღეებში თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმზე განხილულ იქნა განათლების მუშაკთა კავშირის ფრაქციის მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ არ სწარმოებს დამაკმაყოფილებელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მასწავლებელთა შორის, (რაიკომები და უჯრედები სუსტად ხელმძღვანელობენ ამ მუშაობას) და სუსტია კომუნისტ მასწავლებელთა ფენა პედაგოგების საერთო შემადგენლობაში.

ყველა ამის შედეგებია ის, რომ მასწავლებლობის ერთ ნაწილში ფეხს იკიდებს ნაციონალისტურ-შოვინისტური განწყობილება და სხვა ავადმყოფური მოვლენები.

რომ ეს ავადმყოფური მოვლენები დროულად იქნეს დაძლეული, ამისათვის საჭიროა პარტიის რაიკომებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა კომუჯრედებს, ხელი შეუწყონ მასიური პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლას მათში.

განათლების მუშაკთა კავშირმა უნდა გამოაცოცხლოს სადელეგატო და საერთო კრებების მუშაობა, პროფაქტივის თათბირები და საკითხების მოხერხებული შერჩევის გზით დააინტერესოს პედაგოგების მასა ამ ორგანოების მუშაობით.

მასწავლებლობა დღემდე მეტად სუსტ მონაწილეობას ღებულობს ჩვენს ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. პარტ-უჯრედებმა და პროფორგანიზაციამ უნდა მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებები მასწავლებელთა ფართოდ ჩასაბმელად თავდაცვა-ავიაქიმის, რემადის და სხ. საზოგადოებებში.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას მასწავლებლობის ერთი ნაწილის ნაციონალისტურ ტენდენციებთან, რისთვისაც საჭიროა სხვა ღონისძიებებთან ერთად საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემსწავლელი წრეების მოწყობა და სათანადო ლექცია-მოხსენებების ჩატარება (ეროვნულ საკითხზე) მასწავლებელთათვის.

პარტიულმა კომიტეტებმა და პროფკავშირმა უნდა აღზარდონ და დაუახლოვონ პარტიას მასწავლებელთა აქტივი და უნდა ეცადონ მათ დაწინაურებას ადმინისტრატიულ-პედაგოგიურ სამუშაოზე.

**დ—ვი.**

## ბიუროების გადარჩევის შედეგები

### ფოთის ორგანიზაცია

ბიუროების გადარჩევა დაიწყო 25 აპრილს, და დამთავრდა 20 მაისს. კრებებზე დასწრება უდრიდა 79,4 პროც. შეკითხვებისა და კამათში გამოსულთა რიცხვი ბევრით არ აღემატებოდა წინა გადარჩევისას, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ, ამჟამად კრიტიკა ეხებოდა უჯრედების საქმიანობას, მის დეფექტებს, მაშინ, როდესაც წინა გადარჩევის დროს, როგორც კამათი, ისე შეკითხვები ეხებოდა მხოლოდ ოპოზიციას.

ახალ ბიუროების შემადგენლობა, უნდა ითქვას, დამაკმაყოფილებელია. 17 უჯრედში სულ არჩეულია ბიუროს 89 წევრი. მათ შორის 7 ქალია. სოცშემადგენლობით — მუშა 66,3 პროც. გლეხი — 4,5 პროც., მოსამსახ. და სხვ. — 29,2 პროც.

მოსაქმეობის მიხედვითაც აგრეთვე დიდ უმრავლესობას შეადგენენ მუშები. ბიუროების შემადგენლობა საგრძნობლად განახლდა; (51,7 პროც.), განახლდა მდივნობის შემადგენლობაც (58,8 პროც.).

ბიუროების გადარჩევის კამპანია შეაჯამა საშედეგო თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო ფოთის კომიტეტთან. თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საარჩევნო კამპანიამ აშკარა გახადა უჯრედების ყურადღების გაზრდა ბიუროკრატიზმის მოვლენებთან ბრძოლის და აპარატის რაციონალიზაციის საკითხებისადმი. არის მიღწევები პარტიის ზრდის დარგშიაც. პარტორგანიზაცია გამოეხმაურა სახელმწიფო სესხების რეალიზაციას და სხვ.

საარჩევნო კამპანიამ გვიჩვენა, რომ ჩვენს მუშაობას ახასიათებს მრავალი ნაკლიც. კერძოდ პარტდისციპლინა ვერ სდგას საჭირო სიმაღლეზე; საუჯრედო კომისიები უგეგმოდ მუშაობენ; აქტივობა და კრიტიკა კიდევ არ არის კარგად განვითარებული, არის შემთხვევა, როცა ამხანაგებს სურთ გამოსთქვან რაიმე აზრი, მაგრამ მხოლოდ 2—3 მოწოდების შემდეგ ბედავენ ლაპარაკს (მაგ. ხე-ტყის ქარხნის უჯრედში) ოქტომბრის გაწვევით მიღებულთა შორის მუშაობა არ გაშლილა, როგორც საჭირო იყო, ეს უკანასკნელნი კი საკანდ. სტაჟს უკვე ათავებენ და მათი წევრად გადარიცხვა შეიძლება დაბრკოლდეს პოლიტიკური მოუმზადებლობის გამო.

ხშირად პარტუჯრედი ზერელედ ეპყრობა კომკავშირის უჯრედზე ხელმძღვანელობას. მაგ. მეზღვაურთა კომუჯრედმა მოიწონა ა. ლ. ქ. ძ. უჯრედის მუშაობა. მაშინ როცა თვით კომკავშირელებმა დაშალეს თავისი ბიურო უმოქმედობისათვის.

ზოგიერთ უჯრედში სუსტია მასიური მუშაობა, რაც აფერხებს ორგანიზაციის ზრდის ტემპს. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საწარმოო და ეკონომ. თათბირებს, მათ წინადადებათა შესრულებას, მუშათა გეგმიან დაწინაურებას, და აპარატების რაციონალიზაციას, არაა საკმარისი არც გასამხედროების სფეროში გადადგმული ნაბიჯები კერძოდ სუსტად არიან ჩაბმული ამ საქმეში ქალები.

დეფექტების გამოსასწორებლად ახალ ბიუროებს უკვე მიეცათ სათანადო მითითებები. უჯრედების მუშაობის გამოცოცხლებას ხელს შეუწყობს აგრეთვე უჯრედების მდივანთა გადასამზადებელი 2 კვირიული კურსები, რომელთა მოწყობა განზრახული აქვს პარტიულ კომიტეტს.

ბიუროების გადარჩევის ორგანიზაციული მხარე, განსაკუთრებით მოსამზადებელი მუშაობა ვერ იყო დამაკმაყოფილებლად ჩატარებული, სასურველია ჩვენმა ორგანიზაციამ უჯრედთა მუშაობის გამოკვლევისა და შემოწმებისათვის გამოიყენოს მოწინავე ორგანიზაციების პრაქტიკა, აგრეთვე ყურადღებით მოეპყრას თვით შემმოწმებელ კომისიების გამოყოფის საკითხს.

**ვ.—მ.**

—:—

### (მცხეთის თემი, თბილისის მაზ.)

მცხეთის პარტორგანიზაცია აერთიანებს 4 კომუჯრედს. ამათში ორი საწარმოო უჯრედია, (ზაჰესი, სადგ. მცხ. და ნავთსადენი) ერთი სოფლის და ერთიც სახ. პოლიტსამმართველოს ლაშქრის.

ბიუროების გადარჩევის კამპანიის წინ სწარმოებდა მოსამზადებელი მუშაობა. ყველა უჯრედებმა გამოჰყვეს კომისიები 3 ამხანაგის შემადგენლობით, რომლებმაც წინასწარ გადასინჯეს უჯრედის ბიუროების საქმიანობა.

დაიწყო ძველი ბიუროების საანგარიშო მოხსენების მოსმენა და არჩევნები. ანგარიშების გარშემო კამათში გამოსული ამხანაგები მიუთითებდნენ, რომ ბიუროს ახლანდელი შემადგენლობა უფრო ჯანსაღი და საქმიანი იყო. მაგრამ ნაკლი თავის მუშაობაში მაინც ჰქონდა სუსტად მუშაობდნენ საწარმოო თათბირები. დაბალია პარტიის წევრთა პოლიტიკური მომზადების დონე, სუსტია მუშაობა თავისუფალ

## თბილისის კომიტეტში

### სახ. დაზღვევის მდგომარეობა თბ. მაზრაში

15 ივნისს, თბილისის კომიტეტის სამდივნომ განიხილა სახელმწიფო დაზღვევის გამოკვლევის შედეგები თბილისის მაზრაში. სამდივნომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო დაზღვევის მუშაობას თან ახლავს მრავალი არსებითი დეფექტი, როგორიცაა: დასაზღვევ ობიექტების არა დამაკმაყოფილებელი აღრიცხვა, რაც გამოწვეულია იმით, რომ სამ. გადასახადის ფურცლებში არ იყო შეტანილი სახ. დაზღვევისათვის საჭირო ცნობების მუხლი; დაზღვევის სააგენტოების მოწყვეტილობა გლეხობიდან და სხვა.

სამდივნომ აღნიშნულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროდ აღიარა: დასაზღვევ ობიექტების აღრიცხვა გადაეცეს სახ. დაზღვევის სამმართველოს ან და აღრიცხვის დღევანდელ სისტემაში შეტანილ იქნეს რადიკალური ცვლილებები:

გაფართოებულ იქნას სააგენტოების ქსელი;

საქმის გაჭიანურებისა და უბრალო მიწერ - მოწერის, აღმოფხვრის მიზნით გადასინჯოს სახდაზღვევის აპარატის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული გლეხობასთან;

მომავლისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს თემაღმასკომებისა და სახ. დაზღვევის მუშაკთა გაერთიანებული თათბირების მოწვევა დაზღვევის საკითხების გასარჩევად;

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ მეტი ყურადღება მიაქციოს ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოებას გლეხობაში შესაფერი ლიტერატურისა და პლაკატების გავრცელების გზით.

# კომკავშირში

## თბილისის ორგანიზაციის კულტურული ლაშქრობა

თბ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე ჩატარდება კომკავშირის თბ. ორგ. კულტურული ლაშქრობა. ლაშქრობის მიზანია მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის დაახლოება სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობასთან, ხელოვნებასთან და საერთოდ ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებთან. კულტურული ლაშქრობის ორგანიზაციულად მოწყობის მიზნით შეიქმნება ერთი დივიზია, ხელმძღვანელ შტატში შევლენ როგორც ცეკასა და თბილისის კომიტეტის მუშაკები, ისე არმიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენლები. დივიზია დაჯგუფებული იქნება მებრძოლ ერთეულებათ. ლაშქრობას ექნება ორი ამოცანა: ა) დაზვერვა და ბ) შეტაკება.

დაზვერვა უნდა ჩატარდეს ცალკე მებრძოლ ერთეულების მიერ, გენერალური შტაბის ბრძანების შემდეგ.

დაზვერვის მიზანი იქნება გამოარკვიოს, რამდენია მუშა-ახალგაზრდობაში წ.-კ. უცოდინარი, სად არის ყველაზე უფრო ფესვებ გადგმული ბიუროკრატიზმი, რა მონაწილეობას იღებს კომკავშირი საწარმოო ცხოვრებაში, როგორი ყურადღება ექცევა მუშა-გამომგონებლებს, სრულდება თუ არა მუშების მიერ შეტანილი წინადადებები, რა პირობებში ცხოვრობს მუშა-ახალგაზრდობა და სხვა.

დაზვერვის მთელ მასალებს დაამუშავებენ მებრძოლი ერთეულები, რის შემდეგაც დაიწყება „შეტევა“.

„შეტევის“ დროს მოეწყობა ლიტერატურული საღამოები და დისპუტები, სადაც გაირჩევა საკითხები თუ „როგორ უნდა იცხოვრო კულტურულად“, „როგორ გაანაწილო შენი საკუთარი ბიუჯეტი“ და სხვა; დაარსდება საინიციატივო ჯგუფები თამბაქოს წევისა, ლოთობისა, გინების და სხვა ასეთ უარყოფით ჩვეულებების წინააღმდეგ საბრძოლველად. ლაშქრობის მსვლელობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას კომკავშირელ და უპარტიო მუშათა ახალგაზრდობაში.

თუ დღემდე მუშათა ახალგაზრდობის ფართო ფენები მოწყვეტილი იყვნენ სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მუშაობას, ლაშქრობა ეჭვს გარეშე გამოასწორებს ამ ნაკლს.

**ვ. დ.**

## სასკოლო უჯრედების მდივნების თათბირი

თბილისის კომიტეტში გუშინ შესდგა სასკოლო უჯრედების მდივნების თათბირი. თათბირის ამოცანას შეადგენდა სასკოლო უჯრედების მდგომარეობის გამორკვევა და გასული სამოსწავლო წლის მუშაობის შეჯამება.

ამხ. იმედაძის სიტყვის შემდეგ თათბირი შეუდგა ადგილებიდან მოხსენებების მოსმენას.

— ჩვენს სასწავლებელში კომკავშირის ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა, განმტკიცდა და კომუნისტური გავლენა—ამბობს პედაგოგიურ ინსტიტუტის უჯრედის მდივანი,—მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პედაგოგი დამახინჯებით აშუქებს ამა თუ იმ საკითხს. მაგ. ერთმა ლექტორმა „დაამტკიცა“ რომ „სოციალიზმი არ არის პროგრესიული მოვლენა, რადგანაც იქ ადგილი არ ექნება ეგოიზმსო“. ასეთი ლექტორები ზოგჯერ ფარულად და ზოგჯერ აშკარად ცდილობენ ანტიკომუნისტური აზრების „კონტრაბანდით“ გატარებას.

—ჩვენს სასწავლებელში ზოგიერთი პედაგოგები ქმნიან მოწაფეთა დაჯგუფებას—ამბობს სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმის უჯრედის მდივანი—ავიწროვებენ კომკავშირელებს და ცდილობენ ამ საქმეში ჩაითრიონ უპარტიო ახალგაზრდობაც.

იყო ასეთი შემთხვევა: ერთმა მასწავლებელმა აითვალწუნა მოწაფე კომკავშირელი და რომ მოეშორებია სასწავლებლიდან გამოცდის დროს დაუწერა სუსტი ნიშანი. კომისიას კი ამ მოწაფემ ფრიადზე ჩააბარა.

გეოგრაფიის მასწავლებელი, დამეავებული შოვინისტი, გაკვეთილზე მიმართავდა მოწაფეებს: „ხედავთ რუქას, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს რა საჭირო არის რუსეთთან კავშირი?“.

— ჩვენს ტეხნიკუმში ლექტორებათ ექიმებია. მათ არ უყვართ პოლიტიკაზე ლაპარაკი. მაგრამ ძალიან „მოდაში“ აქვთ ანტისაბჭოთა ხასიათის ანეკდოტები.

სკოლაში 500-მდე ქალია. ყველა თითქმის წვრილ ბურჟუაზიულ წრიდან გამოსული. ისინი მოწყვეტილი არიან საბჭოთა საზოგადოებრიობას, აღნიშნავს მედ-ტეხნიკუმის უჯრედის მდივანი.

— ჩვენი უჯრედის მდივანი, უპარტიო გამგის გავლენის ქვეშ მოექცა—არც ერთ კრებას არ დანიშნავდა, რომ გამგე არ მოეწვია. როდესაც მდივანი მოვხსენით და გამგეც ბიუროს სხდომაზე არ დავისწარით, უკანასკნელმა კედლიდან განცხადება ჩამოგვიხია და წინადადება მოგვცა, რომ მის ნებართვის გარეშე კრება არ მოგვეწვია.

საზოგადოებრივ მეცნიერებას გვასწავლის პედაგოგი, რომელიც აშკარად ანტიკომუნისტური ელემენტია. მარქსიზმი მას შებრუნებით ესმის.

არა ნაკლებია ნაციონალისტური განწყობილება უპარტიო ახალგაზრდობის ნაწილში. ერთმა მოწაფემ, როდესაც ექსკურსიას ვაწყობდით სამთავისის კომუნის დასათვალიერებლად სთქვა: „ჩვენ რა გვინდა სამთავისში, წავიდეთ ბეთანიის მონასტერი ვნახოთ, იქ ოდესღაც, სამასი წლის წინედ, საქართველოს კულტურა ყვაოდა“-ო—ლაპარაკობს სამეურნეო ეკონომიურ ტეხნიკუმის კომკავშირელები.

## ახალი მასწავლებლები სოფელს

### (თ. კ. სამასწავლებლო კურსების გამოშვება)

თბილისის კომიტეტთან არსებულმა სამასწავლებლო კურსებმა, დაასრულა თავისი მუშაობა. ხსენებული კურსების გახსნით პარტიამ მიზნად დაისახა მოემზადებია სოფლის მასწავლებლების ახალი კადრი, რომელიც მომავალ თაობას აღზრდის კომუნისტურად და ხელს შეუწყობს სოფლის კულტურულ მშენებლობას.

ერთი წელია რაც კურსები არსებობს. კურსებს ხელმძღვანელობდენ გამოცდილი მასწავლებლები. მსმენელების 80 პროც. პარტიის და კომკავშირის წევრები შეადგენენ.

მსმენელებმა ჩაატარეს სანიმუშო გაკვეთილები თბილისის შრომის სკოლებში, რითაც დაამტკიცეს, რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად მათ მიიღეს პრაქტიკული გამოცდილებაც.

კურსებს ენერგიულად ხელმძღვანელობდა ამხ. **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი**, რის გამოც კურსების მსმენელები მხურვალე მადლობას უძღვნიან მას.

მადლობის ღირსია აგრეთვე ამხ. **აკ. კურესელიძე**, რომელიც იყო ჩვენი კურსების დაარსების ერთ - ერთი ინიციატორი. მადლობას უძღვნით მასწავლებლებს: **ვ. ხუროძეს, ს. ებრალიძეს, მ. წერეთელს, თ. ყაზახაშვილს, ია კარგარეთელს** და **ეპ. ვასაძეს**. ჩვენი მხრივ კი გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ შევსძლებთ ჩვენზედ დამყარებული იმედების გამართლებას.

ამხანაგების დავალებით: **კ. მათიაშვილი, კ. ფირცხალაიშვილი და კ. ბეჟუაშვილი.**

# საბჭოთა კავშირში

### ბალტიის ფლოტის ლაშქრობა

**ლენინგრადი, 21 ივნისი.** ბალტიის ფლოტი პირადი შემადგენლობის გასაწვრთნელად ბალტიის ზღვაში გავიდა ქარიშხალიან ამინდში. ლაშქრობაში მონაწილეობას იღებენ ზოგიერთი კრეისერები. ბალტიის ფლოტი მიდის შვეციის ნაპირების მიმართულებით (ადს).

### გლეხკორის მკვლელთა დახვრეტა

**ლენინგრადი, 21 ივნისი.** ფინური გაზეთის გლეხკორის ვაცუე უკონენის მკვლელობის საქმეზე დახვრეტა ჰქონდათ მისჯილი კულაკებს სოუკასს და სავოლაინენს.

საბჭოთა რუსეთის უზენაესმა სასამართლომ უშედეგოთ დასტოვა მსჯავრდადებულთა საკასაციო საჩივარი, საბჭოთა რუსეთის ცაკმა უარყო სოუკასის და სავოლაინენის შუამდგომლობა პატიების შესახებ. განაჩენი მოყვანილია სისრულეში (ადს).

### ნანკინის დროშა მოსკოვში

**მოსკოვი, 21 ივნისი.** ჩინეთის დიპლომატიური მისიის შენობაზე მოსკოვში აღმართეს ნანკინის მთავრობის ნაციონალური დროშა. დროშა წარმოადგენს წითელ ფონს, რომლის მარცხენა ზედა კუთხეში გამოხატულია გომინდანის პატარა დროშა (ცისფერი ფონი, რომლის ცენტრში გამოხატულია სხივებიანი მზე). (ადს).

### საჰაერო ხაზი მოსკოვი-ტაშკენტი

**მოსკოვი, 21 ივნისი.** საზოგადოება „დობროლიოტის“ გამგეობა 1928—29 წელში შეუდგება მოსკოვ-ტაშკენტის ახალი დიდი საჰაერო ხაზის მოწყობას. ამ გზას ჰაეროპლანი გაივლის დღენახევარში. მოსკოვ-ტაშკენტის ხაზს სადგურები ექნება სამარაში, ორენბურგში, კზილ-ორდაში და ტაშკენტში (ადს).

### ტაშკენტ-ქაბულის საჰაერო ხაზი

**მოსკოვი, 21 ივნისი.** 1 ივლისს ნახევარი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გაიხსნა ტაშკენტ-ქაბულის საჰაერო ხაზი. ამ ხაზმა მუშაობა ფაქტიურად დაიწყო 1927 წლის 14 სექტემბერს, როცა საზოგადოება „დობროლიოტის“ ჰაეროპლანით ქაბულში გაფრინდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავღანისტანში ამხ. სტარკი ხაზი მუშაობდა ზამთარში და ზაფხულში (ადს).

### ნავთის პროდუქტების ექსპორტი

**მოსკოვი, 21 ივნისი.** ნავთის სინდიკატის ცნობებით, ნავთის პროდუქტების ექსპორტი საბჭოთა კავშირიდან მაისში შეადგენდა 270,2 ათას ტონას. ნავთის გატანამ მიმდინარე წლის აპრილთან შედარებით მომატა 11 პროცენტით, ხოლო წარსული წლის მაისთან შედარებით 43,8 პროცენტით. საგრძნობლად მომატა ჩვენი ნავთის პროდუქტების გატანამ ინგლისში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში. ნავთის გატანა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა აგრეთვე გერმანიაში, ავსტრიაში და ჩეხოსლოვაკიაში. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში ნავთის პროდუქტების ექსპორტი საბჭოთა კავშირიდან შეადგენდა 1.700.000 ტონას, რაიც 36,8 პროცენტით აღემატება წარსული წლის იმავე პერიოდში გატანილ რაოდენობას. მოთხოვნილება ჩვენი ნავთის პროდუქტებზე საზღვარგარეთ ძალიან დიდია.

### აეროპლან „სიბრევკომ“-ის ძებნა

**ნოვოსიბირსკი, 21 ივნისი.** ამ რამოდენიმე ხნის წინად ბიისკიდან კრასნოიარსკში გაფრინდა აეროპლანი „სიბრევკომ“-ი, რომელიც უკვალოდ დაიკარგა. უკანასკნელად ის დაინახეს, კუზნეცზე გადაფრენის დროს. ფიქრობენ, რომ აეროპლანმა ავარია განიცადა ტაიგაზე გადაფრენის დროს. ციმბირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება ენერგიულ ზომებს ღებულობს აეროპლანის მოსაძებნად. ის, ვინც შეატყობინებს სათანადო ორგანოებს. თუ სად იმყოფება აეროპლანი, მიიღებს 500 მან. ჯილდოს. (ადს).

## მუშა-ხელის მომზადების შესახებ

**მოსკოვი, 21 ივნისი.** უკანასკნელ დროს თავი იჩინა დავამ იმის გარშემო, თუ რა მეთოდებით უნდა სწარმოებდეს კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება ჩვენი მრეწველობისათვის. ეს საკითხი გაირჩა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს, შრომის ცენტრალური ინსტიტუტის, განათლების სახ. კომისარიატის, კომკავშირის ცეკას და მთელ რიგ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების წარმომადგენელთა ფართო თათბირზე, რომელიც შესდგა განათლების მუშაკთა კავშირის ცეკასთან.

თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„მუშათა განათლების საქმეს ორგანიზაციული და პედაგოგიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ისევ განათლების სახალხო კომისარიატმა, ს. მ. უ. საბჭოს ორგანოებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მაქსიმალური გავლენა განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობაზე მუშათა განათლების ორგანიზაციის დარგში. მუშა ხელის მომამზადებელმა ორგანოებმა. ფართოდ უნდა გამოიყენონ შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდები. საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებთან ერთად უნდა დატოვებულ იქნას მუშა ხელის მომზადების სხვა ფორმებიც, საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების პროგრამები უნდა გადაისინჯოს იმ მხრივ, რომ ეს პროგრამები უფრო მჭიდროდ იქნას შეთანხმებული მრეწველობის სათანადო დარგის მოთხოვნილებებთან“ (ადს).

## აღმშენებლობის გასაიაფებლად

**მოსკოვი, 21 ივნისი** საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭომ გამოსცა ბრძანება ყველა სამეურნეო ორგანოების მიმართ — რათა მათ მიიღონ გადამჭრელი ზომები აღმშენებლობის გასაიაფებლად 15 პროცენტით. (ადს)

## ალტაი-პამირის ექსპედიცია

**მოსკოვი, 21 ივნისი.** ამხ. კრილენკომ, რომელიც შედის გერმანია-საბჭოთა კავშირის ალაი-პამირის ექსპედიციის საბჭოთა ჯგუფის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები ექსპედიციის ამოცანების შესახებ:

„1928 წლის პამირის ექსპედიციის უფროსმა გორბუნოვმა წინადადება მომცა მიეღო მონაწილეობა ექსპედიციაში პამირის გამოუკვლეველ მაღალ ქედებზე ასასვლელად. ექსპედიცია უმთავრესად სამეცნიერო მიზნებს ისახავს. ექსპედიცია მოწყობილია გერმანიისა და რუსეთის მიერ. ექსპედიციის გერმანული და საბჭოთა სამეცნიერო ნაწილი უკვე გაემგზავრა დანიშნულებისამებრ.

ჩვენი ალპინისტების ჯგუფი გაემგზავრება ივლისის ბოლოს ალპინისტების ჯგუფის პირველი მიზანია „ლენინის პიკ“-ის მწვერვალზე ასვლა. ეს არის ერთ ერთი უმაღლესი მთა დედამიწის ზურგზე და მის მწვერვალზე, რომლის სიმაღლე 7.000 მეტრს უდრის, ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. მაგრამ შესაძლებელია, რომ ექსპედიცია ავიდეს მეორე მწვერვალზედაც, სახელდობრ „გარმოს პიკ“-ზე, რომლის სიმაღლე ჯერ გამოურკვეველია (ფიქრობენ რომ ამ მწვერვალის სიმაღლე აღემატება 7.000 მეტრს“) (ადს).

## ქალაქი ციურუპინსკი

**ხარკოვი, 21 ივნისი.** ამხ. ციურუპას ხსოვნის უკვდავსაყოფად სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ქალაქ ალეშკის (ხერსონის ოლქი), სადაც დაიბადა ციურუპა, ეწოდოს ციურუპინსკი. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცა საკავშირო ცაკს. (ადს).

## ავღანისტანის ვაჭრობის მინისტრი „გოსტორგ“-ის საექსპორტო გამოფენაზე

**მოსკოვი, 21 ივნისი.** ავღანისტანის ვაჭრობის მინისტრმა აბდულ ხადჯა-ხანმა ინახულა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის სააპიო ამხანაგობა („გოსტორგ“-ი), სადაც საუბარი ჰქონდა „გოსტორგის“ გამგეობის წარმომადგენელ ამხ. ოდინცოვთან. მინისტრმა დაათვალიერა „გოსტორგის“ საექსპორტო გამოფენა და დაწვრილებით გაეცნო სხვადასხვა ექსპონატებს. მინისტრის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ საქონელთა ნიმუშებმა, რომლებიც წარმოადგენენ ავღანისტანის საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის ობიექტს (ადს).

## მენდელეევის სახელობის ყრილობა

**ყაზანი, 21 ივნისი.** მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო ყრილობაზე მუშაობენ სექციები. საერთო ქიმიის სექციაში აკადემიკოსმა **კურნაკოვმა** გააკეთა მოხსენება პლატინის დამუშავების საქმის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ლენინგრადის პლატინის ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა. საკმაოდ მოწესრიგდა პლატინის საქმე ურალზე.

ორგანიული ქიმიის სექციაში პროფესორმა **პავლოვიჩმა** და **რაბუზოვმა** წამოაყენეს საკითხი სინტეტიურ სათრიმლავ ნივთიერებათა მიღების და ხელოვნური ტყავის დამზადების შესახებ.

პროფესორი **ჩელინცევი** „კრასნაია ტატარია“-ში სწერს: „ყრილობაზე არა მარტო გაშუქეს მეცნიერული მუშაობის შედეგები, არამედ წამოაყენეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც უახლოეს დროში უნდა იქნეს გამოკვლეული და გადაჭრილი ლაბორატორიებში და ქარხნებში. ახალგაზრდა ქიმიკოსებმა მიიღეს მეტად საგულისხმო მითითებები—საითკენ უნდა მიმართონ თავისი ძალები, რომელ დარგებში უნდა აწარმოონ გამოკვლევები. ყრილობამ უდიდესი ყურადღებით განიხილა ბევრი ძირითადი პრობლემები და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ამოცანები, რომლებიც სდგას მეცნიერთა წინაშე მრეწველობაში“. (ადს).

## მაქსიმ გორკის მოლოდინში

თბილისში ამხ. **ელიავას** თავმჯდომარეობით მოეწყო მაქსიმ გორკის იუბილეს საქართველოში ჩამტარებელი კომიტეტი, რომელმაც მოსკოვში ამხ. ბუხარინის და ხალატოვის სახელზე გაგზავნა დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რომ კომიტეტმა გადადგა მთელი რიგი საორგანიზაციო ნაბიჯები იუბილეს პრაქტიკულად ჩასატარებლად და რომ გორკის ჩამოსვლას საქართველოში იგი აუცილებლად სთვლის სორენტოში გორკისათვის გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნული მოტივების გამო და აგრეთვე მთელი რიგი საკითხების, განსაკუთრებით პროლეტარული ლიტერატურის საკითხების დასასმელად.

კომიტეტი სთხოვს აცნობოს, თუ როდის ჩამოვა მაქსიმ გორკი თბილისში.

## შავი ზღვის რკინის გზის მნიშვნელობა თურქეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში

თურქეთის ახალ სარკინიგზო მშენებლობასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის უმოკლესი სარკინიგზო მიმოსვლის საკითხს თურქეთ-საბჭოთა ვაჭრობაში ამჟამად აქტუალური მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ უდიდეს როლს ითამაშებს შავი ზღვის რკინის გზა, რომელიც საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებს უმოკლესი გზით დაუკავშირებს (საქართველოდან ართვინისა და არდაგანის რაიონებს და საქართველოდან და სომხეთიდან ყარსის, ერზერუმისა და იგდირის რაიონებს) ანატოლიის თურქეთს.

ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს განზრახული იყო გაეყვანათ ბორჯომ-ყარსის რკინის გზის მაგისტრალი, რომლის საშუალებით ცენტრალური რუსეთი უმოკლესი გზით დაუკავშირდებოდა ყარსის გუბერნიას. ეს პროექტი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიულ მიზნებს ისახავდა, როგორც ვიცით, არ იქნა განხორციელებული. შავი ზღვის რკინის გზას კი ექნება არა სტრატეგიული, არამედ წმინდა ეკონომიური მიზნები.

შავი ზღვის რკინის გზა ქერჩ-ჯანკოისა და განზრახულ ჯანკ-უმანის რკინის გზასთან ერთად შექმნის საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდეს სატრანზიტო მაგისტრალს, რომელიც ევროპას უმოკლესი გზით—უკრაინასა, ყუბანსა, საქართველოსა და სომხეთზე გავლით—დაუკავშირებს აღმოსავლეთის ქვეყნებს. ამ გზის გაყვანის შემდეგ მანძილი როსტოვიდან თბილისამდე შემცირდება 584 ვერსით, ხოლო ფოთამდე—1093 ვერსით. ცხადია, რომ ამ გზით უფრო ადრე მიაღწევს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ-სამრეწველო რაიონებიდან საბჭოთა მრეწველობის პროდუქცია ყარსის, ერზერუმის, იგდირის, ართვინის და არდაგანის რაიონებში, აგრეთვე თურქეთის ნედლეული—საბჭოთა კავშირის მოხმარების ბაზრებამდე. საექსპორტო-საიმპორტო საქონლის გადასაზიდ მანძილის შემცირებას და ამასთან დაკავშირებით ფრახტის ღირებულების გაიაფებას აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თურქეთის ახალი სარკინიგზო მშენებლობა მნიშვნელოვნად ადიდებს ევროპის საქონლის კონკურენციას აღმოსავლეთ ანატოლიის ბაზარზე. საქმე იმაშია, რომ თურქეთის ახალი სარკინიგზო მშენებლობის პროგრამა ითვალისწინებს ორი ჯვარედინი ხაზის გაყვანას შემდეგი შტოებით: პირველი ანგორიდან წავა აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ და მეორე სამსუნიდან მერსინისაკენ. პირველი ხაზი ერთმანეთს დაუკავშირებს ორ დიდ ნავთსადგურს—სტამბოლსა და სმირნას ანგორა და სივასით და გაივლის ერზინჯანზე ერზერუმამდე. ეჭვს გარეშეა, რომ ამ გზით ისარგებლებენ უცხოელი კომერსანტები, რათა შეიჭრან თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში, ვინაიდან ამჟამად თურქეთის იმ რაიონებში, რომლებიც ჩვენს მეზობლადაა, დასავლეთ-ევროპის საქონლის გაგზავნას აბრკოლებს მოუხერხებელი გზების უქონლობა, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს საქონელს ამ რაიონების ბაზარზე.

საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიურად დაკავშირებულ თურქეთის რაიონებში დასავლეთ-ევროპის საქონლის გაგზავნის პირობების გაადვილება გვავალებს გავაძლიეროთ ჩვენი საქონლის მეტოქეობის უნარი. ჩვენი საქონლის მეტოქეობის უნარის გაძლიერება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ფრახტისაგან, ხოლო ფრახტის გაიაფება საკავშირო ტრანსპორტის ფინანსიური გაჭირვების პირობებში შეიძლება ტვირთის გადასაზიდ მანძილის შემცირებით. სწორედ შავი ზღვის რკინის გზა სავსებით დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. როცა შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა დამთავრდება, მაშინ ამ გზით იწარმოებს თურქეთ-საბჭოთა საქონლისა და აგრეთვე ევროპის სატრანზიტო საქონლის გადატანა.

ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირში ტარდება საქონლის გამტარებლის რაციონალიზაცია, შავი ზღვის რკინის გზას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თურქეთ-საბჭოთა ვაჭრობაში და აგრეთვე შავი ზღვის რაიონების სამეურნეო განვითარების საქმეში (ტყვარჩელის ქვანახშირის პრობლემა და სხ.).

შავი ზღვის რკინის გზა ჯულფა-ბაქოს რკინის გზასთან ერთად გარკვეულ როლს ითამაშებს სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობაშიაც. ვინაიდან შავი ზღვის რკინის გზა შედის დასავლეთ-კავკასიის მაგისტრალში, ხოლო ჯულფა-ბაქოს გზა—აღმოსავლეთ-კავკასიის მაგისტრალში, ამიტომ ეს ორი გზა ერთმანეთს კონკურენციას არ გაუწევენ.

დაბოლოს, შავი ზღვის რკინის გზა, რომელიც მდიდარ რაიონებზე გაივლის, უზრუნველჰყოფს ამ რაიონების სამთო მრეწველობის განვითარებას და ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის პროდუქციის ექსპორტს თურქეთსა და სპარსეთში.

მოყვანილ მოსაზრებების გამო, აუცილებელია შავი ზღვის რკინის გზის დაჩქარებით დამთავრება. ამას მოითხოვს როგორც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ინტერესები, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების საჭიროება.

**დ. ზავრიევი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველო

## წერილები

### განახლების გზაზე
(წერილი თელავიდან)

საბჭოთა სოფელი განახლების გზაზეა დამდგარი, რა დარგიც უნდა აიღო: მშენებლობა, ყოფა-ცხ. გაუმჯობესება, ჩაცმა-დახურვა და კვება—ყველა ეს დიდათ განირჩევა წინანდელთან შედარებით. მართალია ყველა ამათში ჯერ-ჯერობით მოსჩანს სუბიექტიური მიდრეკილება, მაგრამ ობიექტიც ემჩნევა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში. ეს არის სასმელი წყაროების გამოყვანა. ალაგ-ალაგ სახალხო თეატრებას და სკოლების შენობების აგება და სხვა, რომელსაც თვითდაბეგვრის საშუალებით აწარმოებს გლეხთა მოსახლეობა.

განსაკუთრებით უკანასკნელ წელში ჩვენი სოფელი უფრო განახლების გზაზეა შემდგარი. ძველს სტოვებს, როგორც უვარგის ჩვეულებას, მის მაზარალებელს და მიისწრაფვის ახლისაკენ. როგორიცაა მაგალითად კოლექტიური ამხანაგობების შექმნა, თავისუფალ საზოგადოებებში ჩაბმა და სხ.

ეს ძველის დატოვება, სხვათა შორის გამოიხატება საეკლესიო დღეობების უკუგდებაშიც.

გაზაფხულიდან დაწყებული საზოგადოთ კახეთში და კერძოთ თელავის მაზრაში, არ იყო არც ერთი ისეთი სოფელი, რომელსაც დღეობა არა ჰქონდეს ეს დღეობები შემდეგში გამოიხატებოდა: ყველა მეკომური მიუხედავათ მისი ნივთიერ-ქონებრივ მდგომარეობისა, წვეულებას მართავდა. რაც უნდა ღარიბი გლეხი ყოფილიყო, სხვას ვერ გამოერჩეოდა, იღებდა ვალს, ჰყიდდა ახალ მოსავალს, სესხულობდა ერთი-ორად ღვინოს, რაც უნდა საქმე ჰქონოდათ ერთი კვირა ვეღარ მუშაობდა სოფელი. ჯერ ნათესავ-ნაცნობებში სიარული დასაპატიჟებლად, მერე სამი დღე წვეულება—ქეიფი, სცდებოდა მთელი სოფელი და ილუპებოდა გლეხის ოჯახი. რაც უნდა ღარიბი ოჯახი ყოფილიყო სულ ცოტა 20—30 მანეთი ეხარჯებოდა, ხოლო საშუალო 50—100 მან.

წელს კი სულ სხვას ვხედავთ, მოახლოედება თუ არა სოფლის დღეობა, მოსახლეობა სასოფლო ყრილობაზე ადგენს მის გაუქმებას. ასეთი დადგენილების გამოტანის შემდეგ წელს საეკლესიო დღეობა აღარ გადაიხადეს შემდეგ სოფლებში: შალაურმა (357 კომლი) „გიორგობა“, კალაურმა (454 კომლი) „კვირაცხოვლობა“, შაშიანმა 446 კომლი) „გიორგობა“, იყალთომ (438 კომლი) „ფერისცვალება“, კოლოთომ (98 კ.) „უსანეთობა“ და სხვა სოფ. კოლოთის მოსახლეობამ დაბეჭდილი განცხადებით ამცნო მეზობელ სოფლებს, რომ „უსანეთობას“ ნუ შესწუხდებიან სტუმრად მისვლით, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელი სტუმრებით ბეგარაზე იქნება გაყვანილი.

სასურველი იყო გაუქმებულ დღეობებით გადარჩენილი თანხების მცირე ნაწილი მაინც მოხმარებოდა სოფლის საზოგადო საქმეს, მაგრამ ჯერ ხომ ერთი კარგი ნაბიჯი გადაიდგა და ამას შემდეგში მეორეც მოჰყვება.

**ვან—ლი.**

### ჩვენი სოფლისათვის საზეიმო დღე
(სოფ. ხაშმი, თბილისის მაზრა)

14 წელიწადია, რაც სოფ. ხაშმში მიმდინარეობს წყაროს გამოყვანა. მენშევიკების ბატონობის დროს მათ სცადეს მისი დამთავრება. ამ მიზნით გაჰყიდეს რვა დესეტინის სივრცეზე გაშენებული სოფლის კუთვნილი ვენახი, მაგრამ აღებული თანხიდან წყაროს გამოყვანას არაფერი მოხმარება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო თანდათანობითი მუშაობა წყაროს გამოსაყვანად, რომლის სათავე სოფლიდან დაშორებულია რვა კილომეტრის მანძილზე. თბილისის აღმასკომმა სესხად მოგვცა მილების შესაძენად 25.000 მანეთი. დანარჩენ მუშაობას გლეხობა ასრულებდა უფასოდ და ამჟამად წყაროს გამოყვანა დამთავრებულია, სოფლის სამ ადგილას უკვე გამოჩქეფს ონკანიდან წყალი. ამ დიად საქმეს 1924 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა ამხ. ხვიმონ ქორქაშვილი.

წყაროს გამოყვანის დამთავრების გამო ხაშმის გლეხობამ სართიჭალის თემაღმასკომთან შეთანხმებით დაადგინა, კვირას, 24 ივნისს მოაწყონ საზეიმო სხდომა, სადაც მოწვეულნი არიან ხელისუფლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ხაშმელი.**

### 12.000 მან. ზარალი დაუდევრობით
(წერილი ფოთიდან)

ჭაობების ამომშრობ სამუშაოების სამმართველოს ფოთის განყოფილებამ გასულ წელს აგო მუშების საცხოვრებლად წყალზე მცურავი ნავი, რომლის აგებაზე დაიხარჯა დაახლოებით 12.000 მანეთი. აღნიშნული (მცურავი) ნავი 2 თვეზე მეტია, რაც მდ. რიონშია დაძირული. ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს. სახელმწიფო ქონება კი ლპება.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება დაძირულ ნავის ამოსაღებათ, რომ საბოლოო განადგურებას გადარჩეს. აუცილებელია აგრეთვე ამ საქმეში დამნაშავე პირების აღმოჩენა და მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება.

**—ძე.**

### კულტურული მუშაობა მოდუნებულია
შემოქმედის თემი, გურია

შემოქმედის თემი კულტურულად მუდამ მაღალ დონეზე იდგა და კულტმუშაობა სათანადოდ სწარმოებდა. უკანასკნელ ხანებში კი თემში თითქმის აღარაფერი კეთდება ამ მიმართულებით. დიდი ხანია აქ არსებობს სამკითხველო და გასული წლის ბოლომდე კარგათაც იყო დაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე. მიმდინარე წლიდან სამკითხველო ღია აღარ გვინახავს. როდესაც ამის შესახებ ვეკითხებით პასუხისმგებელ პირებს, ისინი ასე გვიპასუხებენ: „სამკითხველოს გამგეს ჯამაგირი ვერ მივეცით და თანხების უქონლობის გამო ვერც გაზეთები გამოვიწერეთო“.

ეს გარემოება დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს თემსაბჭოს კულტგანმანათლებელ სექციას.

მეორე ნაკლი ის არის, რომ ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა მოსახლეობაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეს. გასულ წელთან შედარებით წელს გაცილებით ნაკლები გაზეთი ვრცელდება ჩვენს თემში.

ნუთუ კულტსექციას არ ესმის თავისი მოვალეობა თუ რა უნდა აკეთოს მან მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში?

საჭიროა კულტსექციის ამოქმედება და თემში კულტურული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

**მიშა გოგიეთელი.**

### ძველი ტრადიციის მსხვერპლი
ს. ეკი, სენაკის მაზრა.

ჯერ კიდევ არ მოეღო ბოლო სოფლად ძველი ტრადიციის მავნე ჩვეულებებს. 7 ივნისს სოფ. ეკში მოქ. იულონ ადამიას ოჯახიდან უნდა დაესაფლავებიათ მიცვალებული, რა თქმა უნდა პურ-ღვინით: იმავე დღეს ქელეხში დამთვრალი ჩიქობავები და კინწურეიშვილები დაერივნენ ერთმანეთს. ტრიფონ ჩიქობავამ ესროლა რევოლვერი. მათე კინწურეიშვილს და იქვე მოჰკლა, ხოლო მეორე, ლადო ჩიქობავა დასჭრა.

ასეთია ძველი, მავნე ტრადიციების ნაყოფი. ამისთანა მაგალითები ბევრია.

საჭიროა მშრომელმა ხალხმა შეიგნოს, რომ ძველ ტრადიციებს ვნება მოაქვს, ის საზოგადოებას გადაგვარების გზაზე აყენებს და ერთხელ და სამუდამოდ აიღოს ხელი ისეთ მავნე ჩვეულებებზე, როგორიც არის მიცვალებულის დაკრძალვის დროს ქელეხის გამართვა.

**გლეხკორი ზეინკალი.**

### გლეხკორთა წერილებიდან

#### ჩვენც ვეხმარებით
ს. ბოსლევი, შორაპნის მაზრა

16 ივნისს ბოსლევ-დილიკაურის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა კრებამ დაადგინა გადასდოს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ნახევარი დღის ხელფასი.

**რე.**

#### დაუმატეთ თანამშრომელი
სოფ. ბოსლევი, შორაპნის მაზრა

ადგილობრივი კოოპერატიული სავაჭროს ყოველდღიური ბრუნვა 500—600 მანეთს უდრის. ამიტომ ერთი თანამშრომელი ვერ ასწრებს მომხმარებლის თავის დროზე დაკმაყოფილებას. საჭიროა გამგეობამ დაუმატოს მეორე თანამშრომელი. ეს ევალება კაცხის კოოპერატივის გამგეობას.

**რე.**

# მუშათა ცხოვრება

### ურთიერთ დახმარე სალაროები

ურთიერთ დამხმარე სალაროები ერთი მთავარი საშუალებათაგანია მუშების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს იცის ყველამ. ის იცის, როგორც პროფორგანოებმა საერთოდ, ისე თვით მუშებმაც, რომლებიც ირიცხებიან ამ სალაროების წევრებად, მაგრამ სამწუხაროდ სალაროების მუშაობა, მისი გადახალისების შემდეგაც კი, ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. ადგილობრივი პროფორგანოები, ურთიერთ დამხმარე სალაროებს ვერ უწევენ სწორ ხელმძღვანელობას. ამიტომ არის, რომ ძალიან ხშირად ხდება სალაროების თანხების გაფლანგვა ურთიერთ დამხმარე სალაროების ხელმძღვანელების მიერ.

ზოგიერთი ადგილობრივი პროფორგანოს ხელმძღვანელობა ურთიერთ დამხმარე სალაროებზე გამოიხატება მხოლოდ სალაროების მუშაობის ანგარიშების შედგენაში და სხვა ასეთ წვრილმან და უმნიშვნელო საკითხების მოგვარებაში. სალაროების დანარჩენ მუშაობას ადგილკომი ან სულ არ იცნობს და ან კიდევ იცნობს ზერელეთ, სხვათაშორის ასეა მაგალითად სამტრედიის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ადგილობრივი კომიტეტი. უკანასკნელი არამც თუ უწევს რაიმე ხელმძღვანელობას ურთიერთ დამხმარე სალაროს და აძლევს დირექტივებს, არამედ არც კია დაინტერესებული სალაროს მდგომარეობით. მთელი 4 თუ 5 წლის განმავლობაში, ადგილკომს ერთხელაც არ შეუწუხებია თავის სალაროს საქმიანობის გადასასინჯავათ და დავალიანების თავის დროზე გასანაღდებლად.

შეიძლება ადგილკომი იცნობდა კიდეც სალაროს მუშაობას, შეიძლება იგი უშუალო მონაწილეობასაც ღებულობდა სალაროს მუშაობაში, მაგრამ ის გარემოება, რომ სალაროს ორმა პასუხისმგებელმა მომუშავეებმა, ხუთი წლის წინად გაიტანეს სალაროდან სესხი ერთმა 100 მანეთისა და მეორემ 160 მანეთის რაოდენობით, იმ დროს, როდესაც სალაროს სხვა წევრებს, 5 მანეთსაც კი არ აძლევდნენ სესხს, მოწმობს იმას, რომ ადგილობრივი კომიტეტის ხელმძღვანელობა ურთიერთ დამხმარე სალაროზე, არ იყო სწორი და დამაკმაყოფილებელი.

არ კმარა მარტო ანგარიშების შედგენა და საერთო კრებებზე განცხადებით გამოსვლა იმის შესახებ, რომ სალაროს მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, ან არ არის დამაკმაყოფილებელი და სხვა. საჭიროა ადგილკომმა იცოდეს ის თუ ვინ უფრო სარგებლობს ამ სალაროდან, მუშა თუ თვით სალაროს რომელიმე ხელმძღვანელი. საჭიროა პროფორგანოები დრო გამოშვებით შინჯავდნენ სალაროს მუშაობას და სალაროს მდგომარეობის მიხედვით აძლევდნენ სათანადო დირექტივებს სალაროს ხელმძღვანელებს.

თვით სალაროს წევრებმაც უნდა შეიგნონ, რომ სესხის თავის დროზე გადაუხდელობა, აფერხებს სალაროს ნორმალურ მუშაობას.

**სალაროს წევრი.**

### გაფლანგვას უდრის
(ბათომი)

15 მაისს სადგ. „კრივოი-ტორეცი“-დან ბათომში მოვიდა ერთი რონოდა ქვანახშირი „აჭარჰესის“ მისამართით. ხსენებული ტვირთი, მიუხედავათ თავის დროზე შეტყობინებისა, „აჭარჰესი“-ს სამმართველომ, რკ. გზიდან გამოიყიდა მხოლოდ 1-ლ ივნისს. ტვირთის გამოზიდვის ხარჯები უდრის 292 მან. და 89 კაპ. თავის დროზე გამოუყიდველობის გამო კი სადგ. ბათომმა გადაახდევინა ვაგონის (მოცდენის) გაჩერების 108 მან 50 კაპ. და შენახვის 106 მან. 28 კაპ. სულ 507 მან. 67 კაპ.

ასეთივე ბედი ეწვია სადგ. გლასნაიდან გამოგზავნილ ორ რონოდა ნახშირსაც, რომელიც სადგურში მოვიდა 23 მაისს და გამოყიდულ იქნა პირველ ივნისს. დროზე გამოუყიდველობისათვის რკინის გზამ ამაშიც გადაახდევინა რონოდის მოცდენის 63 მანეთი და შენახვის კი 29 მან. 67 კაპ.

რა თქმა უნდა ეს ყოვლად გაუმართლებელი და დაუდევრობით გამოწვეული ზედმეტი ხარჯები, გამართლებულ და დასაბუთებული იქნება საბუღალტრო წიგნში.

ეს ორი, თითქმის უბრალო შემთხვევა, დამახასიათებელია „აჭარჰესი“-ს ხელმძღვანელთა უყაირათობის, მხოლოდ მათი დაუდევრობით გამოწვეული ზედმეტი ხარჯები კი უდრის გაფლანგვას, რასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

**ნ—რი.**

### სამართლიანი მოთხოვნილება დააკმაყოფილეთ
(თბ. საყუდი)

გასული წლის სექტემბერში, თბილისის საყუდის სამატარებლო ბუნდის გამხურებლებმა შეიტანეს კოლექტიური განცხადება წევის დარგის მე-4 უბნის უფროსთან საბრუნავ პუნქტებში მუშაობის ჯილდოს მიცემის შესახებ. განცხადებამ დიდი ხანი იარა ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებებში. ბოლოს როგორც იქნა გასცეს განკარგულება ჯილდოს მიცემის შესახებ; წევის დარგის მე-4 უბნის საანგარიშო კანტორამ შეადგინა სია, რომლის თანახმად რკინის გზას უნდა გაეღო 1452 მან. 52 კაპ. გამხურებლებზე გასაცემად, მაგრამ სამწუხაროდ ეს განკარგულება ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

საგზაო მომწესრიგებელი ბიუროს მარტის მომართვის თანახმად, საბრუნავ პუნქტებში მუშაობა უნდა ჩაითვალოს თვიურ მუშაობის ნორმაში ზევით საათები უნდა ჩაითვალოს ზედმეტ ნამუშევრად. ზედმეტი საათების ვადა კი, თანახმად № 3617 ბრძანებისა, არის ექვსი თვე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია იქნეს განსაჩივრებული. ისე, რომ გამხურებლებს, რადგან მათ დაგვიანებით შეიტანეს განცხადება, მისცეს მარტო 24 დღის ზედმეტი საათების ჯილდო. დანარჩენზე უარი ეთქვა.

იმ დროს, როდესაც სად. გურჯაანის ყოფ. უფროსს ტუსიშვილს, მთელი წლის ზედმეტი საათების ჯილდო გამოუწერეს. საინტერესოა მომწესრიგებელმა ბიურომ რატომ არ გაავრცელა მასზე № 3617 ბრძანება.

ამჟამად მუშებმა ხელმეორედ აღძრეს საჩივარი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, და მოითხოვენ ჯილდოს გაცემას. შემფ. საკონფლიქტო კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს მუშების სამართლიანი მოთხოვნილება.

**საკაველი.**

### ლენრაიონის მუშკორების თათბირი

13 ივნისს, შესდგა ლენინის რაიონის მუშკორთა თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენება თვითკრიტიკისა და კედლის გაზეთების ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი ადმინისტრაცია სწიხლავს და წინაურებულ მუშებს და არ აძლევს მუშაობის საშუალებას. ასეთ პირობებში ცხადია დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული მუშკორის კალამს: მან უნდა ამხილოს ყოველგვარი ნაკლი და ამით ხელი შეუწყოს ჩვენი წარმოების დეფექტების გამოსწორებას. მაგრამ მარტო ამით როდი განისაზღვრება მუშკორის მოვალეობა. მას დიდი მოვალეობა აწევს აგრეთვე წარმოების გაჯანსაღებაშიც; ხშირად მუშების საუკეთესო წინადადებები და საწარმოო თათბირების დადგენილებები, მაგიდის უჯრაში აწყვია უნაყოფოდ. კედლის გაზეთებმა უნდა მიუთითონ ამ აშკარა ბოროტმოქმედებაზე მუშებს და სათანადო ორგანოებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ იქნეს აღმოფხვრილი ეს ნაკლი.

აღსანიშნავია, რომ წარმოება-დაწესებულებათა ზოგიერთი „მესვეურები“ არ უპასუხებენ მუშკორის შენიშვნებს. ასეთია მაგალითად მთ. სახ. სახელოსნოს ადმინისტრაცია; როცა მთ. სახ. უფროსს, მაისუროვს შეეკითხნენ რად არ აძლევს პასუხს შენიშვნებზეო, მან მიუგო, რომ „მე გაზეთს არა ვკითხულობ, თუ სამმართველო შემეკითხება—განვუმარტავო“. ასეთი უკმეხი პასუხი, მუშკორს უკარგავს წერის ხალისს.

უნდა ითქვას, აგრეთვე ისიც, რომ ზოგი კედლის გაზეთები ვერ სდგანან თავის სათანადო სიმაღლეზე. არ არის ჩამოყალიბებული მუშკორთა წრეები, მოისუსტებს კომუჯრედების და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებზე და სხვა. კედ. გაზეთებში იწერება გრძელი და გაუგებარი წერილები რითაც მნიშვნელობა ეკარგება კედლის გაზეთს. ასეთ მდგომარეობაშია, მაგალითად; რკ. გზ. სამმართველოს, მთავარ სახელოსნოს, მოძრაობის დარგის და სხვა კედლის გაზეთები.

დასასრულ თათბირმა გამოიმუშავა ღონისძიებანი კედლის გაზეთების მუშაობის გასაძლიერებლად.

**ფ. მესხიძე.**

# საქ. ცაკის პრეზიდიუმში

### ჯარიმა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და მიიღო პროექტი დადგენილებისა, სამაზრო აღმასკომების და საქალაქო და სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ. ახალი პროექტით სამაზრო აღმასკომების, საქალაქო და სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ არსებულ დებულებაში შეტანილი იქნა მრავალი ცვლილებანი, განსაკუთრებით ცვლილება შეეხება აღმასკომებისა და საბჭოების სავალდებულო დადგენილებების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ წესით დაჯარიმებას.

შეტანილ ცვლილების მიხედვით სამაზრო და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს: თბილისში — 100 მანეთს; ფოთში, ჭიათურაში, ბორჯომში, სურამში, ხაშურში და სხვა სამაზრო ქალაქებში — 50 მანეთს, სოფლებში — 5 მანეთს. თემსაბჭოების დადგენილების დარღვევისათვის კი ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 3 მანეთს, ფულადი დაჯარიმება სოფლად შეიძლება შეცვლილი იქნეს იძულებითი მუშაობით არა უმეტეს 3 დღისა, მაგრამ დაჯარიმება სოფლად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეცვლილი იქნეს დაპატიმრებით.

### პენსია დუშეთის აჯანყების მონაწილეთ

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დუშეთის აჯანყების მონაწილეთ, რიცხვით 14 კაცს დაუნიშნა ყოველთვიური პენსია.

### ავიაქიმის კვირეული

პრეზიდიუმმა დაამტკიცა ავიაქიმის კვირეულის ჩატარების გეგმა.

### დახმარება ხანძრისაგან დაზარალებულთ

ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა შემუშავებული იქნეს დადგენილების პროექტი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის სხვადასხვაგვარ გადასახადებისაგან განთავისუფლებისა და შეღავათების მინიჭების შესახებ.

# მდინარეების შესწავლა-გამოკვლევა ა.-კავკასიაში

ამიერ-კავკ. სამშენებლო-ტექნიკურ კომიტეტის ბიუროს უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. სამოილოვის მოხსენება ამიერ-კავკ. მდინარეებზე ჰიდრომეტრიულ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ და მოხსენება ამიერ-კავკ. მდინარეების შესწავლა-გამოკვლევის შესახებ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში.

პირველი მოხსენების გამო კომიტეტმა მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის პროგრამა არსებითად უნდა იყოს ქვეყნის წყალის რესურსების გამოყენების პროგრამა, რადგან მთელი ელექტრო-მშენებლობა, რომელიც ამჟამად სწარმოებს ამიერ-კავკ, ან განზრახულია მომავალში იქნეს დაწყებული, ეყრდნობა მხოლოდ ჰიდრავლიურ ენერგიას.

მეორე მოხსენების გამო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკ. იმ მთავარ მდინარეების სიგრძე, რომლებიც შესწავლილი უნდა იქნეს, უნდა შეადგენდეს 4.000 კილომეტრს. მდინარეების შესასწავლად საჭირო იქნება 1.300.000 მანეთი.

კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს, რათა ამ უკანასკნელმა დაავალოს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ამიერ-კავკ. მდინარეების შესწავლის სამუშაოების კონკრეტული პროგრამის შემუშავება. აუცილებლად არის ცნობილი აგრეთვე, რომ წყალთა მეურნეობის ასიგნობებში 1928—29 საოპერაციო წლიდან გათვალისწინებული იქნეს ხარჯები მდინარეების შესასწავლად. გაფართოებულმა სხდომამ აღნიშნა, აგრეთვე, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გამოკვლეული უნდა იქნეს ამიერ-კავკ. შემდეგი მდინარეები.

საქართველოში მტკვარი, დასავლეთ არპაჩაი, ახალქალაქის ტბები, მდ. ფოსხოვჩაი; არაგვი; ლიახვი, ხრამი, ალაზანი, იორა, რიონი, ცხენის წყალი, აჭარის წყალი, ხოფი, ინგური, კოდორი, ბზიბი და მსიფტა.

სომხეთში: არაქსი, დასავლეთ არპაჩაი, აბაჯანი; ზანგა; აღმოსავლეთ არპაჩაი, ნახიჩევანჩაი, ოხჩიჩაი, ბაზარჩაი, აკერა და გოგჩის ტბა.

აზერბეიჯანში: მტკვარი, ძეგამი, შამხორა, ტერტერი, ხაჩენი, ტურიანჩაი, ქარდიმანჩაი; ახსუ, ირსაგატი და არაქსი.

# სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

### შეღავათების მიღებისა და უკანონოთ დაბეგვრის გასაჩივრების წესი. — საჩივრების განხილვის ვადა. — გადასახადის შეტანის ვადები

**ფინანსთა სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სამმართველოს ცნობით 1928-29 წლის სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო კამპანია უკვე დაწყებულია მთელ საქართველოში.**

**ამჟამად სწარმოებს დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა და საგადასახადო ფურცლების ჩაბარება გადამხდელებისათვის.**

**სწარმოებს აგრეთვე იმ ღარიბ გლეხების და სტიქიურ უბედურებით დაზარალებულთა სიების შედგენა, რომლებსაც, საგადასახადო კანონის თანახმად, უნდა მიეცეს შეღავათები.**

**გადასახადის გაწერასთან დაკავშირებულ საჩივრების განსახილველად გადასახადის გაწერის დროს დაშვებულ დეფექტების გამო აღძრული საქმეების გასარჩევად ადგილებზე დაარსებულია თემის და რაიონის საგადასახადო კომისიები. ამ კომისიების გადაწყვეტილებათა გასაუქმებლად ან შესაცვლელად მაზრებში დაარსებულია სამაზრო კომისიები.**

**საგადასახადო საჩივრების შესახებ გამოცემულ დადგენილების თანახმად კერძო და კოლექტიურ მეურნეობებმა საჩივრები და განცხადებები შეღავათების მინიჭების შესახებ უნდა შეიტანონ თემის ან რაიონის აღმასრულებელ კომიტეტში რომელნიც ვალდებული არიან განცხადება დაუყოვნებლივ გადასცენ განსახილველად თემის ან რაიონის საგადასახადო კომისიებს.**

**თემის და რაიონის საგადასახადო კომისიების გადაწყვეტილებები აღძრულ საჩივრებზე შეიძლება გასაჩივრებული იქნეს მაღლა მდგომ (სამაზრო) საგადასახადო კომისიაში, რომელთა დადგენილება ითვლება საბოლოოდ.**

**საგადასახადო კომისიები ვალდებული არიან შემოტანილი შუამდგომლობანი და საჩივრები განიხილონ ერთი თვის განმავლობაში დღიდან მათი მიღებისა.**

**საჩივრების აღძვრა შეიძლება: შემოსავლის წყაროების არასწორად აღრიცხვის, შემოსავლის თანხების და გადასახადის განაკვეთის არასწორად გამოანგარიშების და გაუგებრობით შეღავათების მიუცემლობის შემთხვევებში.**

**როგორც საჩივრები, ისე შუამდგომლობანი შეღავათების მინიჭების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა საგადასახადო ფურცლის ჩაბარების დღიდან.**

**1927-28 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 15 პროცენტი უნდა აიკრიფოს 1 ოქტომბრისთვის, 35 პროცენტი—1 დეკემბრისათვის, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი 1929 წლის 1 თებერვლისათვის.**

# გლეხკორთა მოძრაობა სოფლად

საბჭოთა პრესის მჭიდროთ დაკავშირებამ მკითხველთა ძირითად მასასთან ხელი შეუწყო კორესპონდენტთა მოძრაობის აღმოცენებას, მისი ყოველმხრივად განვითარების შეუჩერებელ ზრდას.

სოფლად გლეხ-კორესპონდენტის სახით წარმოიშვა ძლიერი კულტურული საზოგადოებრივი ძალა, ახალი ტიპის მუშაკი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის—სოფლის კულტურულ სამეურნეო ჩამორჩენილობის, ცრუმორწმუნეობის, ბოროტმოქმედებების და მთლიანად ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის გზაზე შემჩნეულ ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ.

გლეხკორი—სოფლის მოწინავე საზოგადოებრივი მუშაკია, სოფლის ცხოვრების და მშრომელთა სულისკვეთების საუკეთესო ამსახველი, პარტიის დამხმარე ძალა და საბჭოთა ხელისუფლების დამცველია. როგორც ვიცით კორესპონდენტთა მოძრაობა ჩვენში სტიქიურად წარმოიშვა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში მას მეტად მასიური ხასიათი მიეცა. სამწუხაროდ დღესაც არა აქვს საკმაო პრაქტიკა და გამოცდილება, არა აქვს განვლილი თავისი განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურები, თავისით იკვლევს გზებს, ებრძვის პრაქტიკულ მუშაობაში წამოჭრილ საჭირბოროტო კითხვებს, რომელიც გლეხკორთა საქმიანობაში მრავალზე უმრავლესია გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დიდხანს ეს მოძრაობა „ღვთის“ ანაბარად იყო მიტოვებული, რის შედეგად ადგილებზე შემცდარი ნაბიჯების გადადგმა და ამ მოძრაობის დანიშნულების სწორ გზიდან აცილება მივიღეთ.

დღეს ამ დარგში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. პარტიამ და ჩვენმა ცენტრალურმა რედაქციებმა უდიდესი ყურადღება მიაქციეს გლეხკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეს, რამაც ნაწილობრივ დადებითი შედეგები მოგვცა. მაგრამ არ შეგვიძლიან გვერდი აუხვიოთ იმ მტკივნეულ და მოსაგვარებელ საკითხებს, რომლითაც ხასიათდება მიმდინარე მუშაობა. მტკივნეული საკითხები აუცილებლივ მრავალია, რომელთა გადაჭრა და საფუძვლიანად მოგვარება ჩვენი მუშაობის ძირითად ამოცანად უნდა იქნეს აღიარებული. გლეხკორთა მოძრაობის სახით უხდა შევქმნათ ნებაყოფლობითი ორგანიზაციის სრულიად ახალი ტიპი. ვინც დააკვირდება ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას, მისთვის აშკარაა ეს. აშკარაა ისიც, რომ ეს მოძრაობა დღესაც ნორჩ, ახალგაზრდა ნებაყოფლობითი ორგანიზაციის ტიპს წარმოადგენს, მაგრამ იგი განუვითარებელია და ბევრისათვის გაუგებარიც. გლეხკორობა. გლეხკორთა საქმიანობა და მათი ორგანიზაცია თავისებურია და ნებაყოფლობითი ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. დღეს ამ თავისებურებას უმრავლესობა აღიარებს კორესპონდენტთა მოძრაობის, როგორც აუცილებელ და სასარგებლო თვისებას. მაგრამ მაინც ამ მხრივ ყველაფერი არ არის რიგზე. გლეხკორის არჩევის ან დანიშვნის შემთხვევებს დღესაც მასიური ხასიათი აქვს, ამ საკითხებზე რედაქციებს აუარებელი ოქმები და დადგენილებები მოეპოვებათ. ერთხელ და სამუდამოთ ასეთ უარყოფით მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს, რადგან მას ზიანის მაგიერ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. არსებული დებულება-განმარტებანი გლეხკორთა მოძრაობის ორგანიზაციული ფორმების შესახებაც ვერაა სწორად გაგებული. ზოგიერთი მუშაკები მოითხოვენ მაზრებში ამ მოძრაობის ხელმძღვანელ ბიუროების შექმნას, მასში ისეთი ფორმების შემოღებას, როგორიცაა პროფ-ორგანიზაციებში და სხვა. ვინც ასე მსჯელობს, ის ვერ ხედავს იმ ძირითად განსხვავებებს, რომელიც გლეხკორთა და სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების შორის არსებობს. პროფკავშირებს და მის მსგავს ნებაყოფლობით ორგანიზაციებში შემოღებულია ერთგვარი იძულებითი დისციპლინა. გლეხკორთა ორგანიზაცია კი ზედმიწევნით საკონსულტაციო ტიპის ორგანიზაციის სახეს უნდა ატარებდეს. მან უნდა უზრუნველჰყოს აზრთა გაცვლა-გამოცვლის გლეხკორთა მასიურ მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვის და გლეხკორთა ინიციატივის, თვითმოქმედების აწევის სრული შესაძლებლობა.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა ერთ პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ესაა გლეხკორად გახდომის საკითხი. საბჭოთა პრესა, რომლის სულისჩამდგმელად მისი კორესპონდენტები ითვლებიან, მშრომელთა მისწრაფების ამსახველი და მათი ინტერესების დამცველია. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ის, რომ მასში მონაწილეობის და მასასადამე თანამშრომლობის შესაძლებლობა მხოლოდ მშრომელებს აქვთ. გლეხკორად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა მოქალაქე, რომელიც სწერს წერილებს სოფლის ცხოვრების უარყოფითი მხარეების თუ მიღწევების შესახებ. აქ უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო მოვლენა—ზემოთ აღვნიშნეთ და ვიმეორებთ გლეხკორი ყოველგვარი დადებითი მუშაობის მაგალითის მიმცემია სოფლად. სოფლის მოსახლეობა მას უყურებს როგორც კრიტიკოსს, როგორც სხვისი მუშაობის შემფასებელს. ამიტომ უპირველესად მისგან მოითხოვს სოფელი იმას, რასაც გლეხკორი სხვას უთითებს და ურჩევს. აქედან ცხადია თუ რამდენად საჭიროა გლეხკორი პატიოსანი და სუფთა იყოს ისეთ ცოდვებისაგან, რომელთაც შეუძლიათ მისი სახელის გატეხა, ავტორიტეტის დაცემა. სამწუხაროდ გამოგზავნილ წერილებზე უპასუხისმგებლობა, ლოთობა და სხვა მის მსგავსი ზოგიერთი გლეხკორების მოარულ სენს წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის ღირსია ერთი უკვე ყველასათვის ცნობილი, მაგრამ გლეხკორთა მუშაობის დამახასიათებელი უარყოფითი მოვლენა. ლაპარაკია გლეხკორის სახელის უღირსად გამოყენებაზე, როცა „ძმა ბიჭობით“, ნათლიმამობით და ზოგჯერ კარიერისტული მოსაზრებითაც გლეხკორი სწერს ვისიმე შექების წერილს. ქებით „ზეცაში“ აჰყავთ ისეთი პირი, რომელიც სინამდვილეში წინააღმდეგის ღირსია. კიდევ მეტი. ხშირია შემთხვევები, როდესაც გლეხკორი თავის თავზე სწერს შექების წერილს. ამის მაგალითები საკმაოა. ეს ასეთი და მრავალი ამის მსგავსი უარყოფითი მოვლენებით ხასიათდება გლეხკორთა შორის წარმოებული მიმდინარე მუშაობა.

ამ ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლა, მათი აღმოფხვრა ჩვენი მორიგი და გადაუდებელი ამოცანაა. როგორ და რა გზით? სოფლად გლეხკორთა წრეების მოწყობით, მათში პოლიტიკურ, კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებით. საქართველოში საამისო პირობები უკვე არსებობს, საჭიროა მომავალში ამ მიმართულებით მუშაობას უფრო ფართედ გაშლა. გარდა, წმინდა საორგანიზაციო საკითხებისა, გლეხკორთა წრეს აქვს მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები. ესაა თუნდაც თვით გლეხკორების მიზან-დანიშნულების და ამოცანების გარკვევა. წერილის შედგენის ტეხნიკის შესწავლა, კედლის გაზეთის გამოცემა, მიმდინარე კამპანიებში აქტიური მონაწილეობის მიღება, გაზეთის კოლექტიური კითხვა და ცალკე მიმდინარე საჭირბოროტო საკითხებზე ფართე აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შინა-საორგანიზაციო საკითხებზე,—რომელიც წრეს ექნება გადასაწყვეტი, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთია: გლეხკორის დევნის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება, უღირს კორესპონდენტებთან ბრძოლა, სოფლად ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, მათი ადგილობრივად დროზე მიწოდება და სხვა.

რაც შეეხება ახკორთა წრეებს, ესენი ცალკე არ უნდა იქნეს მოწყობილი, რადგან ეს გარემოება ძალების დაქსაქსვას იწვევს. სასურველია ახკორებიც ჩაებნენ გლეხკორთა წრის ყოველდღიურ საქმიანობაში.

დაბოლოს რამოდენიმე სიტყვა სოფლის კედლის გაზეთების შესახებ. კედლის გაზეთს სოფლის პირობებში უდიდესი საზოგადოებრივ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. მას ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

მაგრამ საკმაო ყურადღება ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ კედლის გაზეთებს დღესაც არ ექცევა. ამიტომაა, რომ მათი ნაყოფიერი მუშაობა უმთავრესად შემთხვევებზეა დამოკიდებული. კედლის გაზეთის ახლად გამოცემის დროს საჭიროა ადგილობრივ პირობების საფუძვლიანად შესწავლა და გამოცემა იქ, სადაც ეს საჭირო და აუცილებელია, სადაც ძალებიც საკმაოთ მოიპოვება. მათ მუშაობაში მეტი სიცოცხლე და შინაარსი უნდა შევიტანოთ. სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხკორთა შორის მუშაობის და კედლის გაზეთის გამოცემის საკითხებს. გლეხ კორესპონდენტთა წრეების მოწყობით და მათზე სწორ გეგმაშეწონილ პარტიულ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით წარმატებით შევსძლებთ ჩამოთვლილ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას.

**გ. ძ—ლი.**

# ა.-კ. ცაკში

### სასკოლო შენობების აგება

ა.-კ. ცენტრალურმა აღმ. კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ დადგენილება, რომლის ძალითაც სასკოლო შენობების აგება უნდა დაევალოს იმ სამრეწველო დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ საბინაო მშენებლობას.

### ლენინის სახელობის ფონდის განაწილება

ა.-კ. ცენტრალურ აღმ. კომიტეტთან არსებულ ლენინის სახელობის ფონდის კომისიის განკარგულებაში მყოფი თანხა—254.282 მან ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა ასე გაანაწილა: 50.696 მანეთი დატოვებულია 20 პროცენტიან ანარიცხის ანგარიშში, 50.586 მანეთი დატოვებულია სარეზერვო ფონდში, ხოლო დანარჩენი 153.000 მანეთი განაწილებულია შემდეგნაირათ: აზერბეიჯანის ცაკთან არსებულ საბავშვო კომისიას—40.000 მანეთი (აქედან აზერბეიჯანის განათლების სახ. კომისარიატს 25.000 მანეთი); სომხეთის ცაკთან არსებულ საბავშვო კომისიას—50.000 მანეთი (აქედან სომხეთის განათლების სახ. კომისარიატს—30.000 მანეთი); საქართველოს ცაკთან არსებულ საბავშვო კომისიას—60.000 მანეთი (აქედან საქართველოს განათლების სახ. კომისარიატს —30.000 მანეთი).

### ა.-კ. ცაკის წევრების და კანდიდატების მიმაგრება ცალკე მაზრებზე

ა.-კ. ცენტრალურ აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა ა.-კ. ცაკის წევრები და კანდიდატები მიმაგრებული იქნან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცალკე მაზრებზე.

### შეღავათები დიდ საცხოვრებელ სახლების მშენებლებს

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა იმ პირთ, რომლებიც აშენებენ დიდ საცხოვრებელ სახლებს, მიენიჭოს საგადასახადო შეღავათები.

ამ დადგენილების თანახმად კერძო პირები, რომლებიც აშენებენ დიდ საცხოვრებელ სახლებს, სახლის დამთავრების ან ნახევრათ დამთავრების შემდეგ სამი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან შენობების ადგილობრივ გადასახადისაგან. ამავე მიზეზით თავისუფლდებიან ისინი იმ მიწების სარენტო გადასახადისაგან, რომლებიც მიცემული აქვთ სახლების ასაშენებლათ.

დიდი საცხოვრებელი სახლების მშენებელი პირნი თავისუფლდებიან აგრეთვე თავის ბინების საბინაო გადასახადის იმ ნაწილისაგან, რომელიც ხდებათ მათ მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის.

სახლების სიდიდე, რომლის აშენებისთვისაც მშენებლებს ენიჭებათ შეღავათები, განსაზღვრული იქნება ცალკე კანონით.

# დისციპლინარული სასამართლოების გაუქმება

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გასაძლიერებლათ, სამეურნეო და ადმინისტრატიულ აპარატის მუშაკთა უყაირათობასთან და მათის მხრივ მოვალეობისადმი არა კეთილსინდისიერ და ჩინოვნიკურ მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: გაუქმებული იქნას დისციპლინარული სასამართლოები.

თანამდებობრივ დაუდევრობა-უყაირათობის და უკანონო მოქმედების შემთხვევებიდან გამოყოფილ უნდა იქნეს უფრო მძიმე ხასიათის დანაშაულებანი და დამნაშავენი ასეთ საქმეების გამო პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. საქმეებში მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა და დაუდევრობის შესახებ უნდა გაირჩეს ჩვეულებრივ სასამართლოს წესით.

ა.-კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმ. კომიტეტებს ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი ამ საკითხზე.

# აბრეშუმის პარკის დამზადება

### ქუთაისის მაზრაში

მოსამზადებელი მუშაობა აბრეშუმის პარკის დასამზადებლად გაცხოველებით მიმდინარეობს. 20 ივნისიდან მაზრაში გაიხსნა 16 დამამზადებელი პუნქტი. მიუხედავათ ხანგრძლივი წვიმიანი ამინდისა, აბრეშუმის პარკის მოსავალი საშუალოზე უკეთესია მოსალოდნელი.

პარკის საშრობი მექანიკური სახელოსნოები ახალ-სენაკში, მარტვილში და აბაშაში გაშვებული იქნება აბაშის ჰიდრო-სადგურის ენერგიაზე, ხონში და ქუთაისში—ადგილობრივ სადგურების ენერგიაზე, დანარჩენი სახელოსნოები კი წინანდებურად ნავთის მოტორებით ამუშავებენ.

აბრეშუმის საშრობ სახელოსნოებში ყველა კვალიფიციურმა მუშაკებმა გაიარეს მოკლევადიანი კურსები.

### კახეთში

თელავის მაზრაში გლეხები უკვე აბარებენ აბრეშუმის პარკს მიმღებ პუნქტებს. პარკის მიღება სწარმოებს საავანსო ქვითარებით, იმის გამო, რომ „საქართველოს აბრეშუმი“-ს წარმომადგენლებს აქამდი არა აქვთ ცნობები დასამზადებელ ფასების შესახებ.

გამოირკვა, რომ კახეთში წელს გლეხობამ მრავლად გამოიყენა შინაური თესლი.

# ბორჯომის შუშეულობის ქარხანა

ბორჯომის შუშეულობის ქარხნის გამგემ ამხ. ეგანოვმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ამჟამად ქარხანამ გამომუშავებაში მიაღწია ომის წინა დროის დონეს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ბაზრის მოთხოვნილებას ქარხანა მხოლოდ 62,5 პროცენტით აკმაყოფილებს. (ქარხანა ამზადებს 7.500.000 ბოთლს წელიწადში, მოთხოვნილება კი უდრის 12.000.000).

ამ გარემოებასთან დაკავშირებით ცენტრის წინაშე აღიძრა და უკვე გადაჭრილია საკითხი არსებულ ქარხანასთან შუშის სადნობი მესამე ღუმელის აგების შესახებ. უახლოეს ორ კვირაში დამთავრდება ტეხნიკური გეგმების და ხარჯთ-აღრიცხვის დამუშავება, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ დაიწყება თვით მშენებლობა. მთელი საამშენებლო მასალები და ტეხნიკური პერსონალი მზადაა. ღუმელის აგების დამთავრება ნავარაუდევია შემოდგომისათვის.

ამჟამად ქარხანაში მუშაობს 419 კაცი და მუშაობა სამ წყებად სწარმოებს. მესამე ღუმელის ამუშავების შემდეგ მუშების რიცხვი აყვანილი იქნება 700 კაცამდე.

სანარდო მუშაობაზე გადასვლის გამო შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ გაიზარდა და ადგილი აქვს დაწუნებული პროდუქციის რაოდენობის შემცირებას. გასულ წელთან შედარებით მუშების ხელფასის ფონდი გადიდებულია 70 პროცენტით. გაუმჯობესებულია აგრეთვე მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობები.

ადმინისტრაცია დიდ მუშაობას ატარებს წარმოების რაციონალიზაციისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ჩატარებულია მთელი რიგი წვრილმანი რაციონალიზატორული ღონისძიებანი, რომლებიც ამარტივებს მუშაობას: დამდნარ შუშაზე ზეთის ხელით დასხმის ნაცვლად შემოღებულია მექანიკური საზეთავი, გამარტივებულია თუჯის ფორმები და სხვ. რაციონალიზატორული ღონისძიებები ცხოვრებაში ტარდება როგორც ადმინისტრაციის ინიციატივით, ისე ცალკე მუშებისა და საწარმოო თათბირების წინადადებების მიხედვით.

ქარხანას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს დამხმარე საწარმოთა მოწყობის დარგში.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს ამ მხრივ წარმოადგენს ქარხანასთან ცეცხლის გამძლე აგურის დამზადების მოწყობა. ასეთი აგური ძლიერ ბევრი იხარჯება ქარხანაში და ის დღემდე მოჰქონდათ რუსეთიდან. აგურის ადგილობრივ დამზადების წყალობით მისი თვითღირებულება სანახევროდ არის შემცირებული; 3 მანეთის ნაცვლად ფუთი აგური ჯდება 1 მან. 50 კაპ. და ამასთანავე ღირსებით ის რამოდენიმეჯერ სჯობს შემოზიდულ აგურს.

მთავრობის დირექტივა ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ განხორციელებულია.

დასასრულ ამხ. ეგანოვმა განაცხადა, რომ ბორჯომის შუშეულობის ქარხანაში ამ დღეებში ამუშავებული იქნება შუშის სადნობი ღუმელების მოძრავი სანათურები, რომლებიც მის მიერ არის გამოგონილი. ამ გამოგონების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის იძლევა შეკეთების საშუალებას წარმოების შეუჩერებლად, ასეთი შეკეთება კი ჩვეულებრივად 3-4 ჯერ არის საჭირო წელიწადში. ამ შეჩერებას დიდი მატერიალური ზარალი მოაქვს შუშეულობის წარმოებისათვის.

სპეციალურმა საექსპერტო კომისიამ ეს გამოგონება სავსებით ეკონომიურად და მიზანშეწონილად სცნო. ამხ. ეგანოვმა მიიღო პატენტი ამ გამოგონებაზე. (ადს).

# დამატებითი შვებულებების გაცემის წესი

რესპუბლიკის სოცდაზღვევის კომიტეტმა შეიმუშავა დამატებითი შვებულებების გაცემის ახალი წესი.

გასულ წლებში საექიმო-საკონტროლო კომისიები ხშირად დაზღვეულებს აძლევდნენ დამატებით შვებულებებს იმ შემთხვევაშიაც, როცა ეს არ იყო გამოწვეული აუცილებლობით.

უფრო ხშირად დაზღვეულებს დამატებითი შვებულებები ეძლეოდათ არა ავათმყოფობის გამო, არამედ ზედმეტათ დასვენების მიზნით. ასეთი გარემოება კი აუარესებდა დამზღვევ სალაროების ფინანსიურ მდგომარეობას და ამავე დროს უარყოფით გავლენასაც ახდენდა წარმოების ნორმალურ მუშაობაზე.

ყველა ამ დეფექტების გამოსასწორებლად სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საექიმო-საკონტროლო კომისიებს და საექიმო კონსულტაციებს არ მისცენ დამატებითი შვებულებები ისეთ დაზღვეულებს, რომლებიც ავათ არ არიან და დამატებით შვებულებას საჭიროებენ მხოლოდ დასასვენებლად (რადგან დასასვენებლად მუშებს ეძლევათ კანონით დაწესებული შვებულებები წარმოებებიდან).

ასეთი ღონისძიებით, გარდა იმისა, რომ დაზოგილი იქნება სალაროების თანხები, შეიქმნება მეტი შესაძლებლობა შვებულებების მისაცემად იმ დაზღვეულებისათვის, რომლებიც ავადმყოფობის გამო აუცილებლად საჭიროებენ შვებულების მიღებას დამზღვევ სალაროდან.

# სახელმწიფო დაზღვევა

გლეხის მეურნეობა ხშირად ნადგურდება სხვადასხვა გაუთვალისწინებელი უბედურობისაგან. მათ შორის უფრო გავრცელებულია საქონლის ჭირი, სეტყვა და ხანძარი. თუ რა ზარალი მოსდის გლეხობას ამ უბედურობისაგან, ამას გვიჩვენებს თუ გინდ ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს, პირველ მაისამდე სახდაზღვევის ზარალის ასანაზღაურებლად საქართველოში გაცემულის სულ 1.101.838 მ. ეს თანხა მაზრების და ავტონომიურ ერთეულების მიერ ასეა განაწილებული: ახალ ქალაქის მაზრას მიეცა—58.321 მ., ახალციხის—83.355 მ., ბორჩალოს—92.833 მ., გორის—200.702 მ., დუშეთის—418.76 მ., სიღნაღის—127.078 მ., თელავის—110.170 მ., თბილისის 125.191 მ., ოზურგეთის—37.565 მან., ზუგდიდის—51.344 მ., ახალ-სენაკის—40.729 მ., ქუთაისის—27.080 მ., ზესტაფონის—16.648 მ., ლეჩხუმის—10.205 მ., სამხრეთ-ოსეთს—57.651 მ., აჭარისტანს—11;988 მ., და აბხაზეთს—9.091 მან.

უბედური შემთხვევები ხშირი მოვლენაა სოფლად. საკმარისია გავითვალისწინოთ მოუსავლიანი წელიწადი, ხანგრძლივი ზამთარი, საქონლის საკვების სიმცირე და სხ., რომ დავრწმუნდეთ, რომ ყოველთვის მოსალოდნელია გლეხობას ზარალი მოუვიდეს. ამას სხვათა შორის ამტკიცებს ის აუარებელი აქტები დაცემულ ცხოველების, რაც თავს იყრის საქართველოს სახდაზღვევის სამმართველოში.

სტიქიურ უბედურებათა ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღება, რა თქმა უნდა აუცილებელია. მაგრამ ეს ზომები ამცირებენ რა უბედურ შემთხვევათა რიცხვს მთლად ვერ უზრუნველყოფენ გლეხობას მოსალოდნელ უბედურებათაგან. სტიქიურ უბედურებათა მძიმე შედეგების ასაშორებლად საუკეთესო საშუალებაა დაზღვევა.

დაზღვევა სავალდებულო სახეს ატარებს. იმით, რომ სახელმწიფომ დაზღვევის შემოღებას რამოდენიმეთ იძულებითი ხასიათი მისცა, მტკიცდება დაზღვევის ინსტიტუტის უაღრესი მნიშვნელობა: საბჭოთა სახდაზღვევას საქართველოს სინამდვილეში მხოლოთ ორიოდე წლის ისტორია აქვს. თუ თვალს მოვავლებთ ამ გასულ პერიოდს დავინახავთ, რომ საქართველოშიაც, ისე როგორც კავშირის სხვა ნაწილებში, სავალდებულო დაზღვევა ნელ-ნელა და ერთი დარგიდან მეორეზე ვრცელდებოდა. პრინციპი ერთი იყო: მიშველება პირველ რიგში იქ, სადაც მოსახლეობა მეტად ზარალდება. რუსეთის სინამდვილეში სოფლად ცეცხლს დიდი ზარალი მოაქვს, აფხაზეთში კი, მაგალითად, ცეცხლსაც და სეტყვასაც თამბაქოს მეურნეობის დარგში; ასევე ხანძარს ქალაქებში, სეტყვას ახალქალაქის მაზრაში და სხ. ამის გამო საქართველოში ცეცხლისაგან დაზღვევა სავალდებულოდ იქნა ცნობილი ჯერ ქალაქად (სოფლად აფხაზეთში), შემდეგ სეტყვისაგან ახალქალაქის მაზრაში და 1926—27 წ. მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც სეტყვა და ჭირი ფრიად დიდ ზარალს აყენებს გლეხობის მეურნეობას.

მიმდინარე წელში სასოფლო დაზღვევა საერთოდ ვრცელდება დასავლეთ საქართველოზე და აჭარისტანის და აფხაზეთის რესპუბლიკებზე. საბჭოთა სახელმწიფოს მუშაობის ეს დარგი—სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა, კერძოთ სოფლათ ნელ-ნელა ვითარდებოდა და მას ყოველთვის წინ უსწრებდა სპეციალურ დაწესებულების და მცოდნე პირთა გამოკვლევის შედეგების ფრთხილი ანალიზი, სტატისტიკური დაკვირვებათა შედეგების შესწავლა. ამ წინასწარ მუშაობის მიზანი იყო არა მარტო სავალდებულო დაზღვევის ამა თუ იმ ტერიტორიაზე შემოღების საჭიროების გამოკვლევა, არამედ ამასთან არა ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული იმას, თუ რა სახის დაზღვევა უფრო შეეფერებოდა და შეეფერება მოსახლეობას ამა თუ იმ რესპუბლიკაში და რესპუბლიკის ამა თუ იმ კუთხეში.

ზარალის ასანაზღაურებლად საჭიროა სათანადო ფონდი. უკანასკნელი შესდგება მცხოვრებლების მიერ შეტანილ სასყიდლებისაგან. რომელთაც ეწოდება დაზღვევის პრემია.

დაზარალებულს სრული უფლება აქვს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რადგან თვით მონაწილეობს იმ ფონდის შექმნაში, რომლიდანაც გამომდინარეობს ეს დახმარება.

სავალდებულო დაზღვევის შემოღებას წინ გადაეღობა აუარებელი დაბრკოლებანი. ბევრგან გაწერილი დაზღვევის პრემია ახალი „ბეგარის“ სახელწოდებით მონათლეს. „არ გვინდა არც თქვენი დაზღვევა და არც თქვენი ფული“-ო, ასე გაიძახოდა „ახალი ბეგრით“ უკმაყოფილო ზოგიერთი პირები.

განვლო დრომ, სტიქიურმა უბედურებამ თავი იჩინა. იხოცება დიდძალი საქონელი. გლეხკაცს არც კი სჯეროდა, თუ მას აქვს უფლება სახდაზღვევას მოსთხოვოს დახმარება. ზარალი ნაზღაურდება. დროთა ვითარებაში უკმაყოფილება კმაყოფილებად იქცევა და ამრიგად სახდაზღვევის იდეა მტკიცდება.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა კმაყოფილი იყოს სახდაზღვევის საქმიანობით, ნაწილობრივი უკმაყოფილება შედეგი იყო ერთის მხრივ ზარალის თავის დროზედ აუნაზღაურებლობის (ამას ადგილი ჰქონდა ჩვენს სინამდვილეში), ხოლო მეორეს მხრივ დაზღვევის გადასახადების იძულებითი გადახდევინების. პირველი სათანადო ზომების მიღებით შემცირდა, ხოლო მეორე საკითხზე საჭიროა შევჩერდეთ.

შრომის და თავდაცვის მიერ დამტკიცებულ სავალდებულო დაზღვევის გეგმაში გათვალისწინებულია განსაზღვრული პროცენტი, რომელიც შეიძლება ჩამოწერილ იქნეს ასაკრეფ თანხიდან ღარიბ მოსახლეობის გასანთავისუფლებლად. ღარიბ მოსახლეობის დაზღვევის გადასახადებისაგან განთავისუფლებას მეტად დიდი ყურადღება მიექცა. ამის შესახებ არა ერთი და ორი მოწერილობა გაიგზავნა როგორც სახკომსაბჭოს, ისე სახდაზღვევის მიერ. სახდაზღვევა ცდილობს მთლიანად ამოსწუროს საშეღავათო ფონდი.

ამრიგად—ღარიბ მოსახლეობა (დაზღვევა ძალაში რჩება) დაზღვევის გადასახადების შემოტანისაგან თავისუფლდება. დანარჩენთ კი დაზღვევის პრემია ხდებათ.

სათანადო ახსნა- განმარტებითი კამპანიის წყალობით თანდათანობით იქნება დისციპლინა დაზღვევის პრემიათა დროზე შეტანის მხრივ. მოსახლეობა სულ უფრო იგებს სახდაზღვევის მნიშვნელობას, ამით მტკიცდება დაზღვევის ფონდი და იქმნება მეტი შესაძლებლობა უბედურებათა შემთხვევაში დაზარალებულ გლეხობისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

**ალ. ჭაჭიაშვილი.**

# ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

## საგადასახადო შეღავათები ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობას

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცეს დადგენილება, რომლის ძალითაც ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის ცალკე ჯგუფებს უნდა მიენიჭოს შემდეგი საგადასახადო შეღავათები: 1927-28 წელში დაზარალებულები განთავისუფლებული უნდა იქნან სარენტო და ადგილობრივ გადასახადისაგან (შენობების, ოთხფეხ საქონლის, სატრანსპორტო საშუალებათა, ბალ-ბოსტნების და საბინაო გადასახადი); უნდა ჩამოეწეროს მათ ყოველგვარი საგადასახადო ნარჩენები, რომლებიც მათზე იყო დარიცხული 1926-27 წლამდე; განთავისუფლებული უნდა იქნან ისინი ყოველგვარ ჯარიმისაგან, რომელიც ადმინისტრატიული წესით დარიცხული იყო მათზე. სახელმწიფო სამრეწველო და საგადასახადო შეღავათების შესახებ არსებული დებულების დარღვევისათვის 1928 წლის 1 მაისამდე.

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა განთავისუფლოს ცეცხლისაგან დაზარალებული ქუთაისის მოსახლეობა ყოველგვარ სახელმწიფო პირდაპირ გადასახადების ნარჩენებისაგან, რომელიც მათზე დაირიცხა წინა საგადასახადო პერიოდებში.

თანხები, რომელიც ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე იქნება შეტანილი ზემონაჩვენებ გადასახადების ანგარიშში, აღარ დაუბრუნდება შემომტანთ.

# „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

რკინის გზის მეოთხე სკოლის და რკინის გზის ინტერნატის თანამშრომლებს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვთ 140 მან. 76 კაპ.

—:—

ვ. ლორთქიფანიძის გამოწვევით, შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლილი ჟორდანიას, მარიამ უთალიშვილს, სონია კუკულავას, მარიამ შავიშვილს, ექვთიმე ტრაპაიძეს, კონსტანტინე სილაგაძეს, გრიგოლ ბერიშვილს და ლეონტი გელოვანს.

**კ. მაძაღუა.**

—:—

ცისანა ჩადუნელის და ბიჭიკო ლომოურის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ არჩილ არდიშვილსა და რეზიკო გედევანიშვილს.

**ნოდარ ლომოური.**

—:—

ციალა თალაკვაძის გამოწვევით შემომაქვს 3 მან. ქუთაისში დაზარალებულ ბავშვების სასარგებლოთ.

**თეიმურაზ ლიბრაძე.**

—:—

ვახტანგ ცავას გამოწვევით, შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: სიმონ ქართველიშვილს, სანდრო დადიანს, ბიქტორ ლუღჟიას, შალიკო სანებლიძეს, ვალიკო ანდრიაძეს, სარდიონ გურამანძეს, დესი გაგუას, ლიდა კვარაცხელიას, არიადნა ჯაბუას.

**დინა ბერაია.**

—:—

შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: მელაძეს, ტყაბლაძეს, ფაცურიას, შიოლაშვილს, კოდუას, ბოზოხიძეს, დ. ბაღდათიდან, პ. კვირიკაძეს, ვ. კოხოძეს; ნ. თავხელიძეს; გ. ცქიტიშვილს.

**ბენიამენ კვირიკაძე.**

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ თბ. 1-ლ საცდ. საჩვ. შრომის სკოლის მე-9 ჯგუფს შემოაქვს 7 მან. და 80 კაპ.

**ამხანაგების დავალებით გიორგი ცისკარიშვილი.**

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ალ. ონოფრეშვილს, შ. ალაპიშვილს; აშ. მანუკოვს, ი. ელიეტს; არ. ზავრადაშვილს, მ. ჯანჯალაშვილს, სოლ. კანდელაკს, პ. ალაპიშვილს, ოქ. ჩივაძეს, და შ. კობახიძეს.

**ვახტანგ ჯანჯალაშვილი.**

—:—

ნათელა თოდრიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ქავთარაძეს, კოლიკო ქადეიშვილს, გივი დოლიძეს, დევი დუმბაძეს, გიზო ცინცაძეს, ოთარ კვამალს; ლევუშა კალანდარიშვილს, დარეჯან დიდიას და სუზი კეპაყმაძეს.

**სუზი კალანდარიშვილი.**

—:—

შემომაქვს 2 მან. 40 კაპ. ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შეგროვილი მე-26 შრომის სკოლის მე-7 ჯგ. მოწაფეებს შორის.

**დავალებით ოლღა გოიაშვილი.**

—:—

ნატაშა დარჩიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: გურამი შალუტაშვილს, ციალა ფურცელაძეს, გურამი აბესაძეს, მერი ბაბალაშვილს, ოთარი მენთეშაშვილს, და კაკო ჩხიკვაძეს.

**ცისია მატათაშვილი.**

—:—

ეთერი და ოთარ ღლონტების გამოწვევით შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ: ნათელა ხარებავას, გივი გოგოლაშვილს, მერი მაჩაბელს, ნოზიკო იაშვილს, ვენიკო და გივი შენგელაიებს, ეთერი და ავთანდილ გუნცაძეებს, ძუკუ აბაშიძეს და ვიქტორ ყენიას.

**ლამარა ღლონტი.**

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: თამრიკო ქურხაშვილს, კოტე ხანდოლიშვილს, ალექსი ძანაშვილს, არჩილ ყარალაშვილს, ვალო და ვლადიმერ სიფრაშვილებს, ოლია კახიძეს, ნატა მაკასარაშვილს, მანანა ცაკიაშვილს და სერიკო ბაკაშვილს.

**ლ. დულაშვილი.**

—:—

ოთარ კობრეიძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ და ვიწვევ: ლეო და არჩილ სულაქველიძეებს, ტატო სალუქვაძეს, რევაზ ურუშაძეს, ლეილა დედანიშვილს, სულიკო რამიშვილს, ვაჟა ლეილა და ოთარი ჰიპაშვილებს და თანუშა დარსაველიძეებს.

**ანდრო და დათიკო ლონდაძეები.**

—:—

შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: თენგიზი, მიშიკო და იურიკა ბურდულებს, ზიზილო ენაგელს, ჯომალდი მენადარიშვილს. თინიკო და შალიკო ვაკილევიჩებს, გაიოზ ბუკიას, ლიუბა მუჩიაშვილს, მერაბი მირიანაშვილს.

**გაიოზ ბურდული.**

—:—

ზუგდიდის მაზრის მუშა-მოსამსახურეებს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოაქვთ 346 მან. 70 კაპ. აღნიშნული თანხა შემოვიდა შემდეგი წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისაგან: შავი ზღვის რ-გ. კანტორის მუშა-მოსამსახურეებისაგან—126 მან. 39 კაპ., სააქციო საზოგადოება „საქართ. ჩაის“ ზუგდიდის საცდელ სადგურის თანამშრომლებისაგან — 46 მან. 17 კაპ., წიგნის მაღაზიის გამგესაგან — 3 მან. 33 კაპ. ორულე ერგეტის სახერხ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან 46 მან. 26 კაპ. ფ-ტ. განყოფილების თანამშრომლებისაგან — 36 მან. 63 კაპ., წალენჯიხის სახ. სასამართლოს თანამშრომლებისაგან — 7 მან. 21 კაპ., ანაკლიის სახერხ ქარხნის თანამშრომლებისაგან—13 მან. 86 კაპ. და შუახორგის სახერხ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან — 66 მან. და 85 კაპ.

**ხანძრისაგან დაზარალებულთა ზუგდ. მაზ. დამხმარე კომისიის მდივანი გახარია.**

**სულ დღემდე „კომუნისტის“ კანტორაში შემოვიდა 18.977 მან. 97 კაპ.**

# სასოფლო-მეურნეობის საგანაკვეთო დაზღვევა

1927—28 წელში საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკებიანათ) საგანაკვეთო დაზღვევით დაზღვეულია 50.402.844 მან. სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ნათესები და მსხვილფეხა საქონელი, ამ ჯამიდან მსხვილფეხა და რქოსან საქონელზე მოდის — 35.102.211 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა—ტეხნიკურ მცენარეებზე და ნათესებზე. სახელმწიფო დაზღვევის პრემია დაზღვეულ ობიექტებზე 1927—28 წელში შეადგენს — 1.858.556 მანეთს. ამ თანხიდან ღარიბულ მეურნეობათა შეღავათებისათვის გადადებულია 252.260 მანეთი. ამრიგად დაზღვევის პრემია შეღავათების გამოკლებით შეადგენს 1.606.296 მანეთს.

ამ თანხიდან 15 ივნისისათვის აკრეფილია—1.071.713 მანეთი.

სახ. დაზღვევის მიერ სასოფლო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 1 ივნისამდე გაცემულია—1.563.498 მანეთი.

ამავე დროს ანაზღაურებულია ტეხნიკურ მცენარეულობის და ნათესებისათვის 1926—27 წლის განმავლობაში მიყენებული ზარალი—244.346 მ. რაოდენობით.

სახელმწიფო დაზღვევის შემოსავლიანობა საგანაკვეთო დაზღვევიდან განისაზღვრება —1.606.296 მანეთით. ამრიგად გასავალი მეტია შემოსავალზე 201.548 მანეთით. სახ. დაზღვევის გასავალი მიმდინარე საანგარიშო წელში არ განისაზღვრება ზემოთ ნაჩვენებ თანხით, ვინაიდან სასოფლო კულტურათა დაზარალება მეტ წილად ხდება მაისიდან ივლისის დამლევამდე. წელს ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ განსაკუთრებული ზარალი ნახა საქონლის გაწყვეტით, რაც გამოწვეული იყო უჩვეულო ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრით და საკვების უქონლობით.

# სტატისტიკური მუშაობის მოწესრიგება ადგილებზე

სამაზრო აღმასკომების ეხლახან დამთავრებულ თათბირზე გამოირკვა, რომ ადგილობრივ სტატორგანოების მუშაობა ვერა სდგას სათანადო სიმაღლეზე.

ამის გამო საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ სამაზრო სტატგანყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიც წინადადებას აძლევს მათ შეგნებულად შეასრულონ ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნილებანი და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მიაწოდონ მათ საჭირო სტატისტიკური ცნობები, მოაწყონ რაიონული სტატისტიკოსების და მოხალისე კორესპონდენტების ქსელი, მიიღონ ზომები მათ შესარჩევად და მათთვის სათანადო ინსტრუქციის მისაცემად. ადგილობრივ ორგანოებში მოხსენებების წარდგენის საშუალებით სისტემატიურად გააშუქონ სტატგანყოფილების მუშაობა და მიიღონ ზომები დეფექტების და არანორმალობის აღმოსაფხვრელად და სხ.

გარდა ამისა, სტატგანყოფილებებს ევალებათ სისტემატიურად მიაწოდონ სამმართველოს ცნობები სტატისტიკურ სამუშაოთა წარმოების საქმის გასაუმჯობესებლად მიღებული ზომების შესახებ

# ახალ მიწებზე დასახლების საქმის გამოკვლევა

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ახლო ხანში შეუდგება ახალ მიწებზე დასახლების საქმის გამოკვლევას ამიერ-კავკასიაში. გამოკვლევის მიზანია გადასახლების საქმის ეხლანდელი მდგომარეობის, მისი საორგანიზაციო ფორმების და მომავალი პერსპექტივების გამორკვევა. გამორკვევა შეეხება გადასახლების საქმის ყველა არსებით და დამახასიათებელ მომენტებს, როგორიცაა: საკოლონიზაციო მიწების ფონდი, ამ ფონდის გამოყენება გადასახლებულების მიერ, გადასახლებულთათვის დახმარების გაწევის ფორმები და მეთოდები, მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხის გადაწყვეტის წესი და სხვა.

საკითხის სირთულისა და სიახლის გამო გამოკვლევა გაგრძელდება არა ნაკლებ ორი თვისა.

# სამხრეთ-ოსეთში

### გამოფენა

სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი აწყობს მესაქონლეობის გამოფენას. 8 ივლისს გამოფენა გაიხსნება ცონაში—კუდარის, ცონის და ქემულთის რაიონებისათვის. 15 ივლისს გაიხსნება მეორე გამოფენა სოფ. როკში; ეს გამოფენა იხსნება მთიან რაიონებისთვის. ექსპონატებათ გამოფენილი იქნება ძროხები და რძის მეურნეობის პროდუქტები, ჯილდოთ დაწესებულია 20—40 მანეთი.

### გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა

მოხდა სამხრეთ-ოსეთის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის პირველი გამოშვება. კურსდამთავრებულები მთელი შემადგენლობით ექსკურსიაზე გაემგზავრენ თბილისში. ექსკურსანტები დაათვალიერებენ ქვემო-ავჭალის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას, ზაჰესს და თბილისის ბოტანიკურ ბაღს.

### ტუფის დამუშავება

სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭომ დაამთავრა მოლაპარაკება მუშა-ხელოსნების არტელთან, რომელიც შეუდგება ვანატის ტუფის დამუშავებას. მუშაობა დაიწყება ამ დღეებში.

### ახალშენი

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ანდორეთის რაიონის საფონდო მიწებზე სოფ. წინაგარში აწყობს ახალშენს, სადაც გადასახლებული იქნება 64 კომლი სოფ. მაუგრისიდან, სნეკიდან, უგელტეხიდან, ანდორეთიდან, ქლივანიდან და გობოსთიდან, რომელიც მეწყერმა წაიღო.

# აფხაზეთის გლეხკომებში

სრ. საქართველოს ცენტრალურ გლეხკომში მიღებული ცნობით, აფხაზეთის რესპუბლიკის გლეხკომების ყრილობამ გლეხკომების მუშაობა-საქმიანობაზე და ამოცანებზე ამხ. ფარნა გეგელიას მოხსენების მოსმენის შემდეგ სხვა დადგენილებებთან ერთად მიიღო შემდეგი დადგენილება: ძირითად გლეხკომებს დაევალოს სოფლად ხელი შეუწყოს გლეხობას თანდათანობით გადავიდეს კერძო მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე, ხელი შეუწყოს ღარიბი გლეხების კოოპერატივებში ჩაბმის საქმეს, ფხიზელი მეთვალყურეობა გაუწიონ გლეხკომების ქონების მოვლა-პატრონობას და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ყველა იმ პირებს, რომლებიც გლეხკომებში მუშაობის დროს ბოროტმოქმედებას ჩაიდენენ და გაფლანგავენ სახალხო ქონებას; მიიღონ ზომები, რომ გლეხკომებში არ შეიპარონ კულაკები და მევახშეები.

# კარაქის დამზადება

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამოანგარიშებით, საქართველოს მთავარი ქალაქების მოსახლეობის მოთხოვნილება კარაქზე წლიურად განისაზღვრება: თბილისში—40.500 ფუთით, ქუთაისში —2.061 ფუთით, ბათომში—5.670 ფუთით, სოხუმში—5.400 ფუთით, ფოთში—589 ფუთით, ჭიათურაში—199 ფუთით, ბორჯომში—345 ფუთით და ხაშურში—342 ფუთით; ყველა ქალაქებში—55.106 ფუთით), თვითეულ სულზე აღებულია წლიურად თბილისში 5,4 გირვანქა, ქუთაისში—1,8, ჭიათურაში—1,8; ბათომში—5,4, სოხუმში—10,8, ფოთში—1,8, ბორჯომში—2,6 და ხაშურში—1,8 გირ.).

გეგმის მიხედვით ადგილობრივ დამზადებული იქნება დაახლოვებით 6.700—7.000 ფუთი კარაქი. დანარჩენი რაოდენობა შემოზიდული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკებიდან. მიმდინარე საოპერაციო წელში შემოზიდული იქნება სულ 25.730 ფუთი კარაქი.

მთელი დამზადებული რაოდენობიდან წელს კარაქი გადაეცემა გასასაღებლად მუშკოოპს—23.893 ფუთი, „ზაკტპო“-ს—5.564 ფუთი და „ბოეც“-ს—3.273 ფუთი.

თბილისის მომარაგება კარაქით სწარმოებს უმთავრესად ადგილობრივი დამზადების ხარჯზე.

# ქრონიკა

### ამხ. ლირევის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა უკრაინის სავაჭრო მეზოსვლის საზოგადოების („[illegible]“) თავმჯდომარე ამხ. ნ. ლირევი, რომელიც გაეცნობა მოსკოვსა და ამიერ-კავკასიის მსხვილ ქალაქებს შორის საჰაერო რეისების შეერთების ახალ ვარიანტებს.

### ამერიკელი ინჟინრების ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკულ ფირმის „ჰიურისაიროს-ირი“-ს და „სულივანის“ ფირმის ინჟინრები: ი. მაზრანსკი და მ. დიოლლი. მათი ჩამოსვლის მიზანია ადგილობრივ აღმშენებლობის გაცნობა და ზოგიერთ მანქანებზე შეკვეთების მიღება.

აღნიშნული ფირმები მუშაობენ საზ-ბა „ამტორგთან“ შეთანხმებით და ამზადებენ საბჭოთა კავშირის სამეურნეობებისათვის ექსკავატორებს, მიწის სათხრელ მანქანებს და ქვანახშირის მრეწველობისათვის საჭირო მანქანებს.

### შეღავათები სამხედრო მოსამსახურეებს

ა. კ. ცაკის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენათ სრულდება ამიერ-კავკასიაში კოდექსი, რომლითაც სამხედრო მოსამსახურეებს მინიჭებული აქვთ შეღავათები და უპირატესობანი.

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმ. კომიტეტებს, რათა ადგილობრივ ენებზე გამოსცენ სამხედრო პირთა შეღავათების კანონების განმარტებათა სისტემატიური კრებული და ეს კრებული დაუგზავნონ ყველა დაწესებულებებს.

სამხედრო მოსამსახურეთა შეღავათების კოდექსის შესრულებისთვის ცოცხალი კონტროლის გაწევა დავალებული აქვს რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმ. კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებს. თანამდებობის პირნი, რომლებიც შენიშნული იქნებიან აღნიშნულ კოდექსის დარღვევაში, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

### გოგირდის წყარო აფხაზეთში

კურორტ ახალ ათონში თხრილის ამოღების დროს მუშებმა აღმოაჩინეს ცივი გოგირდის წყარო, წყაროს მახლობლად დიდძალი სამკურნალო ტალახია.

სოხუმის ლაბორატორიის მიერ მოხდენილ ქიმიურ ანალიზის თანახმად, წყაროს წყალი თავისი შემადგენლობით წააგავს მაცესტის წყლებს;—ახალი ათონის გოგირდის წყაროს წყალს ისეთივე რადიაქტიური ძალა აქვს, როგორც მაცესტის წყლებს.

ახალი ათონის კურორტების სამმართველომ აფხაზეთის სახკომსაბჭოს მიმართა თხოვნით —გადასდოს თანხები საკაპიტალო სამუშაოებისათვის და წყაროს მთავარი ძარღვის ადგილმდებარეობის გამოსარკვევად.

თუ ამ წყაროს დიდი დებეტი აღმოაჩნდა, მაშინ ახალ ათონის კურორტს, როგორც ტალახით, წყლითა და ჰაერით სამკურნალო კურორტს—დიდი მომავალი ექნება (ადს).

### ქალაქების მომარაგება სას. მეურნეობის ნაწარმოებით

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა საჭიროდ სცნო შეიზღუდოს სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობა სამომხმარებლო ცენტრების (თბილისი, ბაქო, განჯა, ქუთაისი, ბათომი, ფოთი, ჭიათურა, სოხუმი; ერევანი, ლენინაკანი) სოფლის ნაწარმოებით მომარაგების საქმეში. ამ საგნებით ქალაქების მომარაგება დაევალა კოოპერაციას.

### წყალდიდობა

უწყვეტელი წვიმების გამო მდინარეები ძალზე ადიდდა. წაღებულია ხიდი დიდ ლიახვზე და [illegible], რომელიც დაბლობ ოსეთს უკავშირებდა მთიან ოსეთს.

### გორის საკონსერვო ქარხნის პროექტი დამტკიცებულია

ახალმშენებათა სამმართველომ საკავშირო ს.მ.უ.ს. სამეცნიერო-სატეხნიკო სამმართველოდან მიიღო ცნობა, რომ საბოლოოთ დამტკიცებულია გორის საკონსერვო ფაბრიკის საამშენებლო პროექტი.

პროექტის თანახმად გორის საკონსერვო ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს — 170.000 ფუთ ხილს. სულ ქარხნის აგება დაჯდება 665.000 მანეთი. ქარხნის ასაგებათ ამჟამად უკვე დამზადებულია და ადგილზე მიზიდულია 100.000 მანეთის საამშენებლო მასალა. ქარხნის მოწყობილობა და მანქანები შეკვეთილია საზღვარ-გარეთ. უკვე მიღებულია 30.000 მანეთის მანქანები.

ქარხნის აგება დაიწყება ამ წლის ივლისში და დამთავრდება ერთ წელიწადში.

### საექიმო რაზმების გამგზავრება

ჯანსახკომმა მაზრებში სამუშაოთ მიავლინა ოთხი საექიმო რაზმი. ერთი რაზმი გაიგზავნა ოზურგეთის მაზრაში. შემდეგ იგივე რაზმი გადავა აჭარისტანში. მეორე რაზმი გაიგზავნა პანკისის ხეობაში (თელავ. მაზრა). შემდეგ ეს რაზმი შემოივლის აგრეთვე სიღნაღის მაზრას. მესამე—საბებიო-გინეკოლოგიური რაზმი გაიგზავნა ახალციხის მაზრის მომთაბარეებში სამუშაოთ და მეოთხე—ვენეროლოგიური რაზმი გაემგზავრა ახალციხის მაზრის სოფლების გამოსაკვლევად.

საექიმო რაზმები მომარაგებულია საჭირო საექიმო ინსტრუმენტებით და მედიკამენტებით.

### ზოოლოგიური გამოფენის გახსნა

26 ივნისიდან გაიხსნება ზოოლოგიური მუზეუმის გამოფენა, რომელიც დახურული იყო დროებით მუზეუმის შენობის დასამთავრებელ სამუშაოების დაწყების გამო.

გამოფენა მოთავსებულია წინანდელ ბინაზე-მუზეუმის ახალი შენობის მარცხენა ფლიგელში.

### თბილისის ალმასკომში

◆ **ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს**, მისი იუბილეს გამო, თბ. ალმასკომმა გადასცა 14.213 მან. ელექტრო-ტეხნიკური მოწყობილობანი.

◆ **მაზრის ელექტროფიკაცია.** საგეგმო კომისიას დაევალა შეადგინოს მაზრის ელექტროფიკაციის გეგმა.

### განათლების კომისარიატში

◆ **თათბირი გასამხედროების შესახებ.** 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე, განათლების კომისარიატი, განათლების მუშაკთა სახლში იწვევს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების წარმომადგენელთა თათბირს გასამხედროების შესახებ.

### სხვადასხვა

◆ **სპირტის დამზადება.** „სოფლის კავშირი“ წელს დაამზადებს 1.900.000 გრადუს სპირტს.

◆ **სესხი.** აფხაზეთის სას.-სამ. ბანკმა თამბაქოს მეურნე გლეხებს სესხად დაურიგა 483.000 მან.

# შემთხვევები

### 5150 მანეთის მოპარვა

გუშინ, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის („სოვტორგფლოტის“) მოლარემ გერასიმე მასლიოკინმა განაცხადა სისხლის სამართლის სამძებრო მილიციაში, რომ მას გუშინ, დილისით რეზინის ტრესტის მაღაზიაში (მდებარე ალმასკომის ქ. № 6) ვიღაც უცნობმა პირმა მოჰპარა პორტფელი, რომელშიაც ჰქონდა 5.150 მანეთი სახაზინო ფული. როგორც გამოირკვა, მასლიოკინი სამსახურის საქმესთან დაკავშირებით შევიდა ხსენებულ მაღაზიაში. მან დაუწყო ლაპარაკი მაღაზიის გამგეს, ხოლო პორტფელი კი დასდო დახლზე. საუბრის დამთავრების შემდეგ მასლიოკინმა მოინდომა პორტფელის აღება, მაგრამ იგი უკვე გაეტაცნათ. გამოძიება გრძელდება.

### გაფლანგვა

ამ დღეებში მუშკოოპის (№ 85) მაღაზიაში ადგილი ჰქონდა კოოპერატიული ფულის გაფლანგვას. გამოირკვა, რომ ფული მითვისებულია მაღაზიის ნოქარს ალექსანდრე ლალას ძე ბუჩინის. ბუჩინი დაპატიმრებულია.

### ქურდობა ქალაქის ლომბარდში

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ვასილ ვლადიმერის ძე გვერდწითელი, რომელიც ქალაქის ლომბარდიდან სისტემატიურად იპარავდა სხვადასხვა ნივთებს

### დახრჩობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობების თანახმად გუშინწინ ერწოს სამილიციო რაიონში (თბილისის მაზრა) ვიღაც ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ გზაზე მიმავალ სოფელ სიონის მცხოვრებ—ვერა ჩიქვაიძის ქალს, რომელსაც ხელები წაუკრეს ყელში და დაახრჩეს. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

### მეორე სართულიდან გადმოვარდნა

გუშინ, დილით, თვითმკვლელობის მიზნით მეორე სართულიდან გადმოვარდა 20 წლის გიორგი ნიკოლოზის ძე არხიპოვი (მცხ. საბჭოთა ქ. № 133) და მძიმედ დაშავდა. არხიპოვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს კამო სახელობის საავადმყოფოში. თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი ირკვევა.

### დაჭრა

გუშინწინ, დილით, რესტორან „როზა“-ში (მდებარე ლენინის ქ.) გიორგი გრძელიძემ (მცხ. მოსკოვის ქ. № 13) დანით დასჭრა რესტორანის მეპატრონე პარმენ სპირიდონის ძე [illegible]. გრძელიძე დაპატიმრებულია.

### მკვლელობა

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციაში მივიდა ცნობა, რომ ვიღაც ბოროტმოქმედს თავის ბინაზე მოუკლავს გაბო აზოევი (მცხ. სოფ. წინწყაროში, ალბულაღის სამილიციო რაიონი).

მიღებულია ზომები მკვლელის დასაპატიმრებლად.

### ქმრის დაჭრა

გუშინ, დილით, ი. კულჩინსკაიას ქალი მივიდა სტუმრად თავის ყოფილ ქმართან—ანტონ ნიკოლოზის ძე სეველევთან.

ყოფილ ცოლ-ქმარს მოუვიდა ჩხუბი. კულჩინსკაიამ წამოავლო ხელი სანადირო თოფს და ესროლა სეველევს. ხმაურობაზე მიცვივდნენ მეზობლები და მილიციის წარმომადგენლები.

დიდის ვაი-ვაგლახით კულჩინსკაიას ქალი წაიყვანეს სისხლის სამართლის მილიციაში.

სეველევი უგრძნობო მდგომარეობაში გადაგზავნეს რკინისგზის საავადმყოფოში. მას აღმოაჩნდა 6 ჭრილობა.

### ჯიბგირობა

გუშინწინ, საღამოს, ბაიდურ ხალი-ოღლის თავისუფლების მოედანზე ვიღაც ბოროტმოქმედმა ჯიბიდან ამოაცალა 120 მანეთი.

მილიციამ დააპატიმრა ჯიბგირი რუბენ ილიას ძე მანუკოვი (უბინაო).

### ქურდობა

ღიათ დატოვებულ კარებიდან შესვლის საშუალებით გუშინ ქალაქში გაქურდეს სამი ბინა. დაპატიმრებულია ერთი ქურდი.

გუშინწინ გაქურდეს არამ მირზოევის ბინა (დუმბაძის ქ. № 14), წაიღეს 150 მანეთის საოჯახო ნივთები;—გაქურდეს გრიშა ჩომახიძის ბინა (მცხ. ბუფეჩნის ქ. № 3), წაიღეს „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი;—გაქურდეს სალომე მარქარაშვილის ბინა (ორჯონიკიძის ქ. 113), მოპარულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

გუშინწინ გაქურდეს ილინის ბინა (რუსთ. პროსპექტი 34), წაიღეს 200 მანეთის ნივთები. გაქურდეს ლეონ სალარიძის ბინა (სასამართლოს ქუჩა № 6), წაიღეს 60 მანეთის საოჯახო ნივთები. გარდა ამისა, გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 4 შემთხვევას.

### ჯიბის ამოჭრის „სპეცი“

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ალექსანდრე ნიკიტინი. გაჩხრეკისას ნიკიტინს აღმოაჩნდა სამართებელი, რომლითაც იგი ფულის ამოცლის მიზნით ჯიბეებს აჭრიდა მოქალაქეებს.

# ვის ჩამოერთვა სახლები

იოსებ ბარათაშვილს (ლენინის ქუჩა № 20), ფილიპე წულუკიძეს (ყორღანოვის ქ. № 13), ეკატერინე მუხაძეს (ყორღანოვის ქ. № 24), მარიამ ჩხენკელს (ლენინის ქ. № 31), მნაცაკან აფრიდონოვს (მაჩაბლის და ლერმონტოვის ქუჩ. კუთხე № 9—16), ზაქარია პოპოვს (ქონქაძის და ვაჟაფშაველას ქ. კუთხე № 6—18), მ. ფრიდონოვს (მაჩაბლის ქ. № 11), ა. გედევანიშვილს (ყორღანოვის ქ. № 20), ბარტის და კერერს (პლეხანოვის ქ. № 64), დიმიტრი კასკოვს (ლენინის ქ. № 24), უმიკოვს (კამოს ქ. № 19), გალეგოვს და სხ. (ანტონოვის ქ. № 2), გრიგოლ საგანელიძეს (საბჭოთა ქუჩა № 5), ნ. გულიჯანოვს (კამოს ქუჩა № 4), აირაპეტოვს და ავაქოვს (ბაქოს ქუჩა № 10), მოქ. დიდზურაბოვს (საბჭოთა ქუჩა № 43), აირაპეტოვს და აკოფოვს (ბაქოს ქ. № 8), რაედესტვენსკაიას (ბაქოს ქუჩა № 16), სუხოვს (არაქელას ქუჩა № 21), ტუტუნჯიანს (გერშუნის ქუჩა № 10), კერივიშვილს (გერშუნის ქუჩა № 7), შეკეკიანს (საბჭოთა ქ. № 13), ხოროზოვს (პლეხანოვის პრ. № 165), შკოლნიკს და ასილოვს (ბაქოს ქუჩა № 4), ძოღვაძეს (ბაქოს ქ. № 16), ე. მარიევას (არტვინის ქ. № 6), მნაცაკან კარაპეტიანს და სხ. (გონჩარის. ქ № 34), არეკ. კარაპეტიანს (გონჩარის ქ. № 45), ჯავაირა მურადოვას (პანასევიჩის ქ. № 33), ძმ. მელქუმოვებს პანასევიჩის ქ. № 25), ანა ხაჩატუროვას და არმენაკ ტერ აკოპოვს (პანასევიჩის ქ.№ 27), მატილდა ზანგულოვას (პანასევიჩის ქ. № 23), რაისა ავეტისოვას (გონჩარის ქ. № 44), ბაგრატ მინასიანცს (დიდი ხევის დალმ. № 2), ანა არზუმანოვას (გონჩარის ქ. № 35), ბალდასარ იაროვს (სურპ-კარაპეტის ქ. № 8—5).

# საბჭოთა მწერლების

## ფედერაციის საბჭოში

— **საბჭოს პლენუმი.** საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა ივნისის 25-ს მოიწვიოს ფედერაციის საბჭოს პლენარული სხდომა.

— **სამკითხველო-ბიბლიოთეკა.** მწერალთა ფედერაციამ ხელოვანთა სასახლეში გახსნა სამკითხველო-ბიბლიოთეკა.

— **ილია ჭავჭავაძისეული სახლი.** საბჭ. მწერლების ფედერაციას მთავრობამ გადასცა ილია ჭავჭავაძისეული სახლი თბილისში, განზრახულია ამ სახლში მოეწყოს ილიას სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, სადაც დაცული იქნება როგორც ილიას, ისე სხვა ქართველ მწერალთა ხელნაწერები და წიგნები.

— **მწერალთა დასასვენებელი სახლები.** მწერალთა ფედერაციას, ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანისეული სახლის გარდა, მთავრობამ გადასცა საჩხერეში მდებარე აკაკი წერეთლისეული სახლი და მამული. ამ სახლში მოეწყობა აკაკის სახელობის მუზეუმი და მწერალთა დასასვენებელი სახლი.

— **მაქსიმ გორკის შესახვედრად.** საბჭოთა მწერლების ფედერაცია შეუდგა მზადებას მაქსიმ გორკის შესახვედრად. გორკის თბილისში მოელიან ივლისში.

მაქსიმ გორკის საპატივსაცემლოდ ხელოვანთა სასახლეში გაიმართება მწერალთა საღამო-ბანკეტი

# „მწყემს“-ში

### 27.000 ფ. მატყლი

საქ. მეცხვარეთა საზ-ბა „მწყემს“-მა სოფლის კავშირთან დასდო ხელშეკრულება 27.000 ფ. გაზაფხულის მატყლის დამზადებაზე.

„მწყემსი“ დაკვეთას შეასრულებს ივლისის შუა რიცხვებამდე.

### მეცხვარეთა მომარაგება საქონლით

საზაფხულო სეზონში მეცხვარეების საჭირო საქონლით მოსამარაგებლათ, საზ-ბა „მწყემს“-მა ახალქალაქში დაბინავებულ მეცხვარეებს გაუგზავნა 6 ვაგონი ფქვილი, 3 ვაგონი მარილი, 652 ცალი ნაბადი, 500 ცალი შინელი და შეკერილი ტანსაცმელები; თელავში: ორი ვაგონი ფქვილი, ოთხი ვაგონი მარილი და 660 ცალი ნაბადი და შინელი.

### საზაფხულო საძოვრები

„მწყემსი“ უკვე შეუდგა ცხვრის დაბინავებას საზაფხულო საძოვრებზე. მიმდინარე სეზონისათვის „მწყემსს“ ახალქალაქის მაზრაში, დაეთმო 4.473 დესეტინა საძოვრები. აღნიშნულ სივრცეზე მოთავსებულ იქნება 45.000 სული ცხვარი. დაღესტანში 15.000 დესეტინაზე მოთავსდება 120.000 სული ცხვარი, ხოლო სომხეთში, სადაც გამოყოფილია 6.219 დესეტინა საძოვრები, გაიგზავნება 45.000 ცხვარი.

# ექსკურსიები

დღეს, 22 ივნისს, საქართ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებული სალექციო-საექსკურსიო ბიურო აწყობს კავშირის ჯგუფურ ექსკურსიას აჭარისტანში და სომხეთში. განათლების მუშაკთა კავშირის წევრები (სომხეთშია) სპილენძის მადნების დასათვალიერებლათ და ადგილობრივ მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაცნობათ. ალავერდში მიემგზავრებიან აგრეთვე კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის მოსწავლენი—რიცხვით 40 კაცი.

ბათომში მიემგზავრება გემო-კვების მუშაკთა კავშირის წევრები 25 კაცის რაოდენობით. ბათომში ექსკურსანტები დარჩებიან სამ დღეს, დაათვალიერებენ ბოტანიკურ ბაღს, ნავთსადგურსა და გაეცნობიან ღვინისა და კონიაკის დამზადების საქმეს. ბათომიდან ექსკურსანტები გამოივლიან ჩაქვში, სადაც დაათვალიერებენ ჩაის პლანტაციებს.

# ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

### ფიზკულტუროსნების შეხვედრა

22 ივნისს, დილის 11 საათზე აზერბეიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოს მაზრებიდან თბილისში ჩამოვლენ ამიერ-კავკ. ფიზკულტურის დღესასწაულზე მონაწილე ფიზკულტუროსნები. უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ქ. თბილისის ფიზკულტუროსნები სტუმრებს ხვდებიან სადგურზე. სადგურის მოედანზე გაიმართება მიტინგი, რომლის დამთავრების შემდეგ უწყება-ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ფიზკულტუროსნები ეწყობიან კალონებათ და სადგურის ქუჩით მიემართებიან ამიერ-კავკ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლისაკენ. რესპუბლიკების ფიზკულტუროსნების წარმომადგენლები იქ თავიანთ ჯგუფებისათვის მიიღებენ სტადიონზე შესასვლელ ბილეთებს, ნომრებს, ნიშნებს და შეჯიბრებათა ცხრილს.

### თვითმოქმედების საღამო

22 ივნისს საღამოს 5 საათზე ლენინის სახ. სტადიონზე ყველა რესპუბლიკების ფიზკულტუროსნები (ქალები და ვაჟები) გაივლიან მასიურ თავისუფალი ვარჯიშობის რეპეტიციას და აგრეთვე საერთო რეპეტიციას პირამიდის გასაკეთებლად.

საღამოს 7 ნახ. საათზე შესდგება ამიერ-კავკ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მთავარ მსაჯთა კოლეგიის სხდომა. საღამოს 8 ნახევარ საათზე კი ამიერ-კავკ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლაში შესდგება ფიზკულტუროსნების თვითმოქმედების საღამო.

### რეპეტიციები

შაბათს, 23 ივნისს, დილის 10 საათზე შესდგება მეორე საერთო რეპეტიცია თავისუფალ ვარჯიშობაში და პირამიდაში. ნაშუადღევის 2 საათზე შესდგება მსაჯთა კოლეგიების (შეჯიბრებათა ყოველი დარგის მსაჯთა) და საექიმო საკონტროლო კომისიის სხდომა. საღამოს 5 საათზე შესდგება თავისუფალ ვარჯიშობის, ალლუმისა და პირამიდის გენერალური რეპეტიცია.

### დღესასწაულის საზეიმო გახსნა

დღესასწაულის საზეიმო გახსნა მოხდება შაბათს, 23 ივნისს საღ. 8 ნახევარ საათზე ორჯონიკიძის სახ. კლუბში. გახსნის შემდეგ გაიმართება ეროვნული სახის ფიზკულტურული ვარჯიშობანი, ცეკვა და კონცერტი. დღესასწაულის საზეიმო გახსნაზე მონაწილეობას იღებენ ყველა ფიზკულტუროსნები და მოწვეული სტუმრები. გახსნას ხელმძღვანელობენ ამხ. **ტესტელეცი, ერგარდტი და კრემერი.**

### ქალაქში

შაბათს, 23 ივნისს, ფიზკულტუროსნები საბარგო ავტომობილით, ბენგალური ჩირაღდნებით და მაშხალებით დილიდან საღამომდე დადიან ქალაქში და მოძრავი მიტინგების გამართვით აუწყებენ საზოგადოებას ამიერ-კავკ. ფიზკულტურის დღესასწაულის დაწყების შესახებ.

### ალლუმი

შაბათს, დილის 10 საათზე ფიზკულტუროსნები თავს იყრიან ამიერ-კავკ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის ეზოში. პიონერები, სამხედრო უწყება და პროფკავშირები, თავდაცვა-ავიაქიმი,—„დინამო“ თავს იყრიან თავიანთ დაწესებულებებში იმ ანგარიშით, რომ დილის 11 საათზე და 45 წ. იყვნენ თავისუფლების მოედანზე. ამიერ-კავკ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის ეზოდან ფიზკულტუროსნები ქუჩაში გამოდიან დილის 10 ნახ. საათზე. კალონებად დაწყობილნი გაივლიან პლეხანოვის პროსპექტს, კარლ მარქსის მოედანს, პუშკინის ქუჩას და თავისუფლების მოედანზე შეერთდებიან ორგანიზაციების კალონებს. თავისუფლების მოედნიდან კოლონები მიემართებიან კომინტერნის ქუჩისაკენ და ჩერდებიან სასახლის წინ, სადაც სრულ 12 საათზე ამიერ-კავკ. მთავრობის წარმომადგენლები შეხვდებიან მათ. შემდეგ კალონები მიემართება რუსთაველის პროსპექტისაკენ. ყოფ. ზემელის აფთიაქთან ორგანიზაციები იშლება, ხოლო ფიზკულტუროსნები განაგრძობენ სვლას და ელბაქიძის დაღმართის, ჟორესის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის გავლით ისინი ბრუნდებიან ამიერ-კავკ. ქვეითი ჯარის სკოლის ეზოში.

### ლენ. სახელობის სტადიონზე.

შაბათს, საღამოს 5 საათზე ლენინის სახ. სტადიონზე შესდგება ამიერ-კავკ. ფიზკულტურის დღესასწაულის მასიური და სასპორტო ნაწილის გახსნა. გაიმართება ფიზკულტუროსნებისა და პიონერების ალლუმი და მასიური თავისუფალი ვარჯიში. დასასრულ გაიმართება დღესასწაულში მონაწილეთა საერთო პირამიდა.

### ფეხბურთი

ამიერ-კავკ. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკ. ფიზკულტურის I-ლ დღესასწაულში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების შემადგენლობა.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს „დინამო-ა“, გუნდის შემადგენლობაში არიან: **პოპკოვი** (მეკარე), **ფოჩხუა, ჟორჟია** (მცველები), **პარამონოვი, ჟორდანია, ღვალთიროვი** (ნახევრად მცველები), **ქებაძე, მდივანი, პონომარიოვი, ფაჩულია და გუნია** (შემტევნი). სათადარიგო მოთამაშეებია: **ბალდოვი, გასპაროვი, სომოვი და ცომაია.**

აზერბეიჯანიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ბაქოს პროფკავშირების ნაკრები გუნდი. გუნდში შედიან: **იკონნიკოვი** (მეკარე), **მარახტანოვი, კოსენკოვი** (მცველები), **პანცევი, ივანოვი, სარქისოვი** (ნახევრად მცველები), **კომაროვი, სოროკინი, კუზნეცოვი, თურქია, ელისეევი** (შემტევნი). სათადარიგო მოთამაშეებია: **აჩბა, გრიგორიევი, სუშკოვი, ფროლოვი და მალკინი.**

აზერბეიჯანისა და საქართველოს ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება გაიმართება შაბათს, 30 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ლენინის სახ. სტადიონზე.

# სასამართლო

### „გმირები“ ვერის კარპიდან

თბილისის სამაზრო სასამართლომ დაამთავრა მოქ. **ალექსანდრე ცურინოვის, ლეონ ანდრიანოვის და ერვანდ ჯილავდაროვის** გასამართლება.

საქმის შინაარსს იცნობენ ჩვენი მკითხველები.

ზემოდ დასახელებული პირები „პურ-მარილში“ ჩამწვარი ხალხია, რომელთაც არაფერი ახარებს გარდა ქეიფისა თბილისის რესტორანებში და ქალაქ გარეთ.

მაისის პირველ რიცხვებში ისინი ეწვიენ ვერის პარკს. ცურინოვი (შოფერი) იყო ამ ქეიფის ინიციატორი. ძმა-ბიჭებმა ისე შესტოვეს ღვინოში, რომ მაგიდაზე არაფერი დაუტოვებიათ დაუმტვრეველი. ამტვრევდენ ყოვლად უმიზეზოდ, „ხოშის“ გულისათვის.

ცურინოვი აუხირდა მიკიტანს ბაჩიაშვილს დაუწყო ლანძღვა და გინება. მიუხედავათ იმისა, რომ მიკიტანი „კი ბატონო“-ს მეტს არაფერს ეუბნებოდა გინების საპასუხოდ, ცურინოვმა ყოვლად უმიზეზოდ რევოლვერი დაახალა მიკიტანს გულში. ბაჩიაშვილი იმ წუთშივე გარდაიცვალა.

რევოლვერი, რომლითაც მოკლულ იქნა ბაჩიაშვილი, ეკუთვნოდა მეორე „ძმა-ბიჭს“ ანდრიანოვს. ჩოჩქოლის და აურ-ზაურის დროს ცურინოვმა რევოლვერი გადასცა ანდრიანოვს (ანდრიანოვი ამიერ-კავკ. ცენ. სტატისტიკურ სამმართველოს სამეურნეო ნაწილის გამგე იყო იმ ხანებში), თვითონ ცურინოვი კი გაიქცა.

ანდრიანოვმა რევოლვერი გადამალა. მიაბარა სტატისტიკურ სამმართველოს ადგილკომის მდივანს ჯილავდაროვს და უთხრა: „კარგად გადამალე. ამ რევოლვერით „ცურკამ“ (ე. ი. ცურინოვმა) კაცი მოჰკლა და დაიჭერენო“. ჯილავდაროვმაც ნამუსი შეინახა და საგულდაგულოდ გადამალა. დაპატიმრების შემდეგ ცურინოვმა კატეგორიულად უარჰყო ბაჩიაშვილის მოკვლა და მოინდომა ვერის ბაღის დარაჯზე გადაბრალება.

**არ გასჭრა** ასეთმა ხერხმა, ყველაფერი სისრულით გამოიკვლია სისხლის სამართლის მილიციამ. დაპატიმრებულ იქნენ: **ცურინოვი, ანდრიანოვი და ჯილავდაროვი.** ორ უკანასკნელს ბრალდებად წაუყენეს ხელის შეწყობა ბოროტმოქმედების კვალის დაფარვისათვის.

**სასამართლომ** ალექსანდრე ცურინოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, ლევან ანდრიანოვს—4 წლით და ერვანდ ჯილავდაროვს—ერთი წლით.

### „ვირთხები“ თბილისის სადგურში

— ძალო, დღესაც ცნობა მოვიდა ბაქოდან, რომ მიღებულ ბარგს აკლია ბევრი რამ. რა ჯანდაბაა! ეს მერამდენე შემთხვევაა!—ნერვიულობს ბაქოს განყოფილების საწყობის გამგე

— რა გასაკვირია, რომ დააკლდეს. იმოდენა ვირთხებია ჩვენს საწყობში, რომ ხუთფუთიან ტომარს აიკიდებენ ზურგზე,—სთქვა მტვირთავმა **ალექსანდრე ნასარიძემ.**

— მართალია, მართალი. მე თვითონ ვნახე ერთი ვირთხა, რომელიც სამ დიდ კალბასს ერთად მიათრევდა,—დაემოწმა მეორე მტვირთავი **ლაზარე ქორიძე.**

— კარგი, ვსთქვათ, რომ კალბასს და ასეთ სანოვაგეს ვირთხები აოხრებენ! მანუფაქტურა სადღა იკარგება?! ვირთხებს ხომ არ მიაქვს შესაკერავად? არა აქ სადღაც ძაღლის თავია დამარხული!

— არ გახსოვს, ლაზარე, პირსახოცი რომ ვამოეთრია ვირთხას და კაცივით, რომ ჰქონდა შემოხვეული თავზე?

— მართლა, ეხლა გამახსენდა! ძლივს რომ დავატოვებიეთ!

ემოწმებოდნენ ერთმანეთს ნასარიძე და ქორიძე.

ადმინისტრაცია არ დაკმაყოფილდა მტვირთავების განმარტებით და დაადგინა გაჩხრეკილ იქნეს საწყობის ყველა თანამშრომლების ბინები.

კინაღამ დაისაჯენ უდანაშაულოდ საწყალი ვირთხები!

თურმე ალექსანდრე ნასარიძის და ლაზარე ქორიძეს რომელი ვირთხა მოუდგება? მიიღებენ თუ არა საწყობში შესანახ ბარგს, მაშინვე გახსნიან, ახდიან „ადგილობრივ დათვალიერებას“ და რაც რამ ხელწამოსაკრავია, მიაქვთ თავ-თავის სახლებში.

ამ ორივეს „ვირთხების“ ბინაზე აღმოუჩინეს მანუფაქტურა, ბავშვის სათამაშოები, ძეხვები და სხვ. მრავალი.

ქორიძე გამოტყდა დანაშაულში და სთქვა.

— მე რომ არ წამომეღო, სულერთია, დაიკარგებოდა, ისე ცუდათ იყო შეკრული ბარგი!

— ძეხვების შესახებ რას იტყვით?—ეკითხებიან ქორიძეს.

— რა უნდა ვსთქვათ. ყუთი გატეხილი იყო, მიწაზე ცვიოდა ძეხვები. მეც ავიღე და რამდენიმე ცალი პურს მივაჭამე.

ვის გაუგონია ხუთფუთიანი ყუთი ძეხვი ერთმა კაცმა პურს „მიაჭამოს“!

ალექსანდრე დიმიტრის ძე ნასარიძე და ლაზარე თედორეს ძე ქორიძე დაპატიმრებული არიან. საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

**შურ.**

# ბიბლიოგრაფია

### ივ. გომართელი. მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება

**სახელგამი 1928 წ. თბ. გვ. 62, ფასი 35 კაპ.**

მაქსიმ გორკის შესახებ ქართულ ენაზე რამოდენიმე ბროშურაა გამოცემული, მაგრამ დასახელებული წიგნი ერთად ერთია, რომელიც მიზნად ისახავს მის შემოქმედების პოპულიარულად გაშუქებას.

მაქსიმ გორკი მუშათა კლასის უდიდესი მწერალია, მაგრამ რამდენადაც მის შემოქმედების განვითარებას ახასიათებს გადახრები და ხვეულები, იმდენად უფრო კრიტიკულად უნდა მოუდგეთ მისი ნაწერების შეფასებას.

გორკი დიდი მხატვარია, რომელიც საუკეთესოდ იცნობს მასას—უდიდეს მშენებელს ჩვენი ეპოქისას. გორკისაგან ჩვენმა მწერლობამ ბევრი რამ უნდა ისწავლოს, მაგრამ არა ყველაფერი, რადგან როგორიც არ უნდა იყოს მისი მნიშვნელობა, არ შეიძლება გორკისადმი მიდგომა თავის ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებისადმი ყოველთვის პროლეტარულათ ჩავთვალოთ.

გომართელი თავის წიგნში ამბობს, რომ გორკი პროლეტარიატთან იყო დაკავშირებული, მიუხედავათ მისი შეცდომებისა, მაგრამ არ აღნიშნავს, თუ რაში მდგომარეობდა ეს შეცდომები, ხოლო ამის გარეშე არ შეიძლება გორკიზე მსჯელობა ობიექტიურად ჩაითვალოს. გომართელი აღნიშნავს, რომ „ხელოვანი მასში (გორკიში) ძლიერია, მტკიცე; პუბლიცისტი კი სუსტი, მერყევი“. თუ გორკი, როგორც პუბლიცისტი, სუსტი და მერყევია, ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ეს მერყეობა მის მხატვრულ ნაწარმოებებშიაც უნდა შეიჭრას და ეს ასეც არის.

გორკი, როგორც მხატვარი, დაგვიანებით მიდის პროლეტარიატთან, ხოლო 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ისევ უკან იხევს (1908 წ.) და მოთხრობა „ზაფხულში“ პროლეტარიატის გლეხობაში გათქვეფაში ეძებს ხსნას და ბოლოს უიმედობაში ვარდება („ბავშობა“, „ქალაქი ოკუროვი“), მას სჯერა, რომ განთავისუფლების გზა აღარ არის, რომ ყოველგვარი იმედი ცრუ მოჩვენებაა (ლუკას მონოლოგი პიესაში „ფსკერზე“). მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გორკი სასტიკად მოსტყუვდა, რომ პროლეტარიატმა შესძლო მონობის ბორკილების დამსხვრევა და ამგვარად არ გამართლდა გორკის უიმედობა.

გორკის კი, როგორც მასის საუკეთესოდ მცოდნეს და ოქტომბრის გაკვეთილით რწმენა დაბრუნებულს, შეუძლია მომავალში უფრო სრულყოფილად ჩამოაყალიბოს პროლეტარიატის მისწრაფებანი, მაგრამ ეს გარემოება არ აძლევს კრიტიკოსს, რომ გორკის მერყეობას წარსულში გვერდი აუხვიოს და მომავალ თაობას მისი შეცდომების თავიდან აცილების საშუალება არ მისცეს.

გარდა ამისა, გომართელი მაქსიმ გორკის შემოქმედებაში თბილისის მნიშვნელობას ისე აჭარბებს, რომ მკითხველს შეუძლია თბილისი „პოეტხანად“ წარმოიდგინოს. გომართელი სწერს:

„თბილისს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გორკის ცხოვრებაში.

გორკის სამართლიანად შეუძლია წარმოსთქვას:

მე თბილისმა დამბადა.
თბილისსაც შეუძლია სთქვას:
მაქსიმ გორკი ჩემი შვილიაო.

„რისთვის, რა საბუთით“. კითხულობს გომართელი და უპასუხებს:

„თბილისის ცამ (!), კლდეებმა, (?!), [illegible], ნარიყალამ (?!) აღაფრთოვანეს ახალგაზრდის ბუნება“. ქვევით კი ამტკიცებს, რომ ზემოხსენებული მიზეზის გამო გორკი განსაკუთრებით თბილისის პროლეტარიატს ეკუთვნის.

**არ ვარგა ასე მსჯელობა.**

ს. წ.

# რკინისგზეზე

### ტვირთზიდვის გაძლიერება

უკანასკნელ ხანებში რკინის გზებზე შემჩნეულია ტვირთზიდვის ზრდა, განსაკუთრებით კი ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გაძლიერება. რკ. გზ. სამმართველოს ცნობით ამჟამად დღე-ღამის განმავლობაში რკინის გზით იზიდება 235—300 ცისტერნამდე ნავთი.

უახლოეს მომავალში განზრახულია ნავთის გადაზიდვის გადიდება 340 ცისტერნამდე.

### 106.000 მანეთის ზარალი

ამ დღეებში შემთხვევებთან მებრძოლ კომისიაში გაირჩა სხვადასხვა საქმეები, რომლებიც შეეხება მატარებლების დაჯახებას, ლიანდაგიდან გადავარდნას და სხვა მარცხებს.

ამ შემთხვევებით რკინის გზას მიყენებული აქვს დაახლოებით 106.000 მანეთის ზარალი.

# რადიო-გადაცემა

### პარასკევი, 22 ივნისი

დღეს, 22 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

[illegible] ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე
სუფთა წყლის მნიშვნელობა სოფლისათვის—მოხსენება ქართულ ენაზე.
მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—მოხსენება რუსულ ენაზე.
კულტურული რევოლიუციის ამოცანები—მოხსენება რუსულ ენაზე.
მაიმუნიდან-ადამიანამდე—მოხ. თურქულ ენაზე.
კომკავშირის და პიონერის ამოცანები [illegible] დროს—მოხსენება თურქულ ენაზე.
ტეხნიკური კონსულტაცია.
ბურჟუაზიული პრესა და მშრომელთა პრესა—მოხ. თურქულ ენაზე.
საერთაშორისო მდგომარეობა—მოხსენება აფხაზურ ენაზე.
ლიტკრიტიკა—მოხ. ოსურ ენაზე.
რადიო-გაზეთი—მოხს. ოსურ ენაზე.
საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები —მოხ. რუსულ და ქართულ ენებზე.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ამიერ-კავ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.
მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### პამიდორის დამყნა კართოფილზე

მისსურის (შეერთებულ შტატებში) ბოტანიკურმა ბაღმა წარმატებით შეასრულა კართოფილზე პამიდორის დამყნის ცდა. შედეგები განსაცვიფრებელი მიიღეს, დამყნილმა მცენარემ პამიდორიც გამოისხა და კართოფილის ბოლქვებიც და ისეთი რაოდენობით, რამდენსაც იძლევა ერთი ძირი კართოფილი და ერთი ძირი პამიდორი ცალკ-ცალკე. დამყნის ოპერაცია არ არის რთული და მისი შესრულება შეუძლია ყოველ მებაღეს. სპეციალისტების გამოანგარიშებით, შემოსავალი ერთი დესეტინა მიწიდან, რომელზედაც დარგულია დამყნილი კართოფილი, ერთი-ორად დიდდება.

### რადიო-გადაცემის საიდუმლოების დაცვა

ჰოლანდიელმა ინჟენერმა **ვანდრუტენმა** გამოიგონა აპარატი, რომელიც შესაძლებლად ხდის რადიო-ტელეგრაფთა და რადიო-ტელეფონით ცნობების გადაცემის საიდუმლოების დაცვას. აპარატი მეტად მარტივია და შეიძლება შეერთებულ იქნეს ყოველგვარ რადიო-გადამცემთან. ვანდრუტენმა თავისი აპარატი გამოსცადა ჰოლანდიის მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ჰოლანდიის მთავრობამ ვანდრუტენს დიდი თანხა შესძლია გამოგონების გაკეთებისათვის.

### ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლუსისაკენ

არქტიული (პოლიარული) ქვეყნების გამოკვლევ საერთაშორისო საზოგადოების მდივანის ვალტერ ბრიუსის ცნობით, 1929 წ. გაზაფხულზე ეწყობა ახალი ექსპედიცია პოლიარული ქვეყნების გამოსაკვლევად. ექსპედიციას უხელმძღვანელებს ფრიტიოფ ნანსენი.

ექსპედიცია პოლუსისაკენ გაფრინდება აპრილში. გაფრენა დაიწყება არა შპიცბერგენიდან, არამედ ლენინის მიწიდან და პოლიუსის მიღწევის შემდეგ ექსპედიცია გაფრინდება ნომში (ამერიკა).

ექსპედიციის განკარგულებაში იქნება დ—რ ეკკენერის (დირიჟაბლების ცნობილი კონსტრუქტორი) ცეპელინი, რომელიც სიდიდით თითქმის ექვსჯერ სჭარბობს გენ. ნობილეს „იტალია“-ს. ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებს 50 კაცი, მათგან 20 გამოჩენილი მეცნიერი. ექსპედიციასთან დაკავშირებით ივნისის ბოლო რიცხვებში ნანსენის თავმჯდომარეობით ლენინგრადში შესდგება სპეციალური თათბირი.

# შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 22 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ვასილ გოგიბერიძე, დავით ჯანგველაძე; ბარბალე ტატიშვილი; ალექსი ბოთიკაშვილი; პავლე სარკოვი; ვასილ სტეფანიშვილი; კირილ ბზორიშვილი; გიორგი ჩალკიანი, გრიგოლ პოპოვიჩი; აბრამ ვეხარაშვილი; ვართან ტერ მოსესოვი; არტაშეს ტერ-ოგანეზოვი გიორგი მოსტოვი; მნაცაკან ჯამბაროვი და ხაჩატურ ვართაპეტოვი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან.** მარიამ კლიმოვა; ვალენტინა ჩიჟინოვა; დარია ლომთაძე; ტიმოთე ბაომინაშვილი; მარიამ წულუკიძე; ვერა მინდაძე; გრიგოლ ანანიაში და მარგარიტა ბერიშვილი, **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** დარჩო არეშიძე; ვასილ რატიშვილი; სტეფანე არჩვაძე; ნიკოლოზ პაპუაშვილი, გიორგი ლიპარტია; [illegible] ვალიაშვილი; ალექსი ხიდაშვილი, მიხეილ სირბილაძე; ნესტორ ბრეგვაძე; დიონოს გაჩოკია; ლუარსაბ ნამოსაძე; სილოვან გეჯხარია და პავლე ბაქრაძე. **საგარანტიო სექციიდან:** ილია კარტოზია, გიორგი ნაიენაძე; კონსტანტინე ჯიბუტი; ბაგულ ნათენაძე და ვალერიან კვაჭაძე. **მედსექციიდან:** ანა ზალდასტანიშვილი; ნინო კეკელია. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ივანე სიდამონ-ერისთავი; ლუკა ბეჭაია; გიორგი ზერიევი, აპკარ ვარდანოვი; გ. სამიკოვა; ს. ანდრიასოვი. გ. ჩერკასოვი; ზ. ეიტიბროვი; გ. ხაჩატუროვი; ალ. იუნანოვი; ხ. გასპარიანი; ა. იაკუბოვი; ლ ჩერკასოვი; ამირჯან ზაიევი; სამსონ ვარდიევი, პატკავან პეტროსოვი, დავით ბეჟანოვი; სამსონ კურტანიძე; ქ. ხაჩატუროვი; იგნატე უჯმაჯურიძე; ალექსი მგავანაძე; იოსებ [illegible]; ბესარიონ ხუნდაძე; გიორგი ჯიოევი, ბაგრატ ნურიჯანოვი და ნინო აბდულაძე.

# ოფიც. განცხადებები

### დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი 1926-27 წლის საამშენებლო სეზონის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—სამრეწველო აღმშენებლობის დარგში და შრომის სახალხო კომისარიატს—საბინაო მშენებლობის დარგში და აგრეთვე ყველა სახალხო კომისარიატს და ორგანიზაციას, რომელიც საალმშენებლო მუშაობას აწარმოებს, მიმდინარე წლის ივნისის 15-სათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს დაწვრილებითი ანგარიში საალმშენებლო სეზონის შედეგების შესახებ, სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს მშენებლობის ძირითადი ელემენტები, როგორიც არის, მაგალითად: მშენებლობაში მოთავსებული თანხებისა და შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა, და მუშა-ხელისა და მასალის მიწოდების მდგომარეობა, იმის აღნიშვნით, თუ რა მიღწევებია მშენებლობის გაიაფების საქმეში.

2. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს ხოლმე საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, დადგენილი წესებითა და ფორმით, ახალი აღმშენებლობის საანგარიშო მასალის ცნობებისა და ჟურნალის იმ მოთხოვნის მიხედვით, რაც აღნიშნულია სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1928 წლის თებერვლის 18-ის თარიღისა და 405 №-ის ბრძანებაში.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჟუღელი.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.**

1928 წლის მაისის 16.
თბილისი—სასახლე.

### დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

### პასუხისაგებ შრომის ამხანაგობათა (არტელების) დებულების გაუქმების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის აგვისტოს 25-ს დამტკიცებული დებულება პასუხისაგებ შრომის ამხანაგობათა (არტელების) შესახებ (საქართველოს ს. ს. რ. კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-რი, მუხ. 3).

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჟუღელი.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მაისის 16.
თბილისი—სასახლე.

# პარტიული კალენდარი

დღეს, 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა კავშირის სახლში (კალოუბნის ქუჩა) შესდგება ახ.ლ.კ.კ. სასკოლო უჯრედების მდივნებისა და განათლების მუშაკთა კომუნისტების და კომკავშირელების საერთო-საქალაქო კრება.

დღის წესრიგშია: ამხ. ასრიბეკოვის და ჭაცრავას მოხსენებები სამოსწავლო წლის შედეგების შესახებ.

კრებაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ: კომპარტიისა და კომკავშირის წევრი პედაგოგები, ახ.ლ.კ.კ. სასკოლო უჯრედების მდივნები, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობის წევრი კომუნისტები, განათლების სახ. კომისარიატის და თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაკი-კომუნისტები, კომპარტიის და კომკავშირის რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეები.

—:—

ქართულ მუშაკის პარტკოლექტივთა ბიურო აცხადებს, რომ დღეს საღამოს 6 საათზე, მუშაკის შენობაში მოწვეულია უჯრედების გაერთიანებული სხდომა, თბილისში [illegible] უჯრედის წევრებს ევალება გამოცხადება დაუგვიანებლად.

---

კვირას, 24 ივნისს, დღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

**სილოვან ხუნდაძის**

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობებს განსვენებულის ოჯახი. 2808 2—1

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის თერაპიული კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე კლინიკის ორდინატორის

**ექ. იოსებ გიორგის-ძე დონჯაშვილის**

ტრაგიკულ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქალაქის 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში კამოს ქ. № 103. 3—2

---

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მცენარეთა დაცვის ბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 20 ივნისს, თავის საგუშაგოზე ყოფნის დროს ტრაგიკულად გარდაიცვალა დაუღალავი და ენერგიული მუშაკი ინსტრუქტორი

**ალექსანდრე (შურა) დიმიტრის-ძე თულაშვილი**

დაკრძალვა დ. ლაგოდეხში, პარასკევს, 22 ივნისს. 2812

---

თამარ, ნიკოლოზ და ვანიკო სულიკაშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 20 ივნისს, გარდაიცვალა დაუვიწყარი

**ოლღა გიორგის ასული მაჭარაშვილი**

გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან პარასკევს, 22 ივნისს, 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2814

---

**სახკინმრეწვის კინოები**

| | |
|---|---|
| განთიადი (ნაძალადევში) | უკანასკნელად თბილისში არაჩვეულებრივი ფილმი **რომანოვების დინასტიის დაცემა** |
| საზაფხულო ეთერი | უცხოეთის მხატვრული ნაწარმოები **ბედნიერების ძიებაში** |
| საზაფხულო დარბაზი | პოპოვა, ბატალოვი, კუტუზოვი თანამედროვე მხატვრულ დრამაში **ცოლი** |
| საზაფხულო პალასი | ამერიკული კინო-რომანი 6 სერიათ **თავზე ხელაღებული** 1 და 2 სერია ერთად ჩარლზ ხეტჩისონის მონაწილეობით |
| აპოლო | შესანიშნავი ფილმი ებრაელთა ცხოვრებიდან **მაბულ** (სისხლის ძორევი) თეატრში არის ვენტილიაცია |
| სოლეი | ამერიკის საყვარელი მსახიობი ჩარლზ რეი მხატვრულ სურათში **დარტყმა** |
| მინიონი | უკანასკნელად თბილისში კარმენ ბონი სურათში **მშვიდობით ახალგაზრდობავ** |
| პროლეტარი ავლაბარი | **საიდუმლოებათა კუნძული** უკანასკნელი დღე 3 და 4 სერია |

ანონსი: მალე გრანდიოზული ფილმი ბულატ ბატირ 0—18

**ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ. ა. გიორგაძე**

ამით აცხადებს, რომ ის 2 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 59, ღვინის აღმართი სასადილოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბაგრატ ივანეს-ძე სარიბეგოვის მოძრავ ქონებას: 1) ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტს, 2) ერთ საყინულეს, 3) ერთი დიდი ბუფეტის შკაფს და სხვა ნივთებს შეფასებულს 350 მანეთად, მოქ. ვიქტორი ნიკოლაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის № 3 სახ. სანოტარო კანტორისაგან 16 მაისის 1928 წ. თარიღით, № 1078 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2811

**ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი დიმ. სიხარულიძე**

ამით აცხადებს, რომ ის 27 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 11 ალაზნის ქუჩაზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ლეონ არუთინოვის სამსართულიან სახლს, რომელიც შესდგება 8 საც. ოთახისაგან, ორი კუხნისაგან, დახურულია თუნუქით, ნაშენი აგურით. შეფასებულს 1500 მანეთად, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 28 სექტემბრის 1927 წ. თარიღით, № 3404 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან და ჩატარდება ს.ს. კოდექსის 311, 312 და 313 მუხლების დაცვით. ნ. 1300

**მიხეილ ბედევანიშვილის** სახელობის **სამკურნალო** საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფებთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 2—15

**იყიდება**
გიორგი გოგელიასეული სახლი
ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.
0—13 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

სააქციო საზოგადოება „ხლებოპროდუქტ“-ის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა
კანტორის შენობაში ქ. თბილისში, შუა ბაზარი № 27, შუადღის 12 საათზე ნიშნავს
**საჯარო ვაჭრობას**
1928 წლის 28 ივნისს—საზოგადოების დიდუბის საწყობის ეზოში ქვაფენილის დაგების სამუშაოთა შესრულებაზე და 1928 წლის 3 ივლისს—ქალაქში ტვირთების გადატანაზე.
აღნიშნულ სამუშაოთა შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანტორაში ყოველდღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 1298 3—1

**ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი დიმ. სიხარულიძე**

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 25 ივნისს, დღის 2 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნაუმ ხაიტოვიჩის მოძრავ ქონებას ჯერ მის სახელოსნოში პლეხანოვის პროსპექტზე № 77 და შემდეგ მის ბინაში იმავე ქუჩის № 108 გაიყიდება: ერთი ცეცხლგამძლე სალარო, წყალსადენის სახელოსნოს მთელი მოწყობილობა, აუარებელი ნივთები თუჯისა და ფოლადისა და აგრეთვე საოჯახო სხვადასხვა ხაბაკი—შეფასებულია სულ 2703 მანეთად და იყიდება მელითონეთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად შრომის სასამართლოს ა. წ. 20 ივნისის თარიღით № 2388 აღმასრულებელი ფურცლისა. ნ. 1300

**შაუმიანის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ტ. ოგანეზოვი**

აცხადებს, რომ ხუთშაბათს ა. წ. 28 ივნისს შუადღის 12 საათზე ქალაქ შაუმიანში (ბორჩალოს მაზრა) სახალხო სასამართლოს შენობაში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ქ. შაუმიანის მცხოვრების კალო მიხეილის ასულის ვართანოვას შემდეგი ქონება 1000 მან. ვალის დასაფარავად, რომელიც მან უნდა გადიხადოს თბილისის ნოტარიალურ კანტორაში გაპროტესტებულ თამასუქის მიხედვით.

სახლი, რომელიც შესდგება: ერთი ოთახისა და ერთი სამზარეულოსაგან, დახურული კრამიტით, ბელელით და პატარა მარაოთი ნახევრად დანგრეულ საწნახელით და ქვევრით.

სახლი შეფასებულია 700 მანეთად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა შემოიტანოს საწინდარი აღნიშნულ თანხის 10 პროცენტის რაოდენობით. 2817

ექიმი **ქ. ს. ფონ-რიტელი**
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი **დარეჯან ე. თაყაიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

**ა. ვ. მიქაბერიძე**
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ●●● ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი**
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—9 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

**თმის მკურნალობა**
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
**ნ. გ. კონტოროვიჩისა**
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

**სათვალეების შერჩევა**
— და —
მათი სწორად მორგება უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ
**„სახმედვაჭრობა“**
პლეხანოვის პროსპ. № 106
აქვე ხელოვნურ თვალების არჩევა. 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**იყიდება**
ექვსი ახალი სადურგლო დაზგა, სამართებლები.
მისამართი: პლეხანოვის ქ. № 121 ეზოში ლუარსაბ ცხვარაძე. 2810

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქ. კუთხე.

**თვალის საავადმყოფო**
მუდმივი საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:
**ა. ნ. შატილოვი**
საოპერაციო დღეებში
**ა. გ. მალაევი**
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 5—12

განათლების კავშირის № 23 ადგილკომს
**დაეკარგა რგვალი ბეჭედი**
ა. წ. 19 ივნისს, ჩ. გ. 2816

**დაიკარგა:** მუშკოოპის წიგნაკი № 457 ქალინკა დანელი ნცის სახელზე, ჩ. გ. 2818

**დაიკარგა:** დიდი-ჯიხაიშის შვიდწლიანი შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 364 ალექსანდრე სვიმონის-ძე ცაგარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2809

**დაიკარგა:** მეტრიკული ამონაწერი № 2801 თებრონე ელისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2815

**დაიკარგა:** ქალაქის სოციალ. უზრუნველყოფის განყოფილების მოწმობა პენსიონერობის შესახებ ანა იოსების ასული გვახარიას სახელზე, ჩ. გ. 4

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-4-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა